ს. ს. ს. რ. სახ. [illegible]
სინფორმ. ცოდ.-განყოფილების
ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: [illegible] 75 კ. განცხადებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირალდანს" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. ს. მილიმეტრი—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 6 გვერდს

— [illegible] ზონას.
— ჩეხო-სლოვაკიის ნაციონალისტები მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას.
— ამერიკაში [illegible].
— ბალტიის სახელმწიფოებმა უარი სთქვეს პოლონეთთან კავშირზე.
— მონარქისტები გერმანიაში კმაყოფილნი არიან ლუთერის კაბინეტით.

შაბათი, 24 იანვარი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 19 (1174)

ხელშეკრულება იაპონიასთან

რაც დრო მიდის, მით უფრო მცირდება იმ სახელმწიფოთა რიცხვი, რომლებიც აშკარა თუ ფარულ მტრულ განწყობილებაში იყვნენ საბჭოთა კავშირთან. საფრანგეთის მიერ ცნობის შემდეგ ორი დიდი სახელმწიფო დარჩა, რომლებთანაც ნორმალური დამოკიდებულება არ ჰქონდა ჩვენს რესპუბლიკებს: იაპონია და ამერიკა, რომლებიც ერთი მეორეს მეტოქეთ გამოდიან დიდ ოკეანეზე. მათ შორის იაპონიასთან უკვე დაიდო ხელშეკრულება და ამნაირად დარჩა მხოლოდ „ოკეანეს გადაღმა დიდი დემოკრატია", სადაც იუზის „გადაყირავების" შემდეგ აშკარათ დაისახა ჩვენი ცნობის მიდრეკილება, რომლის გამომხატველია „საბჭოების მეგობარი" სენატორი ბორა.

იაპონიასთან ხელშეკრულების დადება, ყოველ ეჭვს გარეშე, მორიგი დიდი გამარჯვებაა საბჭოთა დიპლომატიისა. ის მიმასწავებელია იმის, რომ ჩვენიკავ შორის შორეულ აღმოსავლეთის საზღვრებზე მუდმივ მოუსვენრობას ბოლო ეღება, რამდენადაც უმთავრესი საკითხები ჩვენი უთანხმოებისა აღმოსავლეთის უდიდეს იმპერიალისტურ სახელმწიფოსთან ამოწურულად შეიძლება ჩავთვალოთ, ან და, რამდენადაც ეს ხელშეკრულება, რომლის შინაარსი ჩვენ კიდევ არ ვიცით, უზრუნველყოფს ყველა მწვავე კითხვების საქმიან გადაწყვეტის ნორმალურ პირობებს.

გარდა ამისა მხედველობაში მისაღებია პოლიტიკური ეფექტი ამ ხელშეკრულებისა. და ეს ერთი იმ აზრით, რომ ის ენერგიას შემატებს ამერიკაში ბორას ჯგუფს, რომელიც აწარმოებს კამპანიას საბჭოების ცნობის სასარგებლოთ და მეორე მხრით—ეს ფაქტი ცუდ გუნებაზე დააყენებს იმ „პატარა" სახელმწიფოების მმართველ ხელმძღვანელობას და აგრეთვე ევროპის იმ პოლიტიკურ პარტიებს თუ მათ ბელადებს, რომლებიც წრეგადასულ მტყაითობას იჩენენ შავი იმპერიალიზმის სამსახურში და სურთ როგორმე შექმნან „ერთიანი ფრონტი" მუშურ-გლეხურ სახელმწიფოების წინააღმდეგ. ჩვენ საზეში გვყავს ამ პარტიათა შორის რუსი და ქართველი მენშევიკები და ესერები და ყველა „დემოკრატიული", ლიბერალური და რეაქციონური პარტიები, რომელთა სამოღვაწეო (სატკეპნი) ასპარეზია ევროპის დედა-ქალაქების ფართე ქუჩები, ყაყანები და სხვა ადგილები.

ამნაირათ სახელმწიფოთა აქტიური წინააღმდეგობის რკალი თანდათან იშლება ჩვენს ირგვლივ ფორმალურათ მაინც. ღრმა წინააღმდეგობანი, რომლებითაც „გაჟღენთილია" ურთიერთ დამოკიდებულება იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის, საკმაოთ ძლიერი ფაქტორია ჯერ კიდევ, რომ ამ წინააღმდეგობათა ნიადაგზე შესაძლებელი შეიქნეს ნორმალური დამოკიდებულების დამყარება ამ სახელმწიფოებისა ჩვენ კავშირთან და მისი გამოყენება მოწინააღმდეგის საზიანოთ, რასაც ამ შემთხვევაში ეჭვს გარეშე ადგილი აქვს იაპონიასა და ამერიკას შორის.

აღფრთოვანება, რომლითაც შეხვდენ ხელმძღვანელი და გავლენიანი წრეები ტოკიოში ამ ხელშეკრულების დადებას, მაჩვენებელია იმისი, რომ მათი დიპლომატიის ახალ ნაბიჯს ისინი უყურებენ, როგორც მიღერილ მუშტს ამერიკისაკენ, რომლის მიმართ ნაზი, სათუთი გრძნობები არასოდეს არ აღფრთოვანებდენ იაპონელ იმპერიალისტებს.

ჩვენი მხრით, ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს მოხარული არ ვიყოთ საქმეების მიმდინარეობით შორეულ აღმოსავლეთში და კიდევ მეტი ენერგიით არ ვიმუშაოთ ჩვენ სასარგებლოდ ახლა უკვე ამერიკასთან, სადაც თანდათან მტკიცდება იუზის მოწინააღმდეგეთა გავლენა.

საბჭოები და გლეხობა

პოლიტიკური აქტივობა სოფლათ ეს ისეთი მოვლენაა, რომელსაც ადგილი აქვს გლეხობის ორივე ფლანგზე: თავი წამოყო კულაკმა, ამოძრავდა ღარიბი გლეხობა. მთელი რიგი ფაქტები ახასიათებენ ამ პოლიტიკური ენერგიის ზრდას სოფლათ: კულაკების ცდა თავის გავლენის ქვეშ მოაქციონ ადგილობრივი სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი ორგანოები, გლეხთა საზოგადოებრიობის ზრდა, ღარიბი გლეხობის ლტოლვა პარტიისაკენ და ახალგაზრდობის ლტოლვა კომკავშირისაკენ, გაძლიერებული ინტერესი კულტურული აღმშენებლობის საკითხებისადმი—სკოლის, ბიბლიოთეკის, საექიმო საქმის და კეთილმოწყობის საკითხებისადმი, გლეხური პრესის ჩქარი ზრდა და სხვა მოვლენები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური აღორძინების ასეთი ზრდის პირობებში სრულიად ბუნებრივია გლეხთა ცალკე ფენების მისწრაფება მეტი მონაწილეობა მიიღონ ძალაუფლების ორგანოებში და გააძლიერონ თავისი გავლენა სოფლის ცხოვრებაზე. აღორძინების გზაზე დამდგარი სოფლის ბურჟუაზია, როგორც ჩანს, არ ფიქრობს ეხლა აშკარა შეტევა დაიწყოს, აშკარა ბრძოლა გამოუცხადოს საბჭოთა ხელისუფლებას. კულაკური სოფელი ეხლა ცდილობს განმტკიცდეს საბჭოთა ლეგალობის პლატფორმაზე და დაიწყოს ბრძოლა საბჭოების წინააღმდეგ საბჭოების საშუალებით.

მაგრამ სოფლის ბურჟუაზიის „შეტევა" ეჯახება ღარიბი გლეხობის გაძლიერებულ აქტივობას, და ბრძოლა პოლიტიკური ბატონობისა და გავლენისათვის, ბუნებრივათ, იშლება ხელისუფლების ორგანოების—საბჭოების გარშემო. უკვე პოლიტიკური გავლენის მოპოვებისათვის წარმოებულ ამ ბრძოლის ფაქტით გაიაზრება საბჭოების ის მნიშვნელობა, რომელიც მათ ეძლევათ ეხლა სოფლათ. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ სოფლის საბჭოების გაცხოველებაზე, ჩვენ მხედველობაში გვაქვს, რასაკვირველია, არა იმ ბრძოლის გადატანა საბჭოებში, რომელიც ეხლა საბჭოების გარეშე და მათ გარშემო ხდება ხდება, არამედ ისეთი საბჭოების შექმნა, რომლებიც დაეყრდნობიან უპარტიო გლეხთა აქტივს და შესძლებენ დააკმაყოფილონ გლეხობის ღარიბი და საშუალო მასების სამეურნეო, კულტურული და პოლიტიკური საჭიროებები და მოთხოვნილებანი.

ჩვენი პარტიის ამოცანა სოფლათ მუშაობის სფეროში მდგომარეობს იმაში, რომ შექმნილი იქნეს გლეხთა ეს აქტივი, მაგრამ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩახშული არ იქნეს ეს აქტივი, შეზღუდული არ იქმეს მისი ინიციატივა, ფართო გამოსავალი მიეცეს მის ნამდვილ განწყობილებას და ნებისყოფას. პარტიის და კომკავშირის უჯრედების მთელი მუშაობა მიზნათ უნდა ისახავდეს იმას, რომ ფართო გასაქანი მიეცეს გლეხთა მასების თვითმოქმედებას, მათ ხელი კი არ უნდა კრან, არამედ საბჭოების, კოოპერაციის, გლეხკომების და სოფლის ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში უნდა ჩააბან საბჭოთა ხელისუფლების მომხრე უპარტიო გლეხები.

პარტიას არ შეუძლია მთელი საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი მუშაობის სათანადოთ დაყენება სოფლათ მარტო ქალაქიდან გადატანილ კომუნისტების ძალებით. ღარიბი გლეხობის აქტივობა, მისი ლტოლვა გაცხოველებულ პოლიტიკურ და კულტურულ მოღვაწეობისაკენ, მისი ლტოლვა პარტიისაკენ—ყველაფერი ეს გვაიძულებს ჩვენ ეხლა სოფლათ მუშაობის ხელმძღვანელობისათვის საჭირო ძალები გამოვძებნოთ თვით გლეხობაში, მის ყველაზე უფრო შეგნებულ ნაწილში რომელიც გულწრფელათ იცავს სოფლის ღარიბი ფენების ინტერესებს და რომელიც ხელს შეუწყობს კავშირის განმტკიცებას მუშათა კლასსა და გლეხობის შორის.

სოფლის საბჭოები უნდა გახდენ ისეთ ორგანოებათ, რომლებიც გააძლიერებენ კავშირს პარტიასა და უპარტიო გლეხობის შორის. პარტია სოფლად უნდა გამოვიდეს არა როგორც „უფროსი", არამედ როგორც გლეხობის მეგობარი და მოკავშირე, რომელიც უფრო გამოცდილი და მცოდნეა პოლიტიკურად და უფრო განვითარებული კულტურულად. პარტიის მიერ ხელმძღვანელობის გაწევა უნდა განხორციელდეს არა ბრძანებით და ძალდატანებით, არამედ პარტიული უჯრედის ავტორიტეტის საფუძველზე; საჭიროა გლეხობის უპარტიო მასა გაიმსჭვალოს ნდობით პარტიის ორგანოების მუშაობის მიმართ სოფლად.

სოფლის საბჭომ უნდა შესძლოს პარტიის და უპარტიო გლეხობის დაკავშირება. პარტიის ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ უპარტიო მასა გავხადოთ „მორჩილი", არამედ ეს ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გლეხობა გავხადოთ სოფლის სოციალისტური მშენებლობის აქტიურ და შეგნებულ მონაწილეთ და სოფლის საბჭოთა ორგანოების გაჯანსაღების ამოცანის ბეჯით გამტარებლად. აი ამიტომ არის, რომ პარტიას მთელი თავისი ყურადღება გადააქვს სოფლის საბჭოებზე. აი ამიტომ არის, რომ პარტია მიზნათ ისახავს არა შეამციროს, არამედ გააფართოვოს სოფლის საბჭოების უფლებები.

პარტიისათვის თავდადებული გლეხთა აქტივის შექმნა მოსახერხებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენი პარტიული უჯრედები შესძლებენ დაიპყრონ გლეხთა მასის ნდობა, გააუმჯობესონ სოფლის საბჭოების მუშაობა და გააერთიანონ საბჭოების გარშემო გლეხობის ყველაზე უფრო შეგნებული ნაწილი.

ხ. ი.

ბრძოლა საბჭოთა კანონიერების დარღვევასთან სოფლად

სოფლად მუშაობას ერთერთი ძირითადი, გადაუდებელი პრაქტიკული ამოცანაა—სისტემატიური კამპანიის წარმოება თვითნებობის წინააღმდეგ და საბჭოთა რევოლიუციონური კანონიერებისათვის.

ქვედა საფეხურის სოფლის აპარატის მთელ რიგ გამოკვლევებმა, საკავშირო ცაკთან საბჭოთა აღმშენებლობის საკითხის გასასინჯველად მოწვეულმა თათბირმა გამოააშკარავეს ჩვენი მუშაობის ამ ნაწილის სამწუხარო სურათი. მრავალ ადგილებში ქვედა საფეხურის აპარატი ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა „სამხედრო კომუნიზმის" ნაშთებისაგან, ჯერ კიდევ არ გარდაქმნილა, არ შეგუებია იმ ახალ მოვლენებს, რომლებიც მოიტანა ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ. ადმინისტრატიული მმართველ-გამგეობის ძველი მეთოდები, სამწუხაროთ, გამონაკლისს არ შეადგენენ სათემო აღმასკომების, სოფლის საბჭოების და სხვა ორგანიზაციების პრაქტიკულ მოღვაწეობაში. ეპოქის და მეთოდების ასეთ შეუფარდებლობას თან ერთვის კიდევ გახრწნის ის ელემენტები (ქრთამი, ბოროტ-მოქმედება), რომლებიც თან სდევს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას დადებით მხარეებთან ერთად. ყველა ამას დაუმატეთ კიდევ ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატის სუსტათ მომზადებული შემადგენლობა, რომელსაც ხშირათ საკმაოთ შეთვისებული ვერ აქვს საბჭოთა აღმშენებლობის ელემენტარული საფუძვლები, და თქვენ მიიღებთ სოფლის ეხლანდელი მდგომარეობის იმ ფონს, რომელზედაც ერთმანეთს ეჯახებიან მოსახლეობის ფართო მასების გაძლიერებული აქტივობა, თვითმოქმედება და ზემოაღნიშნული ნაკლულევანებები.

აქ არ მოგვყავს უკანონობის, ბოროტ-მოქმედების და თვითნებობის შემთხვევები, რომლებსაც ადგილი აქვს სოფლათ. პრესა საკმაოთ ამხელს მათ. მათ წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი მუშაობის მთავარ საგანს შეადგენს.

გლეხები ეძებენ საბჭოთა კანონიერებას, „სიმართლეს", ისინი გადაჭრით და დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ განხორციელებული იქნეს ის, რაც ნათქვამია დეკრეტში, ინსტრუქციაში, დებულებაში. მათი უფლება ამ მხრივ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს უეჭველათ.

სოფლათ უკანონობის წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდეს როლს ითამაშებს ხსენებული თათბირის მიერ მიღებული დადგენილება რევოლიუციონური კანონიერების შეტანის შესახებ სოფლათ. ეს დადგენილება ყველა საკავშირო რესპუბლიკის ცაკებს, რომლებიც მას გაატარებენ ცხოვრებაში, როგორც სათანადო კანონს. დადგენილება უახლოესი და კონკრეტიული ღონისძიებების სახით აწესებს შემდეგს: საგუბერნიო, საოლქო და სახალხო სასამართლოების სესიების მოწყობა ადგილებზე იმ მიზნით, რომ გეგმაშეწონილი სამსახური გაეწიოს დასახლებულ პუნქტებს; სესიებმა პასუხისგებაში უნდა მისცენ ის თანამდებობის პირნი, რომლებმაც ადმინისტრატიული თვითნებობა ანდა სხვაგვარი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს; პროკურატურის ორგანოების გამგზავრება ადგილებზე იმ მიზნით, რომ მიღებული იქნეს არა მარტო დაწესებულებებში, არამედ სოფლებშიაც სოფლის მოსახლეობის საჩივარი; სასამართლოს და პროკურატურის ორგანოების საშუალებით განსაკუთრებული საანგარიშო კამპანიის ჩატარება სასამართლოს მუშაკების მოღვაწეობის შესახებ მშრომელთა ფართო მასების წინაშე. იმ მიზნით, რომ უპარტიო გლეხობის რაც შეიძლება მეტი რაოდენობა იქნეს ჩაბმული სასამართლოების მუშაობაში, დადგენილება წინადადებას იძლევა მიღებული იქნეს ზომები იმისათვის, რომ უპარტიო გლეხების საგრძნობი რაოდენობა იქნეს გაყვანილი სახალხო მსაჯულებათ, შემდეგ დადგენილებაში აღნიშნულია მთელი რიგი ზომები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ სახალხო სასამართლოების პირადი შემადგენლობის განმტკიცებას და ბრძოლას საქმეების გაჭიანურებასთან და ბიუროკრატიზმთან თვით სასამართლოების შიგნით და სხვა.

ჩვენ ვიცით, რომ ყველა ეს ღონისძიებები ერთბაშად არ მოგვცემენ დადებით შედეგებს. ჩვენ მრავალი წლების განმავლობაში უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ დავაწესოთ და განვამტკიცოთ რევოლიუციონური კანონიერება. ვლადიმერ ილიჩი არა ერთხელ აღნიშნავდა საბჭოთა სახელმწიფო აპარატის სუსტ მუშაობას და ბიუროკრატიული ნაშთების არსებობას ამ აპარატში, რაც შედეგია მოსახლეობის მეტის-მეტად დაბალი კულტურული დონის.

ამრიგათ, ამ დეფექტების აღმოფხვრა მოხდება მოსახლეობის ფართო მასების კულტურული დონის ზრდასთან და თვითმოქმედების და აქტივობის გაძლიერებასთან ერთად. ყოველ შემთხვევაში ამ ზრდის საძირკველი ჩაყრილია, პირველი ნაბიჯი გადადგმულია და ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ამ მხრივ წარმოებული მუშაობა მოგვცემს სასურველ შედეგებს.

მ. რ.

უცხოეთის პრესა
საფრანგეთის „სოციალისტები" და მუშები

ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნავდით, რომ საფრანგეთის სოციალისტებმა უღალატეს უკვე დიდი ხანია პროლეტარიატის დამოუკიდებელ კლასიურ პოლიტიკას და მისჩანჩალებენ უკან, ზურგს უმაგრებენ ბურჟუაზიულ მთავრობას, რომელიც მათ დაუხმარებლათ დაემხობოდა. ამას წინათ მათ ხმა მისცეს ბიუჯეტის ერთი ნაწილის (ექვსი მილიარდი ოცდათექვსმეტიდან) დამტკიცებას.

ამხ. **მარსელ კაშენი** ეხება ამ ფაქტის გამო მენშევიკ-სოციალისტების „მოღვაწეობას" საფრანგეთში და **„ლიუმანიტეს"** ფურცლებზე სწერს შემდეგს:

„პირველათ 1905 წლიდან—ამბობს კაშენი—ე. ი. ოცი წლის განმავლობაში სოციალისტებმა ხმა მისცეს ბიუჯეტის ამ ნაწილს. დღეს მოიმოქმედეს უპროტესტოთ, თავისი საქციელის დაუსაბუთებლათ.

ამნაირათ მათ ხმა მისცეს კრედიტებს ჯარისთვის და სამხედრო-საზღვაო შეიარაღებისთვის; ხმა მისცეს საჭირო თანხებს რურში ჩაყენებულ ჯარების სახარჯოთ; მისცეს ფული გენერალ ლიოტეის მაროკოში სამხედრო ექსპედიციისათვის; მათ დასტური მისცეს საგარეო პოლიტიკას მთავრობისას რომელმაც საიდუმლო ხელშეკრულება დასდო ინგლისის იმპერიალიზმთან, რათა შესძლონ მოსპონ მუშა კომუნისტები და ჩაახშონ საფრანგეთის და ინგლისის კოლონიების მისწრაფებანი; სოციალისტებმა მისცეს მთავრობას საიდუმლო პოლიციის ფული, რათა ჯაშუშობა გასწიონ მუშებში, სდევნონ ისინი რომლებიც იბრძვიან თავის განთავისუფლებისათვის და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ის სოციალისტები, რომლებიც დღეს ხმას აძლევენ ბიუჯეტს, წინათ სასტიკათ ებრძოდენ იმ პოლიტიკას, რომელსაც დღეს აწარმოებენ.

სოციალისტური პარტიის ეს სამარცხვინო გახრწნა, ძირითადი პრინციპების, კლასთა ბრძოლის ელემენტარული ტაქტიკის უარყოფა უნდა ერეკებოდეს ჩვენი პარტიისაკენ ათასობით მუშებს მათი რიგებიდან და პარიზში ეს ასეც არის".

გაზეთში მოთავსებულია ერთი ასეთი მუშის წერილი სოციალისტებისადმი შემდეგი შინაარსის:

„მე ვხედავ, რომ თანდათან ისპობა ის პროგრამა, რომელიც შეიმუშავეს ჟორეს გედმა და პოლ ლაფარგმა, რომლის განხორციელებისათვის თავს ვწირავდი ოცდაათი წლის განმავლობაში. სოციალისტები იცავენ ბურჟუაზიას: ხმას აძლევენ საიდუმლო კრედიტებს და სამხედრო ბიუჯეტს გამოდიან ხალხის ამწიოკებელ სპეკულიანტების და ფულიანების დასაცავათ; ისინი მხარს უჭერენ საიდუმლო დიპლომატიას.

ყოველივე ამის გამო მე სირცხვილით ვწითლდები და აღარავითარ საჭიროებას აღარ წარმოადგენს ჩემთვის დარჩენა თქვენს რიგებში.

„საფრანგეთის მუშათა პარტიას" სამარე გაუთხარა მისმა დამაარსებლებმა, რომლებმაც დაჰგმეს მისი პრინციპები.

მე ვანებებ თავს იმ სოციალისტური პარტიის წევრობას, რომელიც რადიკალურ (ბურჟუაზიულ) პარტიათ გადაიქცა... აღარ ვიხდი საწევრო გადასახადს და აღარც განვაახლებ ხელისმოწერას გაზეთ „ბატაი"-ზე.

რიხარდ კორმან".

ასეთია დღეს მდგომარეობა საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში და მუშების დამოკიდებულება მასთან.

რადიო-დეპეშები

(„როსტა"-ს ცნობები)

დამოკიდებულება იაპონიასთან
საუბარი ამხ. ჩიჩერინთან

მოსკოვი. 21 იანვ. იაპონიის პრესის წარმომადგენელთან საუბრის დროს ამხ. ჩიჩერინმა საბჭოთა კავშირსა და იაპონიის შორის დადებულ ხელშეკრულების შესახებ განაცხადა შემდეგი:

„იაპონია-საბჭოთა კავშირის შეთანხმება, რომელსაც 20 იანვარს ხელი მოაწერეს პეკინში, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საბჭოთა კავშირის ცნობა კიდევ ერთი მთავრობის მიერ; ის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თუ გინდ სადაო საკითხების მოგვარება ორ მთავრობის შორის.

ეს არა მარტო მეგობრული ურთიერთობის დამყარებაა საბჭოთა კავშირის ხალხებსა და იაპონიის შორის, არამედ ის ნამდვილი გარდატეხაა მთელ შორეულ აღმოსავლეთის პოლიტიკაში და თანამედროვე პოლიტიკაში საერთოდ. ჩვენთვის ეს არის ინტერვენციის, სამოქალაქო ომის და მოუგვარებელ ურთიერთობის პერიოდის დასრულება შორეულ აღმოსავლეთში. **ეს არის აღმოსავლეთში ჩვენი პოლიტიკური ურთიერთობის განვითარების დასრულება. ეს არის ჩვენი მდგომარეობის უეჭველი განმტკიცება შორეულ აღმოსავლეთში.**

იაპონიისათვის კი ეს ხელშეკრულება ნიშნავს მეგობრული ზურგის შექმნას იმ შემთხვევისათვის, თუ ის საფრთხის წინაშე იქნება დაყენებული. მასთან დადებული ხელშეკრულება არის განხორციელება საბჭოთა კავშირის ერების ერთერთი მუდმივი მისწრაფებისა.

თუ თავის დროზე თავის პოლიტიკაში იაპონიის მიმართ მეფის მთავრობა თავისი მოუხეშავ-გაუმაძღარი აგრესიულობით ჩამდენელია თავდამსხმელი მხარე იყო,—საბჭოთა წესწყობილების არსებობის პირველ წლებში,—იმ წესწყობილების, რომელიც მიზნათ ისახავს მშვიდობიანობის და ძმობის დამყარებას სხვა და სხვა ერებს შორის, თავდასხმელ მხარეთ, და ისიც ომის გამოუცხადებლათ, იყო იაპონიის მთავრობა. ამ პერიოდს ბოლო მოეღო და იმ არაჩვეულებრივ თბილმა მეგობრულმა მიღებამ, რომლითაც შეხვდენ საბჭოთა კავშირის პირველ წარმომადგენელს იოფფეს, რომელმაც ფეხი შესდგა იაპონიის ტერიტორიაზე, ნათლად დაამტკიცა, თუ რამდენათ შეგნებული აქვს იაპონიის ხალხის ფართო მასებს საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების აუცილებლობა. ის ოვაციები, რომლითაც ტოკიოში შეხვდენ იოფფეს, მჭევრმეტყველური პროლოგი იყო იმ შეთანხმების, რომელიც ეხლა უკვე ხელმოწერილია. იაპონიის მთავრობის მიერ ჩვენ მიმართ დაკავებულ პოზიციაში ღრმა ცვლილება მოხდა და მოლაპარაკების მთელი უკანასკნელი პერიოდი, ამ მოლაპარაკების მთელი ატმოსფერა უკვე ისეთი აღარ ყოფილა, როგორც წინა კონფერენციებზე.

ღრმა განსხვავება ჩვენს წესწყობილებას და იაპონიის წესწყობილების შორის ქმნის ღრმა განსხვავებას იმ პრინციპების სფეროში, რომლებიც საფუძვლათ უდევს ორივე სახელმწიფოების პოლიტიკას.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ იაპონიის მთავრობა ლოიალობას გამოიჩენს ჩვენს მიმართ; მას შეუძლია სრულიად დარწმუნებული იყოს იმაში, რომ ჩვენც ასე ლოიალურათ მოვიქცევით მის მიმართ; არც ერთი მხარე, რასაკვირველია, არ დაარღვევს იმ ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ ხელშეკრულებიდან და მეგობრულ პოლიტიკურ ურთიერთობიდან, და მტკიცეთ დაიცავს მეორე მხარის შინაურ საქმეებში არ ჩარევის პრინციპს.

20 იანვარს ხელმოწერილი შეთანხმება პირველი ნაბიჯია. მისი შედეგები, რასაკვირველია, ღრმა გავლენას მოახდენენ ორივე სახელმწიფოს ურთიერთ დამოკიდებულების მთელს კომპლექსზე.

საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი
საუბარი ჟან ერბეტთან

როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მოსკოვმა.

მოსკოვი. 21 იანვარი. საფრანგეთის ელჩმა მოსკოვში, ჟან ერბეტმა გუშინ მიიღო „როსტა"-ს თანამშრომელი, რომელსაც მან გააცნო მისი შთაბეჭდილებები საბჭოთა კავშირის შესახებ.

„ჩემზე—ამბობს ერბეტი—საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა მოსკოვმა. თუ შევადარებთ ჩემი თვალით ნახულს და იმათ ნაამბობს, რომლებიც გასულ წლებში იყვნენ საბჭოთა რუსეთში, **უნდა აღინიშნოს დიდი წარმატება საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში და დიდი ნაბიჯი პროგრესისაკენ.** თქვენს სავაჭრო დაწესებულებებში ყველგან მე დავინახე ცოცხალი, ენერგიული მუშაობა. ყველას ემჩნევა რაღაც ლტოლვა მუშაობისაკენ ვაჭრობის განსავითარებლად და გასაუმჯობესებლად".

საბჭოთა კავშირის საქონელს დიდი გასავალი ექნება საფრანგეთში.

ერბეტი ეხება საბჭოთა კავშირის სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებების მონაწილეობას ლიონის ბაზრობაზე და ამბობს: „ის, რაც მე აქ ვიხილე, ნებას მაძლევს ვიფიქრო, რომ **საბჭოთა კავშირის წარმოება და საბჭოთა კავშირის საქონელი დიდ ინტერესს გამოიწვევს ლიონის ბაზარზე.** შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ბაზრობაზე მოხდება მრავალი გარიგება საბჭოთა კავშირის საქონელზე.

რაც შეეხება ნიჟეგოროდის ბაზრობას, **მე განზრახული მაქვს მივმართო საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის მთავრობებს თხოვნით, რომ მათ დახმარება აღმოუჩინონ საფრანგეთის სავაჭრო ფირმებს ბაზრობაზე მონაწილეობის მიღებაში.** მე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ ბაზრობაზე ნიჟნი-ნოვგოროდში დავინახავთ მრავალ ფრანგს".

ინტელექტუალური კავშირი საბჭოთა კავშირის ხალხებსა და საფრანგეთს შორის.

შემდეგ ერბეტი ეხება ინტელექტუალურ კავშირს საბჭოთა კავშირის ხალხებსა და საფრანგეთს შორის. ერბეტი სურვილს გამოსთქვამს, რომ რუსებმა შეისწავლონ ფრანგული ენა საფრანგეთის კულტურის შესათვისებლად და საფრანგეთის ხალხის ცხოვრების და მუშაობის გასაცნობად, რაც უსათუოდ სასარგებლო იქნება პრაქტიკულ მუშაობისათვის ორივე სახელმწიფოს შორის ეკონომიური ურთიერთობის განვითარების დროს.

პოლიტიკური ურთიერთობა.

ეხება რა პოლიტიკურ ურთიერთობას საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, ერბეტი ამბობს, რომ ის სიხარულით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ **ამ ორ სახელმწიფოს შორის არც ერთი ნაციონალური ინტერესი არ ეწინააღმდეგება მეორე ქვეყნის ინტერესს.** ორივე მთავრობის მთავარი მოვალეობა, ხელი შეუწყონ საყოველთაო მშვიდობიანობის დამყარებას მთელს მსოფლიოში, ვინაიდან ეს არის პირველი და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პირობა კაცობრიობის განვითარებისათვის.

დასასრულ ერბეტმა დასძინა, რომ მას არ შეუძლია ამ ჟამად შეეხოს საერთაშორისო პოლიტიკის და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის კონკრეტიულ საკითხებს.

კრასინის განცხადება

პარიზი. 23 იანვ. კრასინმა „მატენის" თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ საჭიროა ხელმიწევნით იქნას გარჩეული ორი რამ: ვალების აღიარება და შეთანხმება, რომლის მიზანია ამ ვალების ნაწილობრივი დაფარვა. კრასინმა დასძინა: „საბჭოთა მთავრობა არასოდეს არ ჩასთვლის თავს პასუხისმგებლად ძველ რუსეთის იმპერიის ვალებისათვის. მას მაინც განზრახული აქვს მისი გადახდა შეძლებისდაგვარად და იმ პირობით, თუ სამაგიეროდ მიიღებს მატერიალურ დახმარებას, რაც საჭიროა საბჭ. კავშირის ეკონომიურ ცხოვრების და წარმოების აღსადგენად. რუსეთის ფასიან ქაღალდების მეპატრონეების პრეტენზიები დაკმაყოფილებული იქნება იმ პირობების თანახმად, რომელიც უნდა გამომუშავდეს (ძველი ქაღალდები გამოცვლილი იქნება იმ ახალ წარმოებათა აქციებზე, რომელთა მოწყობაც განზრახულია).

საბჭოთა კავშირის მონაწილეობით

ნიუ-იორკი. 1 იანვ. შტატ უტახის წარმომადგენელმა, რესპუბლიკანური პარტიის წევრმა კონსერვატიულმა სენატორმა კინგმა განაცხადა, რომ ხვალ ის სენატში შეიტანს წინადადებას იმის შესახებ, **რომ საბჭოთა კავშირის მონაწილეობით მოწვეული იქნეს საერთაშორისო კონფერენცია, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი განიარაღების შესახებ.**

ჩვენს ცნობას მოითხოვენ

პრაღა. 23 იანვარი. ჩეხო-სლოვაკიის ნაციონალისტების საპარლამენტო ფრაქციამ მიიღო რეზოლიუცია **საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ ურთიერთობის აღდგენის შესახებ.**

„ახალი ხანა"
„იზვესტია"-ს წერილი

მოსკოვი. 22 იანვ. გაზ. „იზვესტია" მოწინავე წერილში ასეთი სათაურით, იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების გამო სწერს:

„იაპონიაში ხელშეკრულების დადებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ფართო მასებს შორის. იაპონელები იმ აზრის არიან, რომ ამ შეთანხმების დადებით იწყება ახალი ხანა, არა თუ შორეულ აღმოსავლეთის, არამედ მთელი მსოფლიოს ისტორიაში.

იაპონიის მცხოვრებთა აღფრთოვანება ჩვენთვის გასაგებია, იაპონიისათვის შეთანხმება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირისათვის. იგი ეხება იაპონიის არა მარტო ეკონომიურ ინტერესებს, არამედ მის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ინტერესებსაც. თუ როგორ ხასიათს მიიღებს შემდეგში ურთიერთობა იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის, ამაზე დამოკიდებულია იაპონიის არსებობა, როგორც დამოუკიდებელი და გავლენიანი სახელმწიფოსი არა მარტო შორეულ აღმოსავლეთში, არამედ წყნარ ოკეანეზე საერთოთ. საკმარისია ვსთქვათ, რომ თუ იაპონიას ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან უზრუნველყოფილი იქნება, მის დასავლეთ სანაპიროებს არავითარი საფრთხე აღარ მოელის, თუ ომს ექნება ადგილი წყნარ ოკეანეზე. ბოლოს, იაპონიის პოზიცია ჩინეთში და საერთოთ აზიის მატერიკზე განისაზღვრება იმ ურთიერთობით, რომელიც დამყარებული იქნება საბჭოთა კავშირთან.

იაპონია-საბჭოთა კავშირის შეთანხმება თუ ჯერ კიდევ არ განსაზღვრავს ახალ ხანას მსოფლიო პოლიტიკაში, ყოველ შემთხვევაში წარმოადგენს თვალსაჩინო ფაქტს საერთაშორისო ურთიერთობაში. ერთის მხრივ იგი აძლიერებს იაპონიის პოზიციას, ხოლო მეორეს მხრივ ამტკიცებს საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობას".

საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა

პარიზი. 21 იანვ. საფრანგეთის კომპარტიის ყრილობის მეოთხე დღეს ცეკას წევრმა გიმმა მოხსენება გააკეთა საფრანგეთის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთში ადგილი აქვს საქონლის ბრუნვის და ვალიუტის კრიზისს; ეს კრიზისი, რომელიც გამოწვეულია ომით, თანდათან ძლიერდება **და საფრანგეთის მდგომარეობა უარესდება.** მზად უნდა ვიყოთ ყველაფრისათვის.

კამათის დროს დელეგატებს ადგილებიდან შემოაქვთ წინადადებები. ცეკას წევრი შაგანი აკრიტიკებს პოლიტბიუროს მუშაობას და მეთოდებს და აღნიშნავს, რომ ის იხრება სოციალ-დემოკრატიის და მემარცხენე ბლოკის მხარეზე. კერძოდ ის მიუთითებს სადულის საქმეზე.

მაგონის გამოსვლამ დიდი მღელვარება გამოიწვია ყრილობაზე. სიუზანის, მირონის და ტრენის წინადადებით ყრილობა ერთხმად ღებულობს რეზოლიუციას, რომელშიაც ნათქვამია, რომ პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს უფლება აქვთ დაიცვან ის მემარჯვენეებისაგან ყოველგვარი საშუალებით.

ოპოზიციის „ლიდერები" უკან იხევენ
კუკმა უარი განაცხადა [illegible] კონფერენციაში მონაწილეობაზე.

ლონდონი. [illegible]



ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ექსტერიტორიალობის საკითხი ჩინეთში

პეკინი. 23 იანვარი. ამერიკის ელჩი შერმანი გამოვიდა დიდი სიტყვით ჩინეთში დასავლეთის სახელმწიფოების ექსტერიტორიალობის შესახებ.

შერმანის სიტყვით ამ საკითხის შესახებ არსებობს სამი შეხედულება: ევროპის სახელმწიფოები არ თანხმდებიან თავის განსაკუთრებულ უფლებების გაუქმებაზე და ჩინელების უკმაყოფილების ზრდის მიუხედავათ მოითხოვენ პრივილეგიების შენახვას. მეორე შეხედულება მოითხოვს არაჩვეულებრივ ხელშეკრულებათა დარღვევას და ჩინეთის სუვერენულ უფლებათა აღდგენას. შერმანმა განაცხადა, რომ ჩინელებს, რომლებიც იზიარებენ ამ შეხედულებას, ეკუთვნის კარახანი. შერმანმა მოიყვანა 1924 წლის 7 ნოემბრის ამხ. კარახანის სიტყვა, რომელშიდაც კარახანმა განაცხადა, რომ ჩინეთის ხელშეკრულებანი უცხოელ სახელმწიფოებთან არა თუ უნდა გადაისინჯოს, არამედ სრულებით უნდა იქნას გაუქმებული, რადგანაც ამ ხელშეკრულებათა დატოვების შემთხვევაში ჩინეთს არ შეუძლია არსებობა. შერმანის აზრით ეს არის რევოლუციონური პროგრამა, რომელიც აღიარებულ იქნება, როგორც ცდა იმ მსოფლიო რევოლუციის განხორციელებისა, რომლის გაჩაღება დასავლეთში არ მოხერხდა. შერმანი ამბობს, რომ ეს ჩინეთს მეტად სერიოზულ შედეგებამდე მიიყვანდა, რადგანაც თუ ჩინეთმა მიიღო ეს რჩევა და მოინდომა თავის ვალდებულებათა უარყოფა, აუცილებელია ჩინეთის ჩამოცილება ყველა დასავლეთის სახელმწიფოებისაგან. შერმანის აზრით ამ შემთხვევაში ჩინეთი თვითონ გარიცხავს თავის თავს ერთა კავშირიდან.

შემდეგ შერმანმა განაცხადა, რომ ექსტერიტორიალობის განსაკუთრებული უფლების გაუქმება შეიძლება მხოლოდ თანდათანობით, თუ მოხდა ჩინეთის იურიდიული სისტემის რეფორმა, მოსამართლეთა თანამდებობაზე უცხოელი იურისტების მოწვევით.

შერმანის სიტყვამ აღშფოთება გამოიწვია ჩინეთის პრესაში.

როგორ მოხდა ხელშეკრულების მიღება

პეკინი. 23 იანვ. საბჭოთა კავშირსა და იაპონიის შორის ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღეს შესდგა კონფერენციის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც ორივე მხარემ სრულ შეთანხმებას მიაღწიეს. დელეგატების დიდი დაღლილობის მიუხედავათ კარახანის მოთხოვნით გადაწყვეტილ იქნა დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერას, თუმცა იოშიზავა ისევ საწოლში იწვა. ხელისმოწერა მოხდა იოშიზავას კაბინეტში, სადაც გადაიტანეს მისი საწოლი. საბჭოთა კავშირიდან ხელისმოწერას დაესწრნენ კარახანი, საბჭოთა საელჩოს სამხედრო ატაშე პეკინში და საელჩოს წევრები; იაპონიის მხრიდან იოშიზავა და იაპონიის მისიის წევრები. ხელის მოწერის აქტს დაესწრნენ აგრეთვე პრესის წარმომადგენლები. ცერემონია გადაღებულ იქნა კინო-აპარატით.

პრესის აზრი

პეკინი. 23 იანვ. პრესის აზრი იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ საერთოდ დამაკმაყოფილებელია. გაზეთი „პეკინ ჩაინა სტანდარტი" სწერს, რომ ხელშეკრულების მიღება დიდი მნიშვნელობის შედეგია. უნდა მივულოცოთ ორივე მხარეს ასეთი დიდი წარმატების მიღწევა, რადგანაც იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება შორეულ აღმოსავლეთის ისტორიაში ახალი ხანის დასაწყისს მოასწავებს.

ამერიკის ამბები

ნიუ-იორკი. 23 იანვარი. თეთრი სახლის წრეებში მხარს უჭერენ იუზის განცხადებას, რომ პარიზის შეთანხმება ფინანსიური საკითხების შესახებ არ ნიშნავს ამერიკის ჩაბმას ევროპის საქმეებში.

ამერიკის ბიუჯეტი.

ნიუ-იორკი. სენატმა მიიღო სენატორ კინგის შესწორება საზღვაო ბიუჯეტის კანონპროექტში, რომელიც წინადადებას აძლევს პრეზიდენტს მოიწვიოს განიარაღების კონფერენცია ყველა იმ ერების მონაწილეობით, რომელთაც დიპლომატიური ურთიერთობა აქვთ ამერიკასთან, თუმცაღა აქ საბჭოთა კავშირი არ არის ნახსენები, მაგრამ გასულ კვირას კი კონგრესში გამოსვლის დროს მოემხრო საბჭოთა კავშირის მიწვევას კონფერენციაზე. თეთრ სახლში ოფიციალურად ადგენან დაცვის პოზიციას.

ნიუ-იორკი. 23 იანვარი. სენატმა მიიღო ჯონსონის რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს სახელმწიფო მდივნისაგან ცნობების გამოქვეყნებას იმ პირობების შესახებ, რომლებშიაც მოხდა პარიზში შეთანხმება რეპარაციების შესახებ.

ცა იღრუბლება.

ნიუ-იორკი. 23 იანვარი. ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული, თუ რამდენად ძლიერი იქნება სენატის ოპოზიცია პარიზის შეთანხმების საკითხში. შეიძლება ოპოზიციამ გამოიწვიოს სერიოზული კონფლიქტი, რომელიც გააძნელებს თანამშრომლობას კულიჯსა და ბორას შორის.

პროვოკატორი ამერიკაში

აბრამოვიჩის გამოსვლა საბჭ. კავშირის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 23 იანვარი. ამ დღეებში ნიუ-იორკში ჩავიდა რუსი მენშევიკი აბრამოვიჩი, რომელიც ეწევა იქ ანტიკომუნისტურ პროპაგანდას. აბრამოვიჩმა სოციალისტების მიერ გამართულ მიტინგზე გაილაშქრა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, რამაც გამოიწვია კონფლიქტი მემარჯვენე და მემარცხენე ფრთებს შორის. მიტინგზე მონაწილეობას ღებულობდნენ ბუნდისტები და სოციალისტების სხვა ჯგუფები. მემარცხენეებმა პროტესტი განაცხადეს იმ ბრალდებების წინააღმდეგ, რომელსაც უყენებდა აბრამოვიჩი საბჭოთა კავშირს მიმართ. ასტყდა ისეთი ხმაურობა, რომ აბრამოვიჩმა ველარ შესძლო სიტყვის გაგრძელება. მაშინ სოციალისტებმა მოიწვიეს პოლიცია, რომელმაც დაშალა მიტინგი.

აბრამოვიჩს განზრახული აქვს იმოგზაუროს მთელ ამერიკაში. მისი მოგზაურობა მოაწყო სოციალისტური პარტიის ებრაელთა სექციამ.

ესპანელები მაროკოში

ბერლინი. 23 იანვ. ტანჟერის პრესა პროტესტს აცხადებს ინტერნაციონალურ ზონაში აეროპლანებიდან ყუმბარების ჩამოყრის წინააღმდეგ. ესპანეთის მთავრობამ, ოფიციალურ პროტესტის მიღების გამო, გასცა ბრძანება ზონაში ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ. გუშინ ყუმბარამ მოჰკლა ფრანგი ჯარისკაცი, რომელიც იცავდა ბალაბატის მაიაკს. ტანჟერიდან იუწყებიან, რომ ესპანელებმა დაიკავეს ბენისუდი ტლახუმრი. „ჰავასის" სააგენტოს ცნობით მაროკოს მცხოვრებთა წინააღმდეგობა სუსტდება. ესპანეთის მთავრობამ საქმისაგან განთავისუფლა გენერალი ბერენგერი და სარაბია.

ჩეხო-სლოვაკია იშლება

ბერლინი. 23 იანვარი. სლოვაკიის პარტიის ლიდერმა გამოაქვეყნა ღია წერილი, რომელშიაც აცხადებს, რომ ერთ დროს დადებული კავშირი ჩეხიასა და სლოვაკიას შორის უნდა გაგრძელებულიყო მხოლოდ 10 წლით. ამ ვადის გასვლის შემდეგ სლოვაკიას თვითონ უნდა გადაეწყვიტა, სურს მას ეს კავშირი თუ მას თვითონ შეუძლია დაარსოს დამოუკიდებელი სახელმწიფო.

არ აჰყვენ პოლონეთს

ბერლინი. 23 იანვარი. გაზეთების ცნობით, ბალტიის სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ჰელსინგფორსის კონფერენციაზე უარჰყვეს კავშირი პოლონეთთან, რათა არ იქნენ ჩათრეული პოლონეთის ავანტიურულ პოლიტიკაში. ასეთ გადაწყვეტილებაზე დიდი გავლენა იქონია აგრეთვე პოლონეთის უმსგავსო საქციელმა დანციგთან კონფლიქტში.

შეთანხმებელთა ახალი ჯგუფი

ვარშავა. 21 იანვარი. უკრაინელ შეთანხმებელთა გაკოტრების შემდეგ ვოლინში—ლუცკში შეეცადნენ იპოვონ ახალი მოკავშირეები შეთანხმებელთა შორის. ვოლინიდან იუწყებიან, რომ იქ შეერთდნენ პეტლიურას ჯგუფის ნაწილები, პოლონეთ-უკრაინის კავშირიდან გამოსული ელემენტები. ეს კავშირი თავის დროზე დაარსებულ იყო ვოლინის გუბერნატორ ოლშევსკის მიერ. შეთანხმებელთა ჯგუფს სათავეში უდგანან მასწავლებლები პეტრაკოვსკი, ვლასოვსკი და სხვა. შეთანხმებელთა ახალ ჯგუფის უკვე და მეთაურებმა მთავრობისაგან მიიღეს სახარჯო „სახარჯო".

უკრაინის დეპუტატ პოდირსკიმ და მასმა რამდენიმე პარტიულმა ამხანაგმა, რომელთა სახელიც დაკავშირებულია ამ ავანტიურასთან, განაცხადეს, რომ მათ არავითარი საერთო არა აქვთ რა ამ მოძრაობასთან.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 23 იანვარი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის სხდომაზე კომუნისტმა დეპუტატმა კაშენმა გააკრიტიკა მთავრობის საერთო პოლიტიკა; კაშენმა საფრანგეთის მთავრობას ბრალი დასდო იმაში, რომ მან საიდუმლო ხელშეკრულება დასდო პოლონეთთან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. კაშენი მთავრობას უსაყვედურებდა აგრეთვე იმას, რომ ის გარშემორტყმის პოლიტიკას აწარმოებს საბჭოთა მთავრობის მიმართ. ერრიომ პროტესტი განაცხადა კაშენის განცხადების წინააღმდეგ. მან სთქვა: ცხადია, საფრანგეთს აქვს ერთგვარი ურთიერთობა პოლონეთთან. ჩვენ არ დავუშვებთ კონტროლს ჩვენს ნორმალურ ურთიერთობაზე ჩვენს მოკავშირეებთან არც ერთი სახელმწიფოს მხრივ, მე არ დავუშვებ განცხადებას, რომ საფრანგეთი საბჭოთა მთავრობის მიმართ აწარმოებდეს თითქოს გარშემორტყმის პოლიტიკას. ნამდვილად საქმის მდგომარეობა სულ სხვაგვარია, ამ წვრილ სახელმწიფოებს ეშინიათ თავიანთი ცუდი ბედის, ამიტომ ისინი ერთიანდებიან, ერთად ჯგუფდებიან თავის დასაცავად.

ბალტიის სახელმწიფოებში მოხდა ისეთი სერიოზული ამბები, რომ ამ ხალხთა სურვილი—თავის თავის დაცვა სავსებით გასაგები ხდება. საფრანგეთი ყოველთვის აღიარებდა ხაზგასმით იმას, რომ წვრილ ერებსაც ისეთივე უფლება აქვთ არსებობისა, როგორც დიდ სახელმწიფოებს. ერრიო ხაზს უსვამს იმას, თუ რამდენათ სახიფათოა კაშენის თეორია, რომელიც გამსჭვალულია იმპერიალიზმის ფილოსოფიით და რომელიც იცავს იმ თვალსაზრისს, რომ საქართველო დიდ ერთან შეუერთებლათ გადაშენდება".

შემდეგ ერრიო ამბობს: საფრანგეთი არ აწარმოებს საბჭოთა კავშირის მიმართ გარშემორტყმის პოლიტიკას. მას სურს რუსეთის ხალხმა იცხოვროს მშვიდობიანად.

მონარქიული საფრთხე გერმანიაში

კამათი გერმანიის რეიხსტაგში

პირველი საფეხური მონარქიისაკენ.

ბერლინი. 20 იანვ. მთავრობის დეკლარაციის შესახებ კამათი იწყება სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ლიდერის ბრეიდშეიდის სიტყვით, რომელიც შეეხება მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების ვოტუმს.

ბრეიდშეიდის გამოსვლის დროს დიდ შეტაკებას ჰქონდა ადგილი მემარჯვენე დეპუტატებსა და ბრეიდშეიდს შორის. კინკლაობა ბრეიდშეიდსა და მემარჯვენეებს შორის აღწევს კულმინაციონურ წერტილს, როდესაც ბრეიდშეიდი აცხადებს, რომ ლიუტერის მთავრობა წარმოადგენს ეტაპს მონარქიისაკენ, გაისმის ძახილი მარჯვნიდან: „მადლობა ღმერთს, თუ ასეა". მემარცხენეების სკამებზე დიდი ხმაურობაა, რომელიც რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. როდესაც ბრეიდშეიდი ცდილობს დაასაბუთოს სოციალ-დემოკრატების ოპოზიციონური პოზიცია იმით, რომ ლიუტერის კაბინეტს აღებული აქვს ანტიმუშური გზა და მოუწოდებს მუშებს სოციალ-დემოკრატიისათვის პარლამენტის გარეშე მხარის დაჭერას, კომუნისტების სკამებიდან გაისმის ძახილი: „[illegible]".

ნაციონალისტები კმაყოფილი არიან.

ნაციონალისტების ლიდერი ვესტარპი, რომელიც ბრეიდშეიდის შემდეგ გამოდის, აცხადებს, რომ ლიუტერის მთავრობის შედგენა წარმოადგენს პირველ ნაბიჯს ნაციონალისტების სურვილების შესრულებისაკენ. ნაციონალისტები ამჯობინებენ ლიუტერის კაბინეტისადმი გამოეტანათ ნდობის ვოტუმი, მაგრამ ამას ხელი შეუშალა ცენტრის პარტიის პოზიციამ.

შემდეგ ვესტარპი აღნიშნავს, რომ პრუსიის კრიზისი უნდა გადაწყდეს ისე, როგორც საიმპერიო მთავრობის კრიზისი. ლიუტერის დეკლარაცია შეიცავდა ძალიან დიდ დათმობას მემარცხენეებისადმი.

ვესტარპი უკუაგდებს შენიშვნებს ერთა ლიგაში შესვლის, ომისათვის პასუხისმგებლობის და სამუშაო დროის საკითხებს და მოითხოვს მმართველობითი ძალების შემოღებას და ვეიმარის კონსტიტუციის გადასინჯვას.

სოციალ-დემოკრატიული „ოპოზიციის" ფასი.

კომუნისტურ ფრაქციის სახელით გამოდის რუტ ფიშერი, რომელიც აღნიშნავს, რომ მიუხედავათ მთავრობის დეკლარაციის დაჩრდილვისა, ცხადია, რომ ლიუტერის მთავრობა ნაციონალისტური კარნახით იმუშავებს, ასეთი მდგომარეობის შექმნაში, რომელმაც გამოიწვია ლიუტერის მთავრობის შედგენა, დამნაშავეა სოციალ-დემოკრატია, მიუხედავათ თავისი მოჩვენებითი ოპოზიციისა. სოციალ-დემოკრატიის პარტიის მოსყიდვა ხომ ყოველთვის შეიძლება, თუ კი მას მივცემთ ორ სამინისტრო სავარძელს.

სოციალ-დემოკრატია, აღნიშნავს ფიშერი, გამოიყენებს მუშათა მომავალ ბრძოლას სამინისტრო სავარძლების მოსაგებად. მაგრამ კომპარტია გამოააშკარავებს მათ ამ თამაშს. კომპარტია განუმარტავს მუშებს, რომ არაფრის მიღწევა არ შეიძლება კომპრომისების და კოალიციის პოლიტიკით.

ფიშერს სიტყვას აწყვეტინებენ ხმაურობით სოციალ-დემოკრატების სკამებიდან.

ნდობა ლიუტერის კაბინეტს

ბერლინი. 23 იანვარი. რეიხსტაგის სხდომაზე კენჭი ეყარა ნაციონალისტების წინადადებას ლიუტერის მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების შესახებ. კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღო 445 დეპუტატმა, აქედან ფორმულას ხმა მისცა 160, 39 თავი შეიკავა. ნდობის ფორმულას ხმა მისცეს ნაციონალისტებმა, ცენტრის სახალხო პარტიამ, ბავარიის სახალხო პარტიამ და სამეურნეო პარტიამ. წინააღმდეგ მისცეს ხმა: კომუნისტებმა, სოციალ-დემოკრატებმა და ვირტმა. თავი შეიკავეს ლეგტონელებმა და დემოკრატებმა.

ბერლინი. 23 იანვ. გერმანიის რეიხსტაგმა მიიღო რეზოლიუცია ახალი კაბინეტისათვის მხარის დაჭერის შესახებ. რეზოლიუციას ხმა მისცა 246 დეპუტატმა წინააღმდეგი იყო 160 და თავი შეიკავა 39 დეპუტატმა.

პირველი ნაბიჯი

ბერლინი. 23 იანვ. ნაციონალისტებმა რეიხსტაგში შეიტანეს წინადადება, რომლითაც მოითხოვენ სახელმწიფო დღესასწაულად იქნეს დაწესებული გერმანიის იმპერიის გამოცხადების დღე 18 იანვარი. იმპერიის გამოცხადება მოხდა ვერსალში 1871 წ. 28 იანვარს.

სრული თავისუფლება შავებისათვის

ბერლინი. 23 იანვ. ჰიტლერის ნაციონალ-სოციალისტურ პარტიასაც ახლო მომავალში მისცემენ აშკარა პოლიტიკური მუშაობის ნებას ბავარიაში. პარტიის ლიდერად დარჩება ჰიტლერი.

უნდობლობა სოციალ-დემოკრატ მინისტრებს

ბერლინი. 23 იანვ. ნაციონალისტების ფრაქციამ პრუსიის ლანდტაგში უნდობლობა გამოუცხადა პრუსიის კაბინეტის სამ წევრს—სოციალ-დემოკრატებს.

დემოკრატების პოზიცია

ბერლინი. 23 იანვ. დემოკრატების პრესა კომენტარიებს უკეთებს რეიხსტაგში გამართულ პოლიტიკურ ბრძოლებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ რეიხსტაგის დემოკრატიული ფრაქციაც ხმას მისცემს მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმს.

საფრანგეთში უკმაყოფილონი არიან

ბერლინი. 23 იანვ. თითქმის მთელი საფრანგეთის პრესა ძალიან უკმაყოფილოა ახალი რეიხსკანცლერის სიტყვით, რომელიც წარმოითქვა რეიხსტაგში. „ლიბერტე" ფიქრობს, რომ ლიუტერის განცხადება ძალიან თავშეკავებული და ზომიერია, ეს არ არის გულწრფელი. „ეხო დე პარი" ფიქრობს, რომ ლიუტერს არ უნდა ეშინოდეს ოპოზიციის, რადგან ეგრეთ წოდებული „რესპუბლიკანური" პარტიები სავსებით აპატიით არიან შეპყრობილი.

„ნიუ-იორკს ტაიმს" კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ლიუტერი ემხრობა დოუსის გეგმის სინდისიერად ატარებას ცხოვრებაში.

კაჩაზნუნის განცხადება

ერევანი, 23 იანვ. დაშნაკელების მთავრობის ყოფილმა თავმჯდომარემ კაჩაზნუნიმ (ავტორი უცხოეთში გამოცემული წიგნის: „დაშნაკციუტიუნს არაფერი დარჩენია გასაკეთებელი") აცნობა სომხეთის ტელეგრაფის სააგენტოს თანამშრომელს, რომ ის დაბრუნდა სომხეთში, რომ მონაწილეობა მიიღოს სომხეთის აღმშენებლობით მუშაობაში სამოქალაქო ინჟინრის სახით. მისი აზრით, მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში მეტად დამაკმაყოფილებელია. უცხოეთში მყოფ სომხების წრეებს ემჩნევათ თანაგრძნობა საბჭოთა სომხეთისადმი. თვით დაშნაკელებს შორისაც აღარ აქვს ადგილი ძველ აგიტაციას ახალი სომხეთის წინააღმდეგ.

ორშაბათს, 26 იანვარს, საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობისა) იწვევა

თბილისის საბჭოს მორიგი სხდომა

დღის წესრიგი:

1. თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენების გარშემო მსჯელობის გაგრძელება.
2) მიმდინარე საქმეები.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

ნის. 688 2—1. პრეზიდიუმი.

ლენინის გარდაცვალების წლის თავზე

საქართველო

21/22 იანვარი ტფილისში

(შთაბეჭდილებანი)

9 (22) იანვრის ტრაგედიის მოგონებას სამუდამოდ დაუკავშირდა დიდი მოძღვრის, მშრომელთა გამათავისუფლებელის ლენინის სახელი.

9 იანვრის ტრაგედიამ გამოაფხიზლა, თვალი აუხილა რუსეთის პროლეტარიატს და მრავალმილიონიან გლეხობას, მან ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა დიდი მასშტაბიანი მოძრაობას, ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა თავისუფალი შრომის დიქტატურა.

9 იანვარი იქცა დღედ, როდესაც ყოველი მშრომელი გაიხსენებს ბრძოლათა მოგონებებში ჩაძირული სიხარულით და ამავე დროს გულისტკივილით განიცდის რევოლუციონური ბრძოლის ყველა ეტაპს, 9 იანვრის ტრაგედიით დაწყებულს ლენინის გარდაცვალებამდე.

ამ დღეს პროლეტარული ტფილისი, მოკლებული სიხარულის იერს და ბრწყინვალე გარეგნულ მოკაზმულობას, დაუბრუნდა წარსულს, სახელოვანი დღეების მოგონებას.

ამ დღეს მან თავისი აზრი და გონება მთლიანად მიაპყრო ლენინს და მასთან ერთად 9 იანვრის ტრაგედიას.

ღრმა გულისყურით ჩაუკვირდა ლენინის დიდ პიროვნებას, მის ნაფიქრსა და ნააზრევს. კიდევ ერთხელ გაიაზრა, თუ რა მიზეზობრივი კავშირი არსებობს 9 იანვარსა და ლენინს შორის, რათ იმოსება იგი ტრაგიულით ერთი და იგივე მნიშვნელობის ორ მოვლენაზე.

წითელი დროშები შავი არშიებით,—ეს იყო ჩვენი ქალაქის სულისკვეთების გამომხატველი 22 იანვარს.

წითელი ფერი, დაუცხრომელი ბრძოლის ემბლემა ერთდება შავს ფერს—მწუხარების და გლოვის ემბლემას.

მებრძოლთა გულშიაც იჭრება სევდა წუხილი დაკარგულ ბელადზე, ჯანგარიშით დაღუპულ მოძმეებზე.

თეატრებში, კლუბებში, საკრებულო დარბაზებში გაჭედილია მშრომელთა რიგებით.

ფიქრს მიცემული,—დაღვრემილი სახეები ისმენენ წარსულის ამბებს, ილიჩის იშვიათი ცხოვრების და მოღვაწეობის ანნალებს. ორატორი ცდილობს მისცეს თავის სიტყვას სიმარტივე, ჩასწვდეს პროლეტარულ მოძღვრების სიღრმეს და თავისი განცდილი, ნაგრძნობი გადასცეს, გააგებინოს მსმენელებს.

ამ კრებაზე არის ინტიმიური დაახლოვება, ერთი-მეორის მიხვედრა და შეგრძნობა.

ყოველი აქ მოსული მშრომელის აზრი ამ წუთში ერთს პიროვნებას უტრიალებს გარშემო—მთელი სისხლით და ნერვებით უნდა ჩაწვდეს,—გამოიცნოს ამ ბუმბერაზი ადამიანის გამოუცნობი პიროვნება.

პოეტები კითხულობენ ლექსებს, მემუსიკენი ატირებენ ჰანგებს, ხელოვანი აფენენ ქანდაკებებს, მხატვარი სურათებს,—და ყველა მათგანს ერთი აქვთ მიზანი,—წარუდგინონ მნახველს, თუ მსმენელს ლენინის განუმეორებელი სახე, საუკუნოთ აღიბეჭდოს მათ ქვეცნობიერებაში მისი სულისკვეთება, მისი ანდერძი.

ამ დღეს ლენინის კუთხეები გამოდიან ვიწრო ჩარჩოებიდან, ისინი იზრდებიან და იპყრობენ დარბაზებს, ეზოებს, ქუჩებს და მთელი ქალაქის მოქალაქეთა გულს.

გ.

ლენინის ძეგლი ახალციხეში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

22 იანვარს, დღის 1 საათზე გახსნილ იქნა ლენინის ძეგლი მის სახელობის მოედანზე. ზეიმს დაესწრო დიდძალი ხალხი. საღამოზე ლენინის სახელობის თეატრში მრავალი ხალხის თანდასწრებით წაკითხულ იქნა მოხსენებანი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. დანიშნულ საათზე ჯარმა სამჯერ მისცა საპატიო სალუტი და თეატრში კი მღეროდნენ სამგლოვიარო მარშს. საღამოს დასასრულს დადგმულ იქნა ცოცხალი სურათი—აპოთეოზი.

ხმალაძე.

უცხოელი მეზღვაურებიც გლოვობდნენ

ფოთი. 21 იანვარი. ნავთსადგურში მდგომმა გემებმა აღნიშნეს ლენინის გარდაცვალების წლის თავი საყვირების ხანგრძლივი სტვენით.

რუსეთი

სხდომა მოსკოვის დიდ თეატრში

მოსკოვი. 22 იანვ. დიდ თეატრში გაიმართა სხდომა, ლენინის გარდაცვალების წლისათვის აღსანიშნავად.

ტრიბუნაზე არიან: რუსეთის კომპარტიის ცკას, მოსკოვის კომიტეტის, ცენტრალურ საკონტროლო კომისიის, მოსკოვის საკონტროლო კომისიის, რუსეთის ახალგ. ლენინელთა კომკავშირის ცკას და ლენინის სახელობის ინსტიტუტის წევრები. დარბაზი ხალხითაა გაჭედილი. ბევრია გლეხი დელეგატები, რომლებიც მოსკოვში ჩამოვიდნენ ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად. ტრიბუნის თავზე აღმართულია ილიჩის დიდი სურათი. იმ წუთში, როდესაც ლენინი გარდაიცვალა კრება ფეხზე დგება და უსმენს დიდი თეატრის ორკესტრის მიერ შესრულებულ სამგლოვიარო სიმფონიას.

კამენევის სიტყვა

შემდეგ კამენევი ამბობს სიტყვას ლენინის, როგორც პროლეტარიატის ბელადის შესახებ. თავისი სიტყვა კამენევმა დაამთავრა ასე: „30 წლის განმავლობაში ილიჩი სათავეში უდგა ჩვენს პარტიას. თავდაპირველად პარტია წარმოადგენდა მცირე წრეს, იდევნებოდა, მას ასახლებდნენ ციმბირში, კატორღაში, შემდეგ იგი იზრდებოდა და მტკიცდებოდა და თავის ბელადის მეთაურობით იმარჯვებდა. ამ პარტიას დღეს თამამად შეუძლია სთქვას: „ილიჩის მემკვიდრეობას ჩვენ არ დავკარგავთ. მის აღთქმებს არ დავივიწყებთ და მის დროშას ძირს არ დავხრით.

მისი დროშა ხელში უჭირავს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს. მისი საქმე თანდათან იზრდებოდა. ჩვენ ხშირად ვხედავთ თუ როგორ აგონიას განიცდის მსოფლიოში გაბატონებული კლასი. ჩვენ ვიცით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველგან, სადაც მშრომელები იბრძვიან, ძახილზე: „ლენინელებო ბრძოლაში", გვიპასუხებენ: „მზად ვართ".

რაკოვსკის მოგონებები

შემდეგ მოგონებებით ლენინზე გამოდის რაკოვსკი, რომელიც მოუთხრობს დარბაზს ლენინთან პირველ გაცნობას, საზღვარ-გარეთ შეხვედრის და საბჭოთა რუსეთში მასთან ერთად მუშაობის შესახებ. რაკოვსკიმ მოიყვანა შემთხვევა, როდესაც ლენინმა, გერმანიის ელჩს მირბახს 1918 წელს პირდაპირ უთხრა: „ქვეყნის შიგნით ჩვენ მტკიცენი ვართ და არავითარი საშიშროება არ მოგველის, საშიშროება მოგველის თქვენის და მოკავშირეების მხრივ".

„ახლაო, დაასრულა რაკოვსკიმ,—7 წლის შემდეგ ჩვენ იმავე მდგომარეობაში ვიმყოფებით: ქვეყნის შიგნით ჩვენ განვმტკიცდით, საშიშროება კი ჩვენ შეიძლება დაგვემუქროს გარედან. ამ საშიშროების დაძლევა ჩვენზეა დამოკიდებული".

ბუხარინის სიტყვა.

რაკოვსკის შემდეგ გამოდის ბუხარინი, რომელიც ახასიათებს ლენინს, როგორც ადამიანს და ბელადს.

„ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენი უდიდესი ბელადითო,—სთქვა ბუხარინმა, წლიდან წლამდე გაიზრდება ლენინის ფიგურა და მისი მძლავრი გავლენა. ჩვენ დავკარგეთ ლენინში ადამიანი, რომელიც იყო მომავალი ადამიანის წინა სახე. ლენინი აღარ არის ჩვენს შორის, მაგრამ მისი სული თავს დაგვტრიალებს. გაუმარჯოს და იცოცხლოს ლენინიზმა!"

მთელი დარბაზი ფეხზე დგება. ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს".

კრების დახურვის წინ კამენევი აქვეყნებს გერმანიის კომპარტიის ცკას დეპეშას რუსეთის კომპარტიის ცკასადმი. დეპეშაში გამოთქმულია უღრმესი მწუხარება უდიდესი დანაკლისის გამო.

გლოვა მოსკოვში

მოსკოვი, 22 იანვარი. 21 იანვარს მოსკოვი ძაძებში გახვეია, შენობებზე აღმართულია წითელი და შავი დროშები, რუსეთის კომპარტიის ცკას შენობაზე აღმართული დროშა დილიდანვე დახრილია.

18 საათზე და 20 წუთზე—მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესი ბელადის გარდაცვალების მომენტში—მოსკოვში იქუხა სამხედრო სალიუტმა. ამის შემდეგ 3 წუთის განმავლობაში ფაბრიკები, ქარხნები, ორთქლმავლები და სახელოსნოები აღნიშნავდნენ ილიჩის ხსოვნას საყვირების ხმებით. 10 წუთის განმავლობაში მოსკოვის სახელმწიფო დაწესებულებათა შენობებზე აღმართული დროშები დაშვებული იყვნენ. ფოსტამ შესწყვიტა მუშაობა. ტრამვაის მოძრაობაც შეჩერდა 3 წუთით.

კომინტერნის სახელობის რადიო სადგურმა აღნიშნა სამგლოვიარო წუთები იმით, რომ რადიო ტელეფონით გადასცა შოპენის სამგლოვიარო მარში, რომელსაც ასრულებდნენ ორკესტრის სოლისტები.

დიდი მოკრძალებით იქნა მოსმენილი და რადიო გაზეთის მიერ გადაცემული ლენინის სიტყვები.

ძვირფას საფლავთან

მოსკოვი, 22 იანვარი. ლენინის გარდაცვალების წლის თავზე კრემლის კედელი წითელ მოედანზე, ლენინის მავზოლეუმის პირდაპირ, მორთული იყო ლენინის დიდი სურათებით შემდეგი ზედ წარწერით: „ლენინიზმი სცოცხლობს, იმარჯვებს და გაიმარჯვებს". მთელი დღე დაუსრულებელი რიგებით სამგლოვიარო დროშებით მიდიოდნენ მოქალაქენი ბელადის ნეშტის პატივსაცემად. საფლავზე მოგროვდა რამდენიმე ათასი კაცი. ლენინის კუბოსთან იდგენ საპატიო ყარაულები, რომლებიც იცვლებოდენ ყოველ 15 წუთში.

ლენინის მუზეუმი

მოსკოვი, 22 იანვარი. დღეს რევოლუციის მუზეუმში იხსნება ლენინის მუზეუმი.

მუზეუმი მოთავსებულია 4 ოთახში, სადაც თავმოყრილია ყველაფერი, რაც ლენინს ეკუთვნის დაწყებული მისი ბავშვობით და გათავებული გარდაცვალებით. ცალკე განჯინაში მოთავსებულია ილიჩის დოკუმენტები: პარტიული ბილეთი, პირადობის მოწმობები, პასპორტები. ცალკე კუთხე უჭირავს იმ ქოხის ნივთებს, რომელშიაც ლენინი იმალებოდა 1917 წელს: ნაჯახი, ხერხი, თუჯის ქვაბი, ნიჩბები და ცული. შუშის ქვეშ მოთავსებულია ნიღაბი (პარიკი), რომელსაც ლენინი ატარებდა ამ პერიოდში. მუზეუმში ინახება კალამი, რომლითაც ლენინმა ხელი მოაწერა პირველ დეკრეტს საბჭოთა ხელისუფლების შესახებ, რევოლვერი, რომლიდანაც ლენინს ესროლა ესერმა ქალმა ფანი კაპლანმა და ტყვია, რომელიც ამოღებული იყო ლენინის სხეულიდან.

მუზეუმში მოწყობილია ცალკე სამგლოვიარო ოთახი: აქ მოთავსებულია ხატვრულად შესრულებული გვირგვინები, რომელიც ლენინის კუბოზე იყო მიტანილი, კუბოს გადასაფარებელი და სახელურები, რომლითაც მიასვენებდნენ ლენინის ცხედარს, ნიღაბი, რომელიც გადაიღეს ლენინის სახიდან კუბოში.

სამძიმარი ჩინეთის ელჩისაგან

მოსკოვი. 21 იანვ. ჩინეთის სრულუფლებიანმა დიპლომატიურმა წარმომადგენელმა საბჭოთა კავშირში ლი-ტია-ომ ლენინის გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო ჩიჩერინს მიმართა სამძიმრის წერილით. ამასთანავე ლი-ტია-ომ ჩიჩერინს აცნობა, რომ გლოვის ნიშნად ჩინეთის დროშა სრულუფლებიან წარმომადგენლობის შენობაზე დღეს დაშვებული იყო.

პროფ. ოსიპოვის მოგონებანი ლენინის შესახებ

ლენინგრადი. 21 იანვ. პროფ. ოსიპოვმა, რომელიც ლენინს ექიმობდა, როსტას კორესპონდენტთან საუბრის დროს გაუზიარა მას თავისი მოგონებანი ლენინზე:

„დღემდის ძალიან ცოტაა ნათქვამი ლენინის პიროვნებაზე მისი ავადმყოფობის დროს. ამავე დროს, განსვენებულ ვლადიმერ ილიჩის პიროვნების დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა ძლიერი ნებისყოფა, რაც გამოიხატა დასახულ მიზნებისაკენ მტკიცე და გაბედულ ლტოლვაში და ამ მიზნების მიღწევაში მიუხედავათ საგარეო დაბრკოლებათა.

ეს მთავარი თვისება გამომჟღავნდა მისი ავადმყოფობის დროს, როდესაც მან გამოიჩინა არაჩვეულებრივი თავშეკავება, თუმცა აშკარად გრძნობდა ავადმყოფობის სიმძიმეს და მის საბედისწეროთ დამთავრებას.

ის იყო გამოკეთდა ავადმყოფობის პირველ შეტევისაგან და ლენინი მაშინვე შეუდგა პოლიტიკურ მოღვაწეობას მიუხედავად შეზღუდვათა, რომელიც ექიმებმა ურჩიეს მას, ის განაგრძობს მუშაობას.

ავადმყოფობის მეორეჯერ გამწვავების შემდეგ, როდესაც ლენინს აქტიურად მუშაობა აღარ შეეძლო, მას აინტერესებდა ის, რაც ხდება საგარეო და შინაურ პოლიტიკაში.

მესამე გამწვავების შემდეგ, რამაც სრულიად წაართვა მას მეტყველების უნარი, თითქმის სრულიად დაუსპო მას დამოუკიდებელი კითხვის და საკუთარ აზრების და სურვილების გამოთქმის საშუალება,—ლენინი იწყებს ვარჯიშობას ლაპარაკში და მტკიცედ მეცადინეობს თითქმის გარდაცვალებამდე.

ის ათვალიერებს გაზეთებს, ერკვევა მასში წერილების დალაგების მიხედვით, და მოითხოვს, რათა ყოველ დღე წაუკითხონ მას გაზეთები და უამბონ, რაც შიგ სწერია.

ესმოდა რა თავისი ავადმყოფობის მთელი სიმძიმე, ლენინი ირონიულად ხვდებოდა ექიმების და გარშემო მყოფთა დამშვიდებას, მაგრამ მტკიცეთ ებრძოდა თავის სნეულებას.

იგივე ითქმის, იმის შესახებ, რომ ლენინი ცდილობდა აღედგინა თავის დადამბლებულ კიდურების მოძრაობა. ამ მიმართულებით, ბევრ რამეს მიაღწია მან. ლენინი ახერხებდა უკვე დაჯდომას სხვის დაუხმარებლად ჯოხზე დაყრდნობით.

მხოლოდ განსაკუთრებული ნებისყოფის ადამიანს შეეძლო გამოეჩინა ასეთი უნარი ბრძოლისა გარემოსა და თავის თავის წინააღმდეგ მძიმე ავადმყოფობის დროს.

უკრაინა

21 იანვარი ხარკოვში

ხარკოვი. 22 იანვარი. დილიდანვე მთელი ხარკოვი შავებში იყო მოცული. ბევრი სახლების სახურავიდან ძირამდის ჩამოშვებული იყვნენ გრძელი სამგლოვიარო პლაკატები, რომლებიც სავსე იყო სხვადასხვა წარწერებით ლენინის შესახებ. მთელი დღის განმავლობაში ქალაქში გაისმოდა მრავალრიცხოვან ქარხნების საყვირთა ხმა. ბევრმა ფაბრიკებმა, ქარხნებმა და საბჭოთა დაწესებულებებმა ამ დღეს მიიღეს შეფობა სხვადასხვა სოფლებზე.

ოდესა. 22 იან. ყველა გაზეთები გამოვიდნენ სამგლოვიარო არშიით. მთელი პრესა აღნიშნავს—ულენინოთ ერთი წლის მუშაობის შედეგებს უკრაინაში და მის დიად მცნებების ცხოვრებაში გატარებას.

ყველგან გლოვობდნენ

ხარკოვი. 22 იან. კიევიდან, ოდესიდან, ეკატერინოსლავიდან, არტემოვსკიდან, პოლტავიდან და ჩერნიგოვიდან იუწყებიან:

21 იანვარს დილიდანვე ყველა ქუჩებში გამოფენილი იყო სამგლოვიარო დროშები და ლენინის სურათები. ეკატერინოსლავში გახსნეს ლენინის ძეგლი. „კრივოი როგში" გაიხსნა ახალი კლინიკა მუშებისთვის, რომელიც აგებულია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ყველა სოფლებში შესდგა ლენინის ხსოვნის აღსანიშნავი საღამოები.

აზერბეიჯანი

წლის თავი ბაქოში

ბაქო, 23 იანვ. ლენინის გარდაცვალების წლისთავი ბაქოში დიდი ერთსულოვნებით ჩატარდა. ჯერ კიდევ წინა დღით ქალაქმა მგლოვიარე სახე მიიღო. ყოველგან მოსჩანდა შავ არშიიანი და სამგლოვიარო დროშები, ილიჩის სურათები და ბიუსტები.

ზუსტ 18 საათზე და 20 წუთზე დაეშვა დროშები ყველა სახელმწიფო შენობებზე და გემებზე, რომლებიც იდგენ ბაქოს რეიდზე, ამავე დროს ქარხნების და ფაბრიკების საყვირები იძლეოდენ სამგლოვიარო სიმფონიას, სამხედრო გემებიდან გაისმა სროლა ზარბაზნებიდან ქალაქი გაირინდა, შეჩერდა ტრამვაი.

საღამოს ბაქოს და მისი რაიონების ყველა კლუბებში გაიმართა კრებები ილიჩის ხსოვნის აღსანიშნავად. მუშათა უჯრედებში ამ დღეს ხდებოდა დაზგასთან მდგომ მუშების და ახკომკავშირელების პარტიაში მიღება. ქარხნებში გაიმართა კრებები გლეხებთან ერთად.

ყველა წარმოებებში, სადაც ჯერ კიდევ არ იყო გახსნილი ლენინის კუთხეები, მათი გახსნა დაუკავშირეს ამ დღეს.

შესდგა ბაქოს საბჭოს გაფართოებული პლენუმი რაიონულ საბჭოების, აზერბეიჯანის ცაკის, სახალხო კომისართა საბჭოს, აზერბეიჯანის კომპარტიის ცკას და ბაქოს კომიტეტის, რაიკომების, პროფკავშირთა საბჭოს, პროფკავშირთა გამგეობების და სამხედრო ნაწილების წარმომადგენელთა მონაწილეობით. სიტყვები წარმოსთქვეს აზერბეიჯანის ცაკის თავმჯდომარემ აგამალი-ოღლიმ და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ მუსაბეკოვმა, რომლებმაც განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს ლენინის დამსახურებას ნაციონალური საკითხის გადაჭრაში.

მოკლე მოხსენებებით ლენინის გარდაცვალების შემდეგ გაწეული მუშაობის და მიღწეული წარმატებების შესახებ გამოვიდნენ აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს, ქალთა განყოფილების, წითელ ასკერების, თურქ და რუს მასწავლებლების, კომკავშირის, პიონერების წარმომადგენლები და სხვები. თვითეული ორატორი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირის და მთელი მსოფლიოს მშრომელები ვალდებული არიან ცხოვრებაში განახორციელონ ლენინის ანდერძი.

დასასრულ მუშათა დრამატიული წრეების ძალებით გაიმართა წარმოდგენა, მიძღვნილი ლენინისადმი.

უცხოეთში

შვეციაში

სტოკჰოლმი. 23 იანვ. სტოკჰოლმში გაიმართა საბჭოთა დაწესებულებების ყველა თანამშრომელთა კრება ლენინის და 9 იანვრის ხსოვნის აღსანიშნავად. სიტყვები წარმოსთქვეს ლიუბოკიმ, კინგინმა და სხვებმა.

იაპონიაში

ტოკიო. 23 იანვარი. ლენინის გარდაცვალების წლის თავი ტოკიოში აღნიშნული იყო მთელ რიგ მიტინგების გამართვით. კორეის ორგანიზაციამ მიტინგზე დაადგინა ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად კორეის მუშათა სრულიად იაპონიის კავშირის

კომუნისტების დემონსტრაციები ბერლინში

ნაუენი, 23 იანვ. ბერლინში ლენინის გარდაცვალების წლის თავზე კომუნისტებმა მოაწყვეს დიდი დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო დაახლოვებით 30,000 კაცმა. დემონსტრანტებმა გაიარეს ქალაქში საბჭოთა ემბლემებით და დროშებით

კომუნისტი

პარტიული ცხოვრება

პარტმუშაობა ლანჩხუთის რაიონში

1922-1924 წლის ბოლო რიცხვამდე ლანჩხუთის რაიონში პარტიული მუშაობა მოდუნებული იყო, მაგრამ რამდენიმე თვეა მუშაობას დაეტყო გამოცოცხლება. კრებები ყველა უჯრედებში თითქმის სისტემატიურათ მიმდინარეობს, სწარმოებს მეცადინეობაც. რაიკომის მდივანი ხშირად დადის თემებში უჯრედების კრებებზედ, აკეთებს იქ მოხსენებებს და არკვევს ადგილებზედ გაურკვეველ კითხვებს.

რაიკომმა ყურადღება მიაქცია რაიონში არსებულ ყველა დაწესებულებებს. გაითვალისწინა მათი მუშაობა და მოქმედებანი, რასაც დღემდის ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული; მოწყობილი იქნა მილიციის საჯარო გასამართლება, სადაც გლეხებს სთხოვდნენ ემხილებიათ ან და ფარულათ ეცნობებიათ მილიციის მათდამი უდიერათ მოპყრობა, მაგრამ ასეთები არ აღმოჩნდენ.

მთავარი ყურადღება მიექცა კოოპერატივს. რაიკომმა გაითვალისწინა კოოპერატივის გამგეობის გასული საანგარიშო წლის დეფექტები, მიუთითა მას დაშვებულ შეცდომებზედ და მისცა ახალი მუშაობის დირექტივები, რაიც გამოიხატება: მოქალაქთადმი ზრდილობიან მოპყრობაში, პირველ მოთხოვნილების საგნების შეძენაში, ფუფუნების საგნების ნაცვლად, უთავბოლო ხარჯების, გაბერილი შტატების და ჯამაგირის შემცირებაში და სხ.

ყურადღება მიექცა აგრეთვე ხე-ტყის უთავბოლო გაჩეხას და გამოირკვა, რომ ტყის დაცვა ვერ შეუძლია ორ დარაჯს და ყოფილა ხე-ტყის მასიური ქურდობა. ტყის ადმინისტრაციას მიუღია ზომები და განუცხადებია მეშეშეებისათვის, რომ მათ არ ეყიდნა ის შეშა ვისაც არ ექნებოდა შეშის ბილეთი ან და სათანადო ნებართვა, მაგრამ მეშეშეებს მაინც გაუშვია ორასზე მეტი ვაგონი შეშა. გამოირკვა ისიც, რომ მეშეშე გლეხს ურიცხავდა 5—8 მანეთს ე. ი. ბილეთის საფასურს და გლეხს ეუბნებოდა ბილეთი რე უნდა ვიყიდო, რადგან შეშა შენ ნაპარავი გქონიაო. მაგრამ ეს ფულები დღემდის „ალახმა" უწყის სად მიდიოდა. რაიკომმა დანიშნა სპეციალური კომისია საქმის გამოსარკვევათ. ტყეების უთავბოლო განადგურების მოსასპობათ მიღებულია სასტიკი ზომები, ვინაიდან მისი განადგურება ნიშნავს ხალხისვე განადგურებას.

ა. იმნაიშვილი.

ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში

9 იანვარს პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში შესდგა გაერთიანებული და მუშათა ფაკულტეტის კრება პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის და მუშათა ფაკულტეტის კომუჯრედებისა. კრებას დაესწრო კომკავშირის წევრები და უპარტიო სტუდენტობაც. მოკლე და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა პროფ. დუზენკომ დოუესის გეგმის შესახებ. მან აღნიშნა თუ რას უქადის დოუესის გეგმის სახით ამერიკის ბანკირი მორგანი კერძოთ გერმანიის და საერთოთ ევროპის პროლეტარიატს.

„ერთის მხრივ შავი ბაირაღი, რომლის ირგვლივ იჯგუფება მსოფლიო კაპიტალი და მეორე მხრივ წითელი დროშა, რომელიც აერთიანებს მსოფლიო პროლეტარიატს ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად. მჭიდრო რიგები, მჭიდრო კავშირი მშრომელი მასებისა წითელ კომინტერნის დროშის ქვეშ უტყუარი და აუცილებელი თავდებია ჩვენი საბოლოო გამარჯვებისა" დაამთავრა მან თავისი სიტყვა.

დაბოლოს ერთხმად გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუცია; მოხსენების შემდეგ პარტიაში მიღებული იქნა კანდიდატებათ 6 კაცი.

პარტკორი ალ. გალი.

ჩვენი მორიგი პოლიტიკური - განმანათლებელი ამოცანები.

ს. ს. რ. კ. მესამე და ოქტომბრის ავანგარდი კომუნისტური პარტია იშვიათი სისწრაფით იზრდება და ვითარდება.

ასეთ პირობებში კ. პ. ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანათაგანია: იდეოლოგიურ ფრონტზე საერთო ბრძოლის და მშრომელ ხალხში სოციალიზმის და კომუნიზმის იდეიათა აგიტაცია-პროპაგანდის გაძლიერება.

კომპარტია კარგათ ითვალისწინებს ამ ამოცანის დიად მნიშვნელობას და მის გადასაჭრელად კიდევაც აწარმოებს ენერგიულ მუშაობას.

მაგრამ ეს მუშაობა ხვდება რა უდიდეს დაბრკოლებებს და ამასთანავე აღარებს რა ზოგიერთ ნაკლულოვანებასაც, ჯერ-ჯერობით ვერ აღწევს სათანადო წარმატებას. ამ მხრივ საქმე ჩამორჩენილია უმთავრესათ პროვინციებში. უნდა აღინიშნოთ, რომ პროვინციის პოლიტ-განები, ვერ დგანან სასურველ სიმაღლეზე და შესაფერისათ ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, ისინი სხვა საქმიანობას (წარმოდგენებს, ზოგჯერ ლოტოს და სხვა გასართობების მოწყობას) უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, ვინემ თვით პოლიტ-განმანათლებელ მუშაობას. ასევე ნაკლებ ინტერესს იჩენენ ამ საქმისადმი პროვინციის პროფკავშირები.

საჭიროა ამ მდგომარეობას ყოველ მიზეზს გარეშე თავი დავაღწიოთ. ამისათვის კი აუცილებელია მუშაობის უფრო მეტად გაცხოველება.

მაგრამ როგორ შეიძლება ეს?

1) თუ პოლიტ-განმანათლებელი მუშაობა მიიღებს უფრო მასიურ ხასიათს.

2) თუ პოლიტ - განმანათლებელ მუშაობაში მჭიდროთ ჩავაბამთ პროფკავშირებს და პოლიტ-განებს, რომლებიც წარმოდგენებთან და სხვა საქმიანობასთან ერთად სისტემატიურად მოაწყობენ სხვა და სხვა პოლიტიკურ თემებზე მოხსენებებს და ლექციებს.

3) თუ გავაძლიერებთ მუშაობას პარტ-სკოლებში და პოლიტ-წრეებში.

არტო მურაჩაშვილი.

საშეფო კომისია სოფ. ყვიბისში

(ბორჯომის რაიონი)

სოფ. ყვიბისზე აქვს აღებული შეფობა ბორჯომის რკინის გზის დეპოს კომუჯრედს. 15 იანვარს საშეფო კომისია გაემართა სოფ. ყვიბისში მუსიკით და წითელი დროშით. შეფის მიერ დადგმული იქნა წარმოდგენა, რომელიც საუცხოოდ ჩატარდა. წარმოდგენას დაესწრო ყვიბისის გლეხობა, ახალგაზრდა ქალები და სხვა. წარმოდგენის გათავების შემდეგ, შეფმა დაურიგა ღარიბ გლეხებს 6 ფუთი ნავთი, რვეულები მოწაფეებს, ორ-ორი გირვანქა საპონი, ათ-ათი კოლოფი სპიჩკა, ჩაის ჭიქები, ლამბაქები და სხვა ნივთები. შეფის ასეთ გადადგმულ ნაბიჯმა დიდი აღტაცება გამოიწვია ყვიბისის გლეხობაში.

ამასთანავე სასურველი იქნებოდა, რომ ამ სოფლის შეფი დაეხმაროს ყვიბისის კომუჯრედს და გლეხობას კლუბის აგებაში, ვინაიდან ყვიბისის კლუბის შენობა მოითხოვს შეკეთებას.

ნ. ლოტოევი.

1-ლი საარტ. ლეგიონის მე-3 ბატარეის კომუჯრედის მუშაობა

ის უჯრედი აერთიანებს 20 მდე ამხანაგს. კრებები კვირაში იმართება ერთხელ. პარტ. და კომკავშირელ ამხანაგებს ეძლევათ თემები მოხსენებების გასაკეთებლათ, რის გამო უჯრედის აქტივობის ზრდა მეტად თვალსაჩინო ხდება.

უჯრედს მჭიდრო კავშირი აქვს კოლექტივის ბიუროსთან, საიდანაც იღებს სათანადო დირექტივებს მუშაობის საწარმოებლათ. ხშირათ იმართება ღია სხდომებიც, რომლებსაც ესწრებიან საგრძნობი რიცხვი უპარტიო წითელ-არმიელებისა. უჯრედი დიდ ყურადღებას აქცევს წითელ-არმიელთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმესაც. უჯრედს აქვს აგრეთვე პოლიტკუთხე, სადაც დაინტერესებული წითელ-არმიელები დიდ აქტივობას იჩენენ მუშაობისადმი.

უჯრედის სამოქმედო პროგრამაში მთავარი ადგილი უჭირავს საშეფო მუშაობას. ჩვენს ბატარეიაზე შეფობა აქვს აღებული გრ. ხილ ავჯეულობის ქარხნის მუშებს. ურთიერთ შორის მჭიდრო კავშირის დასამყარებლათ ხშირათ იმართება მუშებისა და წითელ-არმიელთა საერთო კრებები, სადაც კეთდება მოხსენებები როგორც ჩვენი, ისე მათი მუშაობის შესახებ.

წითელ-არმიელთა სამეურნეო ცხოვრებასთან დაახლოვების და გაცნობის მიზნით, მესამე ბატარეიაში მოწყობილია კუთხე გრ. ხილ ავჯეულობის ქარხნის ნაწარმოებებისა.

ამასთანავე ოქტ. დღესასწაულის 7 წლის თავზე გახსნილი იქნა კლუბი კლუბმა მიიღო „გრ. ხილ ავჯეულობისა და საარტ. ლეგიონის" სახელწოდება.

უჯრედის მიერ აგრეთვე მოეწყო წითელ-არმიელთა ექსკურსია ზემოხსენებულ ქარხანაში.

ჩვენი მჭიდრო კავშირი ამ შემთხვევაში აიხსნება იმითაც, რომ ჩვენს ბატარეიაში ამ ქარხნიდან არიან გამოწვეული დაზგასთან მდგომი მუშებიც.

წით. არმ. მ. კუხალეიშვილი.

ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის ცხოვრებიდან

გორის 1-ლი შრომის სკოლის ბავშვთა კომორგანიზაცია

გორის 1-ლ შრომის სკოლაში დაარსებულია „ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის ლ. ს. ბ. კ. ორგ. ნ. პიონერთა" კოლექტივი, სადაც სისტემატიურად მიმდინარეობს მუშაობა.

ბავშვთა მეცადინეობას მეტად ხელს უშლის სკოლის გამგე სვიმონ ჟულაშვილი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ძველი „ჩინოვნიკური" ზნე-ჩვეულებისაგან. ეს გამგე ამავე სკოლის შენობაში სცხოვრობს. ბავშვების მეცადინეობის დროს გამოცხადება ხოლმე დარბაზში ხან მთვრალი, ხან ფხიზელი და დაუწყებს ჩხუბს. ჩვენ არ ვიცით თუ რა არის ამის მიზეზი. მხოლოთ ცხადია ის, რომ დაუყოვნებლივ საჭიროა ამ ვაჟბატონის ამ სასწავლებლის შენობიდან ალაგმვა, რადგანაც მას ჯერაც სავსებით ვერ შეუგნია, თუ რას წარმოადგენს ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაცია.

პიონერი ს. თურაზაშვილი.

ბავშვთა ორგანიზაცია ერწოს რაიონში

(თიანეთის მაზრა).

ამ რაიონში ლადო სუხიშვილის სახელობის ბავშვთა კოლექტივი დაარსებული იქნა ნოემბერში 1924 წ. ამხ. გიგაურის ინიციატივით. ამჟამათ მთელ ამ რაიონის მასშტაბით პიონერთა რიცხვი აღწევს 400 კაცს. ყველანი უღარიბესი გლეხების შვილებია, ამათში უმრავლესობა მოსწავლე ბავშვებია.

ამ კოლექტივის შემადგენლობა შესდგება სოფლისაგან: სოფ. სვიმონიანის ხევი, თოლენჯი, ნადოკრა და ღულელეთი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კოლექტივს არა აქვს არავითარი ნივთიერი საშუალება, რომ გამოუშვან კედლის გაზეთი. დაარსონ კუთხეები და სხვა, ვინაიდან მათ დახმარებას არავინ არ აძლევს.

მთელი ეს რაიონი ითვლება ერთ-ერთ ჩამორჩენილ რაიონად თიანეთის მაზრაში. ამ რაიონში არ არის გლეხთა კლუბი: თუმცაღა არის შენობა, რომელსაც ესაჭიროება შეკეთება, მაგრამ მას არავინ ყურადღებას არ აქცევს. კულტურული ძალებიც ბევრი მოიპოვება ამ რაიონში, როგორც არის მასწავლებლები, ექიმი, და სხვა. კლუბი რომ მოეწყობილიყო შესაძლებელი იქნებოდა კულტურული მუშაობის გაჩაღება გლეხობაში და მით ბავშვთა ორგანიზაციას მიეცემოდა თავის მუშაობისათვის ფართო გასაქანი. ამას უნდა მიაქციოს ყურადღება როგორც ადგილობრივმა კომუჯრედმა, ისე ამ კომკავშირის უჯრედმა და აღმასკომმა. საჭიროა ბავშვთა ორგანიზაციას აღმოუჩინონ აგრეთვე მატერიალური დახმარებაც. კომკავშირის თბილისის საგუბერნიო კომიტეტის უშუალო მოვალეობას კი შეადგენს მიიღოს ყოველგვარი ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ვ. მკუბარგია.

ამინდი საქართველოში

რკინის გზებზე

22 იანვარი.

22 იანვარს მთელ საქართველოში განუწყვეტლივ თოვდა. ნამქერით ისევ დაიფარა რკინის გზები. მატ. № 8—შეჩერდა ხაშურში. სად. ძირულაზე შესასვლელი ისრები დაფარული იყო ნამქერით. გზის გასაწმენდათ გაიგზავნენ მუშები. მატ. № 9 შეჩერდა ზესტაფონში მატ. № 105 გაჭედა მოლითი-წიფას შუა, რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდა უკანვე მოლითში. მატ. № 7 შეჩერდა ხარაგოულ-მარელისის შუა 143 ვერსზე მარელისიდან გაიგზავნა მუშათა დამხმარე მატარებელი. ძირულაში შეჩერებულია მატ. № 106, რომლის გამგზავრება შეუძლებელი ხდება დიდი თოვლის გამო.

სამგზავრო მატარებელი № 7 შეჩერებულია კოპიტნარში. სამტრედიიდან გაიგზავნა მუშათა დამხმარე მატარებელი ზესტაფონამდე. სამგზავრო მატარებელი № 22 სდგას კოპიტნარში, საიდანაც იგი გაემგზავრება მუშათა დამხმარე მატარებლის მოსვლის შემდეგ. სამგზ. მატ. № 3 შეჩერებულია სამტრედიაში და დარჩება მანამდე, ვიდრე ზესტაფონიდან არ დაიძვრება სამგზ. მატარებელი № 9.

ტყვიბულის ხაზზე თოვლ-მწმენდი მანქანა გაემგზავრება საწირიდან დაბრუნების შემდეგ, რადგან თოვლ-მწმენდ მატარებელს შემოაკლდა მაზუთი. სანამ გზა არ გაიწმინდება ტყვიბულის ხაზზე მატარებელი არ გაიგზავნება.

სამგზ. მატ. № 4 1 საათსა 30 წუთზე გავიდა გომიდან, მაგრამ დიდი ნამქერის გამო უკანვე დაბრუნდა, 3 საათ. 40 წუთზე იგივე მატარებელი ხელმეორედ გაემგზავრა, მაგრამ გზაზე გაჭედა და ვერ დაიძრა, ვიდრე გზა არ გაიწმინდება.

ხაშურიდან გამოგზავნილ იქნა თოვლ-მწმენდი მატარებელი, გზა გაწმენდილ იქნა, სამგზავრო მატარებელი № 5 მოვიდა ხაშურში საღამოს 5 საათ. 50 წ.

ქვიათურის ხაზზე მოდის დიდი თოვლი.

სამგზ მატარებელი № 3 დგას მარტოთუბანში, საიდანაც გზის გაწმენდის შემდეგ მატარებელმა განაგრძო გზა, მაგრამ სად. შორაპანთან შესასვლელ ისრის ნამქერით დაფარვის გამო ისევ შეჩერდა.

ბათომში ღამით განუწყვეტლივ სწვიმდა.

დანარჩენ ხაზზე მშვიდობიანობა იყო.

23 იანვარი.

ბათომში 22 იანვრის საღამოდან დაწყებული 23 იანვრის დილამდე განუწყვეტლივ სწვიმდა.

სამტრედია-ნაკაშებს შუა მთელი ღამე სთოვდა. თოვლის სიმაღლე ამ რაიონში უდრის 12 ვერშოკს. სამტრედია-ფოთს შუა თოვლის სიმაღლე ერთ არშინს აღწევს.

ქუთაისს-ტყიბულის შუა ძევს არშინ ნახევარი თოვლი. ზესტაფონ-ხაშურის რაიონში ზოგიერთს ადგილებზე თოვლის სიმაღლე 2 არშინს აღწევს, ხაშურ-სურამის რაიონში გაკვებულია.

ბორჯომის შტოზე მიმოსვლა შეწყვეტილია და ვერ განახლდება, ვიდრე თოვლწმენდი მანქანა გზას არ გასწმენდს. შტოს გასაწმენდათ გაგზავნილია მრავალი მუშა, მაგრამ დიდი თოვლის გამო მუშაობა უნაყოფოა.

საულელტეხილო უბნის მთავარ ხაზზე მატარებელთა მოძრაობა შეჩერებულია და გზის გაწმენდამდე ვერ განახლდება. სამგზავრო მატარებელი №№ 4 და 10 სდგას—ხაშურში, სამგზ. მატ. № 8 სდგას ხარაგოულში, № 9 სდგას ზესტაფონში, № 7 სად. რიონზე, მატ. № 3 სამტრედიაში, 23 იანვარს 8 ს. 40 წუთზე სამგზავრო მატარებელი №№ 106 და 117 სდგას ძირულაში, № 105 მარელისში 104 ზესტაფონში.

შორაპნიდან და ხაშურიდან ულელტეხილზე გაიგზავნა თოვლმწმენდი მატარებლები. როგორც იტყობინებიან 148 და 158 ვერსებს შუა იმდენად დიდ ნამქერია, რომ გაწმენდას დიდი დრო სჭირია. მიღებულია ყოველგვარი ზომები, მაგრამ იმის გამორკვევა, როდის გაიწმინდება გზა, ძალიან ძნელია. ქვიათურიდან გუშინ 20 საათზე გაიგზავნა თოვლსწმენდი მატარებელი, მაგრამ მარტოთ უბანს და ბოსლევს შუა გაჭედა. შორაპნიდან გაიგზავნა 2 დამხმარე მატარებელი.

ტყიბულის ხაზზე მუშაობს თოვლმწმენდი მატარებელი, მოძრაობა შეწყვეტილია.

გუშინ ორ საათისათვის არ თოვდა, მაგრამ ამინდი ისეთი იყო, რომ მოსალოდნელი იყო თოვლის განახლება.

მოძრაობა ბათომს-სამტრედია-ფოთის ოზურგეთს შუა შეუჩერებლივ სწარმოებს.

მოლითის ხაზზე შეჩერდა მატ. № 105. წიფიდან გაიგზავნა დასახმარებლად ორი ორთქლმავალი, რომელიც შეაჩერა დიდმა თოვლმა.

კიდევ სიცივეები

ახალ-სენაკი. 22 იანვ. შეუჩერებლივ მოდის თოვლი, ახლათ დაიჭირა დიდი სიცივეები.

ქუთაისშიაც დიდი თოვლია

ქუთაისი. 21 იანვ. 21 იანვრის თბილი ღამის შემდეგ ისევ მოვიდა თოვლი ერთ არშინამდე. დამტვრეულია ბევრი ხილის ხეები. მაზრასთან მიმოსვლა ძალიან გაძნელებულია. ეტყობა საქონლის საკვების ნაკლულევანება.

სიცივეები ფოთში.

ფოთი. 21 იანვ. დილიდან დაწყებული დროგამოშვებით მოდის თოვლი. ტემპერატურა დაეცა. დიდი ქარბუქი ტრიალებს სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. თბილისის მატარებელი მოვიდა ხუთი საათის დაგვიანებით.

საღამოს 9 საათზე მიღებული ცნობები

23 იანვარს მთელი დღის განმავლობაში თოვდა. რკინის გზები საქართველოს ხაზზე ისევ დაიფარა დიდი ნამქერით. მატარებლის მოძრაობა თბილისიდან შორაპნამდე შეწყვეტილია. მატარებლები შეჩერებული არიან სადგურებზე. გუშინ ღამით არც ერთი სახალხო მატარებელი თბილისიდან ბათომისაკენ არ გამგზავრებულა. მოძრაობა შეწყვეტილია დიდი თოვლის გამო ხაშურ-ბორჯომის რკინის-გზის შტოზე. [illegible] სადგურებზე მუშაობენ თოვლმწმენდი ორთქლმავლები და დამხმარე მატარებლები. როდის განახლდება პირდაპირი მიმოსვლა ჯერჯერობით გამოურკვეველია.

გუშინღამ საქართველოს ყოველ კუთხეში განუწყვეტლივ თოვდა და ქროდა საკმაოდ ძლიერი ქარი.

სამტრედია-ბათომს შუა დიდი თოვლია, მაგრამ მიმოსვლა მაინც შეწყვეტილი არ არის.

კახეთის რკინის გზის შტოზე ჯერჯერობით ნორმალური მოძრაობაა.

საქონელი იხოცება

ქუთაისი. 23 იანვარი. დიდი თოვლის მოსვლის გამო სრულიად შესწყდა მიმოსვლა რაიონებთან, ამის გამო სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეკრება ნელის ტემპით მიმდინარეობს. 23 თებერვლამდე შემოსულია 78 ათასი მანეთი.

მთელ მაზრაში საქონლის საკვებად ბალახის დიდი ნაკლებობაა, განსაკუთრებით დიდ კრიზისს განიცდის ოკრიბის რაიონი, სადაც სიმშილისაგან დაიღუპა რამდენიმე ათეული სული საქონელი.

მუშათა ახალგაზრდობის განათლების საკითხები

გეგმიანი მეურნეობის მოწყობა სოციალისტური საზოგადოების ძირითადი ამოცანაა, რითაც ის ძირითადათ განირჩევა კაპიტალისტური საზოგადოებიდან. ის მისწრაფვის ისეთი მეურნეობის მოწყობისაკენ, სადაც დაწვრილებით აღნუსხული იქნება გეგმიანი განაწილება როგორც ნაწარმოების, ისე მწარმოებელი ძალის. თვითეული მუშა დაინტერესებული იქნება შრომის ნაყოფიერების გადიდებაში და წარმოების განვითარებაში.

წარმოების ასეთი მოწყობა კი მოითხოვს წარმოებაში ჩაბმული იქნას შეგნებული და აქტიური მომუშავეები, რომლებიც გამსჭვალული იქნებიან როგორც თავისი კლასიური ინტერესებით, ისე იმ აზრით, რომ გეგმიანი წარმოების მოწყობა მუშათა კლასის ძირითადი ამოცანაა, რომელიც თვით მუშათა კლასის საშუალებით უნდა გატარდეს.

ჩვენი სუსტი ტეხნიკა და მუშათა დაბალი კვალიფიკაცია ძლიერ უშლის ხელს წარმოების ინტენსიურ ზრდას.

კაპიტალისტური წარმოების დროს აუარებელ ახალგაზრდობას ერეკება წარმოება თავისაკენ. ამ მიზნით იარსდება სხვა და სხვა სკოლები; სადაც ახალგაზრდობას საშვალება ეძლევა მიიღოს განვითარება, რომ კაპიტალისტმა ამით შესძლოს მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება, უფრო მეტი სარგებლობის მიღება.

სოციალისტური წესწყობილების დროს, ახალგაზრდობის განათლების საკითხს უფრო სხვა მნიშვნელობა ეძლევა. მუშათა ახალგაზრდობას განათლება სჭირია პროლეტარულ სახელმწიფოს თავისი კლასიური ინტერესებისათვის და წარმოების გაუმჯობესებისათვის.

მუშათა ახალგაზრდობის სკოლა კი ამზადებს კვალიფიკაციურ მუშებს, რომლებიც აწარმოებენ სოციალისტურ დაგროვებას, ხელს უწყობენ ტეხნიკის განვითარებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას, სამწუხაროთ ჩვენი სკოლების მუშაობას მრავალი დაბრკოლებანი ეღობება წინ. სამეურნეო ორგანოებს არ აქვთ სწორათ გათვალისწინებული, თუ რომელ დარგში რამდენი მუშა ესაჭიროება წარმოებას.

ამ ძირითადი საკითხის გამორკვევის შემდეგ შესაძლებელი არის იმის, გამორკვევა, თუ როგორი ტიპის სკოლაა საჭირო. საქარხნო-საფაბრიკო მოწაფეთა სკოლების მთავარი ამოცანაა მოამზადოს ახალი მუშათა კადრი, რომელსაც ექნება არა მარტო სპეციალური ცოდნა, არამედ ექნება საერთო განათლებაც, რათა მან შესძლოს თავის კლასთან ერთად ბრძოლა, მონაწილეობის მიღება სამეურნეო აღმშენებლობაში და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ის ამზადებს არა ხელოსან მუშას, რომელმაც იცის მხოლოდ თავისი ხელობა, არამედ კულტურულად და პოლიტიკურად მომზადებულ აქტიურ მუშას, რომელიც ახდენს თეორიის პრაქტიკასთან გაერთიანების ცდას. ეს კი ძირითადი საკითხია მარქსისტული პედაგოგიკის.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კვალიფიკაციური მუშათა მომზადება ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, მოითხოვს, შესაფერ ტეხნიკურ საშუალებებს რომლის გარეშე სკოლის არსებობა უაზროა. ეს კი მოითხოვს სკოლის გახსნისას სერიოზულ გათვალისწინებას ყოველგვარი საშუალების და აი სწორედ ამას უნდა მიაქციონ სამეურნეო ორგანოებმა ყურადღება. თუ ეს არ იქნა წინასწარ გათვალისწინებული, მაშინ სკოლის გახსნას ეკარგება ყოველგვარი მნიშვნელობა.

ამასთანავე საჭიროა სკოლის გახსნის შემდეგ იმ წარმოების ხელმძღვანელმა, რომელთანაც გაიხსნა სკოლა, თვალყური ადევნოს და კარგად შეასწავლოს თვითეული მუშა, რომელიც წარმოებაში იმყოფება, რომ შემდეგ სკოლის მოწაფეებით თანდათან შეავსოს თავისი წარმოება. თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით სკოლის არსებობას, ის ერთის მხრივ მასიური გახდება თვით წარმოებისთვის და მეორეს მხრივ ნაყოფიერი იქნება მუშათა ახალგაზრდობის ბრძოლაში ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

კ. ლ.

კოოპერაცია

ცეკავშირის საწარმოო დარგი

საპნის წარმოება.

საწარმოო დარგის განკარგულებაშია აგრეთვე თბილისში არსებული ერთ-ერთი საპნის ქარხანა, რომელიც თვიურად ამზადებს 1000 ფუთ საპონს. ნედლეულის უქონლობა უშლის ხელს და ამის გამო მეტს ჯერ ქარხანა ვერ ამზადებს.

კერამიკული ქარხანა დაიკეტა ვინაიდან რუსეთში ნაწარმოები კერამიკული უფრო უკეთესია ჩვენებურზე [illegible] მეტია და ჩვენი კერამიკული წარმოება, რომელიც ვერ უწევდა რუსეთის კონკურენციას დახურა.

ცეკავშირის [illegible] დატვირთულია [illegible] სრულიად და ასრულებს მხოლოდ კოოპერატივების დაკვეთებს.

სასოფლო მეურნეობა

მეფუტკრეობის კურსები დუშეთში

დუშეთის მაზრაში ბუნებრივი პირობები მეფუტკრეობისათვის ფრიად ხელშემწყობია. მაზრის ტერიტორია 430,000 დესეტინიდან ტყეებს უკავია 170 ათასი დესეტინა. მრავლად არის ადგილები გრილი ჰავით ქარებისაგან მოფარებული ალპიური ზონებით. ფუტკარიც ბლომათ ჰყავთ, მაგრამ რაციონალური მეფუტკრეობა მაზრაში იშვიათია: ჩარჩოიანი სკების რაოდენობა მაზრაში არ აღემატება 300—400 ცალს. მომეტებულათ ფუტკარი ჰყავთ პირველყოფილ ნეხვით შელესილ გოდრებში ან ბალმწარა ქერის ხაპრებში. თაფლს იღებენ ახალ წელიწადს ან მარიამობას, რისთვისაც ახრჩობენ წყალში ფუტკარს.

თაფლის გამოყენება სხვადასხვანაირია. მთაში თაფლით აკეთებენ არაყს და სვამენ.

ქალაქ დუშეთში გაიხსნა კურსები 16 დეკემბერს. პირველი ლექციის შემდეგ ხალხი ბევრი მოაწყდა. ხელმძღვანელობა ერთ ჯგუფათ შეუძლებელი გახდა, ამიტომ მსმენელები ჩვენ გავყავით ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფში ჩაეწერა 25 კაცი, ლექციების კითხვა და ზოგიერთი პრაქტიკული მუშაობა სწარმოებდა დილის 10—12 საათამდის; მეორე ჯგუფში შედიოდა 30 კაცი, მათთან მეცადინეობა სწარმოებდა 5—7 საათამდე. მსმენელები იყვნენ მომეტებულათ გლეხები, მათი შვილები მოსწავლე ახალგაზრდობა და ადგილობრივი ინტელიგენტები. ბევრს მათგანს ჰყავდა ფუტკარი, ზოგნიც აპირებდნენ შეძენას. დიდი ნაწილი მსმენელებისა იყვნენ სოფლებიდან. ზოგიერთები თითქმის 50—60 ვერსის მანძილიდან გვისმენდნენ, ზოგიერთნი მაზრის გარეშენიც, მაგ. ჯავის კაცები ქვაისის, ოზურგეთის და ბორჯომის მაზრებიდან. ზოგიერთნი მოუცლელობის გამო აკლდებოდნენ ლექციებს, მაგრამ არც აგრე ხშირად. კურსები გაგრძელდა 14 დღეს. გამოცდების ჩაბარება მოინდომა 35 კაცმა, ჩააბარა გამოცდები 30 კაცმა, რომლებსაც დაურიგდათ საჩუქრად ხელოვნური ფიჭა, ჩარჩოები და წიგნები მეფუტკრეობაზე. ესენი მივიღეთ მიწადმოქმედების კომისარიატიდან უფასოთ. ამ კურსების შედეგი იყო ის, რომ ბევრმა ეხლავე შეიძინა ფუტკარი; იგრძნეს უპირატესობა ჩარჩოიანი სკებისა და ამ თვეშივე შეიძინეს მარაგს. მსმენელები და მეფუტკრეები შეკავშირდნენ და მოელიან წესდების დამტკიცებას.

ლექციების კითხვის დროს მსმენელები ხშირად იძლეოდნენ შეკითხვებს, რომლებიც მოწმობდნენ იმათ დაინტერესებას და ფუტკრის ცხოვრების შესწავლის სურვილს. მათთან ბაასიც გვიჩვენებდა მსმენელების დაკვირვებას და ფუტკრის ცხოვრების ცოდნას. მუდმივი მსმენელების გარდა ესწრებოდნენ აგრეთვე გარეშე პირნიც, რომელთა რიცხვი საშუალოთ ყოველ დღე 7—8 კაცი იყო. ამ კურსებზე ჩვენ გავიგეთ ხალხური ახალი ტერმინები: „ქალა", „ჰიკარტი", „ყიყკი" და სხვა.

მსმენელებმა გამოსთქვეს სურვილი ამ კურსების განმეორებისა.

მ. შატბერაშვილი.

პროფკავშირებში

სენაკის მაზრის პროფკავშირთა მე 5 კონფერენცია

სენაკის მაზრის პროფკავშირთა მეხუთე კონფერენცია გაიხსნა 14 იანვარს ქ. სენაკში, საღამოს 7 ს.

ყრილობას დაესწრო 74 დელეგატი. გახსნა ამხ. ა. ოჩიგავამ, რომლის მოკლე სიტყვის შემდეგ არჩეულ იქნა პრეზიდიუმი 7 კაცის შემადგენლობით.

მოსასმენი და გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: 1) საერთაშორისო მდგომარეობა, 2) სამპროფბიუროს მუშაობის ანგარიში, 3) სოციალური დაზღვევა, 4) დამზღვევი სალაროს გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 5) საკავშირო მე-6 ყრილობის შედეგები, 6) ადგილობრივ მეურნეობის განყოფილების მუშაობა, 7) კოოპერაცია და პროფკავშირთა ამოცანები, 8) მორიგი ამოცანები, 9) არჩევნები სამპროფბიუროს პლენუმის და სარევიზიო კომისიის, 10) არჩევნები დამზღვევი სალაროს გამგეობის და სარევიზიო კომისიის.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ყრილობას მოხსენება გაუკეთა მ. კაკარავამ. გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

სამპროფბიუროს წარსული წლის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოდის თავ. მდ. ალ. ოჩიგავა. ის ეხება საორგანიზაციო დარგს და უყენებს ყრილობას სტატისტიკურ ცნობებს კავშირთა შემადგენლობაზე. შემდეგ ეხება კულტურულ, საეკონომიო-სამართლის და შრომის დაცვის საქმეს. მთავარი მიღწევა პროფბიუროს — ეს არის მუშათა კლუბის აგება ქ. სენაკში.

მოხსენებამ გამოიწვია კამათი. დელეგატები აღნიშნავდნენ, რომ კულტურული მუშაობა საერთოდ მოისუსტებდა, შრომის დაცვის საქმე არ იყო მოწესრიგებული.

კამათის დამთავრების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც ცნობილ იქნა პროფბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

სოციალური დაზღვევის შესახებ მოხსენებას აკეთებს რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის სამმართველოს წარმომადგენელი ამხ. მ. ცხომელიძე. ის დაწვრილებით უხსნის ყრილობას სოციალური დაზღვევის მნიშვნელობას მუშათა კლასისათვის, ადარებს ძველს და ახალს დაზღვევას ერთმანეთს და ამბობს, რომ მუშათა წრეებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ დაზღვევის საქმის მოწესრიგებას და სრულიად გატარებას ცხოვრებაში.

ყრილობამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც გამოსთქვამს სურვილს სოც. დაზღვევის ყველა წესების ცხოვრებაში გატარებისას.

დამზღვევი სალაროს მუშაობაზე მოხსენებას აკეთებს ალ. ოჩიგავა. ის ვრცლად ეხება დამზღვევ სალაროს მუშაობას და აღნიშნავს, რომ თუ წინათ არ იყო დაყენებული დაზღვევის საქმე კარგათ, მაშინ ეს აიხსნებოდა საერთოთ დაზღვევის საქმის მოუწესრიგებლობით, დღეს კი თანდათან დგება ნორმალურ კალაპოტში.

სარევიზიო კომისიის სახელით ი. გვასალია ეხება გასული წლის რევიზიის მუშაობას დამზღვევი სალაროს გამგეობისას და აღნიშნავს ზოგიერთ დეფექტებს, რომელთა გამოსწორებას მოითხოვს სალაროს გამგეობას.

დაზღვეულთა სამკურნალო ქ. განყოფილების მუშაობაზე ყრილობას მოახსენებს ექ. ვახანია. ის ამბობს, რომ საერთოდ სამკურნალო პერსონალი პირნათლად ემსახურებოდა დაზღვეულებს და კონფლიქტებს ადგილი არ ჰქონია. ამავე დროს ჯანმრთელობის ქ. განყოფილება ყოველგვარ ზომებს იღებდა, რათა დაზღვეულთ ესარგებლათ მინიჭებულ უფლებებით მთლიანად.

მოხსენებებმა გამოიწვია შეკითხვები, რომლის შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს ი. გვასალიამ, მ. ცხომელიძემ, კაკარავამ, გრ. სულავამ, ექ. ჩხეიძემ და სხვ. კამათში გამოირკვა, რომ მაზრაში დამზღვევი [illegible] საქმე, მიუხედავათ მიღწეულ შედეგებისა, მაინც არ იდგა კარგათ. არ იყო ხშირად აფთიაქებში წამლები, არ იყო მიღებული ზომები, რათა დაწესებულებებს დროზე შემოეტანათ დასაზღვევი თანხა, რამაც შექმნა 20,000 მანეთი დავალიანება. ამავე დროს სარაიონო ექიმები არ არის საკმაო. არ არის გატარებული სრულიად სურათიანი წიგნაკებით წამლების გაცემა. გათავდა რა კამათი, ყრილობამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც უთითებს შეცდომებზე დაზღვევის საქმეში, ავალებს მომავალ გამგეობას მიიღოს ფრიად სერიოზული და საჩქარო ზომები დეფექტების სალიკვიდაციოდ.

მე-6 საკავშირო პროფკავშირთა ყრილობის შედეგებზე მოახსენებს ყრილობას სრ. საქართვ. პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენელი ამხ. ფანცხავა. ის, აღნიშნავს რა მიღწეულ შედეგებს საკავშირო ყრილობისას, უმთავრესად ჩერდება რიკოვისა და ზინოვიევის სიტყვებზე. ყრილობა გამოსთქვამს სურვილს, რათა საკავშირო ყრილობის დადგენილებები გატარებულ იქნას ცხოვრებაში.

ადგ. მეურნეობის განყ. მუშაობაზე მოხსენებას აკეთებს ლ. ჯავახია. მოხსენებამ გამოიწვია ბევრი შეკითხვები და კამათი. გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს ადგ. მეურ. განყ. პროფკავშირებთან შეთანხმებულ მუშაობაზე.

კოოპერაცია და პროფკავშირთა ამოცანებზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ს. თურქია.

ყრილობა მოუწოდებს: გახდეს ყველა პროფკავშირის წევრი კოოპერაციის წევრად და გასწიონ პროპაგანდა მასაში მათი კოოპერაციაში ჩასაბმელად.

მორიგი ამოცანების შესახებ სათანადო თეზისებს ადგენს ამხ. ოჩიგავა. თეზისები მიღებულია ყრილობის მიერ.

ბოლოს მოხდა სამპროფბიუროს პლენუმის არჩევნები. არჩეულ იქნა 16 კ. სარევიზიო კომისიაში 5 კ. დამზღვევ სალაროში 11 კაცი, ხოლო მის სარევიზიო კომისიაში 3 კაცი. ყრილობამ გასტანა 3 დღე და დაიხურა 16 იანვარს, საღამოს 5 საათზე.

ბ. უჩანეიშვილი.

წყალთა მეურნეობის მუშაკთა ყრილობა

უკანასკნელი სხდომა

სამეცნიერო-საცდელ დაწესებულებათა მოწყობა სამელიორაციო დარგში

(მომხსენებელი ამხ. ანდრონიკოვი)

მომხსენებელი ამხ. ანდრონიკოვი მიმოიხილავს რა სამელიორაციო მუშაობის უკანასკნელ პერიოდის განმავლობაში, აღნიშნავს, რომ ამ მუშაობას არ უძღოდა წინასწარი მეცნიერული გამოკვლევა ნიადაგის და ჰიდრო მოდულის და წყალთა რეჟიმის შესწავლის დარგებში. სწარმოებდა მხოლოდ ჰიდრო-ტეხნიკური კვლევა-ძიება, რომლის შემდეგ ის საფუძვლად ედებოდა სამელიორაციო-საირიგაციო მშენებლობას; ხოლო ირრიგაცია მელიორაციის საქმის რაციონალურად დაყენებლად კი—მომხსენებლის აუცილებლად მიაჩნია, ზემოხსენებულ მეცნიერულ გამოკვლევების, რისთვისაც მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან უნდა მოეწყოს სპეციალური დაწესებულებები.

მომხსენებლის მიერ წამოყენებულ დებულების თანახმად ყრილობა ადგენს მოეწყოს მთელი რიგი სამეცნიერო დაწესებულებები. ყრილობა მიზანშეწონილად აღიარებს, რომ სახალხო მამულების საცდელ მინდვრებში მოეწყოს ჰიდრო მოდულური მუშაობა, მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის ხარჯით და ხელმძღვანელობით. აგრეთვე უნდა სწარმოებდეს ნიადაგის შესწავლა მიწადმოქმედების სამეცნიერო დაწესებულებებში წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხარჯზე.

ამხ. ბოგდატიევი ეთანხმება რა, სამეცნიერო კვლევა ძიებით ორგანიზაციის აზრს, მოსთხოვა, რომ ამ საქმის ხელმძღვანელობა დაეკისროს არა მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოებს, არამედ წყალთა მეურნეობის სამმართველოს.

გაფართოებული ყრილობის მოწვევის შესახებ

დასასრულ ა-ა-კ. წყალთა მეურნეობის მუშაკთა ყრილობა, რომელსაც უმთავრესად დაესწრნენ სპეციალისტები წყლის ოლქების გამგე-ინჟინერ ჰიდრავლიკების და აგრეთვე სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების თითოოროლა წარმომადგენელნი, ადგენს ამ მოკლე ხანში მოწვეულ იქნეს გაფართოებული ყრილობა, რომელსაც დაესწრებიან, როგორც წყლის ოლქების უფროსნი, ისე ა-ა-კ რესპუბლიკების მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატების, სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის და იმ უწყებათა წარმომადგენელნი, რომელნიც დაინტერესებულნი არიან წყალთა მეურნეობის საკითხებით. გაფართოებულ ყრილობის მოსამზადებლად არჩეულ იქნა ბიურო, რომელშიდაც შევიდნენ ამხ. ამხ. ყამარაული შაფუნცი, იბრაგიმოვი და ყველა რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის თითო-თითო წარმომადგენელნი.

ბიუროს არჩევის შემდეგ ყრილობა დაიხურა.

შრომის ნაყოფიერების ზრდა ტრანსპორტზე

რკინის გზის ტრანსპორტის ყველა სამეურნეო პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა მიიღეს გზათა სახალხო კომისრის ამხ. რუძუტაკის, შრომის ნაყოფიერების ასაწევად მოწყობილ მუდმივი თათბირის თავმჯდომარის ამხ. ხალატოვის და რკინის-გზელთა პროფკავშირის ცენტრ. კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ამოსოვის ხელმოწერით ცირკულიარული წერილი, სადაც მოყვანილია დარიგება, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს პრაქტიკული მუშაობა შრომის ნაყოფიერების ასაწევად და ჩვენი სატრანსპორტო მეურნეობის გასაუმჯობესებლად. წერილში აღნიშნულია ის ღონისძიებანი, რომელთაც თავისი საკუთარი ძალებით და საშუალებით უნდა მიმართონ ადგილობრივმა ორგანოებმა და საწარმოო უჯრედებმა, და აგრეთვე ის ღონისძიებები, რომელიც მოითხოვენ ცენტრისაგან წინასწარ დამუშავებას და მთელს სატრანსპორტო ქსელის მასშტაბით გატარებას. წერილში ნათქვამია რომ რკინისგზების უმრავლესობა აწარმოებს ამჟამად წინასწარ მუშაობას. იძენს გამოცდილებას და სატრანსპორტო მეურნეობის ყოველ დარგში პოულობს ახალ გზებსა და მეთოდებს. ადგილობრივ ორგანიზაციების ამოცანაა მაქსიმალურად გააძლიერონ მუშაობა იმ მიზნით რომ ამ მოკლე ხანში შესაძლებელი გახდეს იმ ღონისძიებათა გატარება, რომელიც შეიძლება განხორციელებულ იქნეს ადგილობრივ საკუთარი საშუალებით, და დამუშავებულ იქნეს ის ზომები, რომელნიც აღნიშნული არიან ცირკულიარულ წერილში და რომელიც უნდა შეიქმნას საკუთარი გამოკვლევებით, ამ დარგში გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატის ორგანოებს და რკინისგზელთა პროფკავშირის ცეკას ევალებათ გაერთიანონ ადგილების პრაქტიკა, დაამყარონ მათ შორის ურთიერთობა და მოაწყონ საწარმოო უჯრედების მიღებული გამოცდილების და მიღწევების გაზიარება.

ცენტრის მეორე დიდი საპასუხისმგებლო ამოცანას შეადგენს—გამოიმუშავოს მსხვილ ძირითადი ღონისძიებათა გეგმა, როგორიც არის მაგალითად: სამუშაოთა აღდგენა და იარაღებით უზრუნველყოფა, სტანდარტიზაცია და სხვა.

დასასრულ წერილში საჭიროდ აღიარებს, რათა მიღებულ იქნეს ყოველგვარი ზომები, რომ შრომის ნაყოფიერების ასაწევად დაწყებული კამპანია ჩატარდეს ორგანიზაციულად და მტკიცე გეგმით.

ქართული კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაციის დაშლა

დოკუმენტები*)

ახალი საქართველო

№ 2 (1)
Berlin, 12. Januar 1925

პერიოდიული ორგანო გ. ვეშაპელის რედაქციით
Georgische Zeitschrift „Das Neue Georgien“. — Redakteur G. Weschapeli.

Preis 50 Pfennig.

ცნობის შემდეგ

მას შემდეგ, რაც ჩვენი გაზეთის პირველი ნომერი დაიბეჭდა, მოხდა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: 13 დეკემბერს 1924 წ. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის დუმერგის აუდიენციის დროს კრასინმა ჩააბარა მას საელჩო რწმუნების ქაღალდი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სახელით, და პრეზიდენტმა იცნო ოფიციალურად ეს საკავშირო საელჩო რწმუნება. (ფედერაციის ეკონომიურ წარმომადგენლად როგორც ვიცით, დანიშნულია ბუდუ მდივანი).

ამგვარად, ამ დღიდან საფრანგეთში იცნო საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაც, ვინაიდან საბჭოთა რესპუბლიკების რწმუნება, რომელიც ჩააბარა კრასინმა დუმერგს, არის რწმუნება С.С.С.Р. იმ შემადგენელ ოთხივე ფედერატიულ რესპუბლიკისა [რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის და ამიერ-კავკასიის (საქართველო - სომხეთ-აზერბეიჯანი]. ეს აღნიშნა ფრანგულმა პრესამ (მაგალითად, რადიკალ L'Oeuvre 20 XII, 24).

ამიერიდან ევროპის საერთაშორისო უფლების წესით ძალა ეკარგება ჟორდანიას მთავრობის იურიდიულ ცნობას, რომელიც გამოიხატა თავის დროზე (1921) ჩხენკელის მიღებაში ელჩად მაშინდელი პრეზიდენტის მილერანის მიერ.

შეიძლება ფრანგული თავაზიანობის გამო სალიკვიდაციო პროცესი ძველი მენშევიკური ელჩის და დელეგაციისა (იგი მოთავსებულია, სხვათა შორის რაღაც ბედის ირონიით impasse des Pretres-ის ქუჩაზე, ესე იგი ქართულად, ხუცების ჩიხში) უფრო გაჭიანურდეს, ვიდრე ეს მოხდა თავის დროზე გერმანიაში, მაგრამ იურიდიულად ეს, რასაკვირველია, საფრანგეთშიც ისევე მოხდება, როგორც გერმანიაში მოხდა.

ამის გამოხატულია უკვე ის ფაქტი, რომ საფრანგეთის მთავრობის საგანგებო კომისიამ (დე-მონზის), რომელსაც დავალებული აქვს ყოფილი რუსეთის იმპერიის ემიგრანტთა საპასპორტო მდგომარეობის გამორკვევა საბჭოების კავშირის ცნობის შემდეგ, შეიმუშავა ერთი პროექტი როგორც რუს—ისე ქართველ ემიგრანტებისათვის და ორივენი აღიარა „სახელმწიფო დაკარგულ“ ხალხად, თუ ისინი საბჭოთა მოქალაქეობას არ მიიღებენ...

აქ გარდა თავდება ის ერთი დიდი ილიუზია, რომელიც ასულდგმულებდა ჩვენში ანტისაბჭოთა ფრონტს დღემდის:—ამბობდენ—თუ დიდი საფრანგეთის მთავრობა სცნობს კიდევ ჟორდანიას და მის ელჩს, ალბად ამას რაიმე სერიოზული მიზეზები აქვს და ჩვენ რატომ უნდა დავანებოთ თავი მას, შეიძლება კიდევ „რამე გამოვიდეს“. (ამ ემიგრანტულ ფსიხოლოგიის დაძლევის „სიძნელეზე“ მინდა მელაპარაკა ალ. სვანიძესთან, როცა მას შევხვდი პარიზში წასულ ივლისში).

დღეს ეს იურიდიული ილიუზიაც უნდა გათავდეს ისე, როგორც გათავა აჯანყებამ მეორე დიდი ილიუზია რომელიც ასულდგმულებდა ანტიბოლშევიკურ ფრონტს—იდეა საბჭოთა მთავრობის ფაქტიურად აჯანყებაში დამარცხებისა.

ქართველობა ეთამაშა ამ აჯანყების იდეას ისე, როგორც ბავშვი თოფს; და ისევე, როგორც ბავშვისათვის, მოულოდნელი იყო ის საშინელი ჭრილობა, რომელიც ამ თამაშმა შეგვამთხვია.

მაგრამ რაც მოხდა, მოხდა: დღეს ორივე ილიუზია ამოწურულია. ვერც ფაქტიურად (აჯანყების რეპეტიციებით) და ვერც იურიდიულად, მენშევიკურ რესპუბლიკას ვეღარავინ აღადგენს. საჭიროა აქ წერტილის დასმა და ახალი გზით სიარული.

ასე ქნა თავის დროზე (1922) რუსის ინტელიგენტთა ჯგუფმა, რომელიც смена вех სახელითაა ცნობილი. მათ თავის დროზე აღიარეს: „სამოქალაქო ომი წაგებულია; ან იცანით ეს არსებული რუსეთი, ან დარჩით უ-რუსეთოდ, რადგანაც სხვა რუსეთს ვერ მოესწრებითო“ (смена вех, გვ 91).

მაგრამ მათსა და ჩვენს შორის ერთი დიდი განსხვავებაა. რუსი სმენავეხელები და მათი გაზეთი Накануне-ც დაიწყო 1922 წელს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირამდის, სადაც რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია და კავკასია თანასწორად შევიდნენ და რომელიც რუსეთი არაა არც სახელით და არც საქმით.

რუსის სმენავეხელებს კი ეგონათ, რომ საბჭოთა ინტერნაციონალური და რუსეთის ნაციონალური მიზნები ერთი და იგივე გახდა (Накануне № 1-ს მეთაური 1922 წ.)

ჩვენ ეს არ გვგონია, რადგან ვიცით, რომ საბჭოთა კავშირის იდეა და ფორმა არის იდეა ევროპა-აზიაში ახალი მსოფლიო „შეერთებული შტატების“ შექმნისა და გვჯერა, რომ ამ ახალი ევროპა-აზიის კონტინენტალურ ბლოკში ადრე თუ გვიან სხვა ერებს და სახელმწიფოებსაც ვიხილავთ როგორც ყოფილი რუსეთის იმპერიიდან, ისე მის გარეთ, როგორც სლავიანურს, ისე არა სლავიანურს. და სწორედ ასეთ „შეერთებულ შტატებში“ თანასწორი ფედერატობა უკეთეს გარანტიად მიგვაჩნია ჩვენი დამოუკიდებლობის პერსპექტივებისათვის, ვიდრე ხალხთა ლიგის მანდატები და რეზოლიუციები. ამიტომ გვინდა ჩვენ გადავიყვანოთ ახალ რელსებზე ქართული ინტელიგენციის აზროვნებისა და ენერგიის მატარებელი.

რა არის საჭირო ამისათვის?

თავდაპირველად, აღარავინ აღარ უნდა იკისროს „დამოუკიდებლობის პარიტეტული კომიტეტის“ საძინელი მემკვიდრეობა არც საქართველოში და არც ევროპაში.

ყოველ შემთხვევაში, ყოფ. გაერთ. ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წრიდან არავის არ აქვს უფლება მენშევიკებთან საკოალიციო ორგანიზაციის აღდგენისა ნ. დ. პარტიის სახელით.

პირველმა კოალიციამ, რომლის ძირმა მენშევიკური იყო, ბოლო კი ვენიკური აპარატი ნაც. დემოკრატიული, ისეთი საშინელი მსხვერპლი არგუნა სწორედ ნაც. დემოკრატიის მიმდევარ კლასებს და წოდებებს, რომ არც საქართველოში და არც ევროპაში აღარ უნდა ითამაშონ მათი ბედი პარტიულად.

კერძოდ, ყოფ. ნაც. დემ. პარტიის ზოგიერთი ინტელიგენტი სტამბოლში ან პარიზში მყოფი უნდა დაფიქრდეს თავისი წოდების ბედზე, როცა იგი ნ. რამიშვილის ან კ. გვარჯალიძის „რეცეპტებს“ ისმენს.

საჭიროა ყური დავუგდოთ იმ პერსპექტივებს სამოქალაქო ომის მოსპობისა და მშვიდობიანი შრომისა, რომელსაც გვიხსნის წინ განცხადებანი საქართველოს საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარის შალვა ელიავასი და რომელსაც ასრულებს მმართველი პარტიის ორგანოს „კომუნისტის“ გამოხმაურება ჩვენი გაზეთის შესახებ.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის სამხედრო სარევოლიუციო საბჭოს თავმჯდომარეს ს. ორჯონიკიძეს ჩვენი გაზეთის შესახებ უთქვამს შემდეგი (Заря Востока-ს მიერ მოყვანილი მოხსენებით 7 ივლისი 1924 წ.) „ეხლა ინტელიგენციის საკითხი დგება სხვანაირად—ჩვენ პირდაპირ ვეუბნებით: განაგრძეთ მუშაობა, მობრძანდით, მაგრამ იმ პირობით რომ სცნობთ საბჭოთა უფლებას და იმუშავებთ პატიოსნათ“.

საჭიროა იმის დაფასებაც, რომ აჯანყება გაკვეთილად მიიჩნია თვით საბჭოთა ხელისუფლებამ. ამას სწერდა ფ. მახარაძე ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავზე. „მენშევიკური ავანტიურა ერთნაირი გაკვეთილი იყო ჩვენთვის [illegible] რამ გამომჟღავნდა, ბევრი სიდუხჭირის და სიმწარის ფარდა ახადა“...

ამ გაკვეთილების შედეგია ის მნიშვნელოვანი დადგენილებანი, რომელიც მიიღო მ. კახიანის მოხსენებით მმართველი პარტიის ცეკას პლენუმმა აჯანყების დროს აღმოჩენილ დეფექტების და შეცდომების გამოსასწორებლად. („კომუნისტი“ 111 X. 1924, ამ დადგენილებებში ვხედავთ ზომებს ეკონომიურს (სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნორმების შემცირება, იჯარის რეფორმის დროს დაშვებულ შეცდომების გამოსწორება; მატყლის მონოპოლიის მოსპობა; აბრეშუმის მონოპოლიის წესის შეცვლა; ტყეისა და საძოვრების საკითხის მოგვარება; ადგილობრივი ახალი გადასახადების შემოღების აკრძალვა; ღვინის აქციზის მოსპობა).

შემდეგ ვხედავთ ზომებს პოლიტიკურს (გლეხთა უპარტიო მასის ჩაბმა საბჭოთა მუშაობაში; ეკლესიების დახურვის შეწყვეტა; გადიდება და ხურული ეკლესიების გახსნისა; კომსომოლის ადმინისტრაციაში ჩარევის და პარტიისათვის საბჭოების როლის დაკნინების უარყოფა) დასასრულ საქართველოს დაწესებულებათა მოსამსახურეების შემადგენლობის გადახედვა და მისი პროპორციული შეფარდება ნაციონალური სხვადასხვაობის მიხედვით.

ამ დადგენილებების ცხოვრებაში გატარება დიდათ ხელს შეუწყობს საქართველოს განვითარებას ნორმალ კალაპოტში ჩაყენებას, განსაკუთრებით უკანასკნელი მუხლი—დაწესებულებათა მოსამსახურეთა ნაციონალური პროპორციის გადახედვა, რადგან ეს საკითხი ძალიან მწვავეა უმუშევარი ქართული ინტელიგენციისათვის, რომელიც ჯერ კიდევ ძველი ავადმყოფობით არის შეპყრობილი და ვერ არჩევს ეროვნებათა პროპორციას საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკათა დაწესებულებისათვის.

საერთოდ მრავალ რიცხოვანი ქართული ინტელიგენციისათვის უმუშევრობის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს; ვგონებთ, რომ რამდენადმე საქართველოს ინდუსტრიალიზაცია ვერ გადასწყვეტს ამ საკითხს, საჭირო იქნება ინტელიგენტური ძალების დაძრა ფედერატიულ რესპუბლიკებში, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიაში, მაგალითად ბაქოში, სადაც მრეწველობის განვითარების პერსპექტივები დიდია.

აჯანყების მიერ გამოწვეული სამოქალაქო ომი დასრულებულად უნდა ჩაითვალოს ერთის მხრივ იმ ამნისტიით, რომელიც გამოაცხადა 7 ნოემბერს ცენტრალურ აღმ. კომიტეტმა, აჯანყების ყველა მონაწილეთათვის, გარდა მეთაურებისა (პარიტეტულ კომიტეტს და მის რწმუნებულთ, როგორც გადმოგვცემენ სახელმწიფო სამართალში აძლევენ) მეორეს მხრივ სამოქალაქო ომის და ფრონტის ლიკვიდაცია მოხდა იმითაც, რომ ჩოლოყაშვილის და ლაშქარაშვილის შეიარაღებულმა რაზმებმა დასტოვეს საქართველოს საზღვრები და ამ ქამად ევროპაში მყოფ ემიგრაციას შეეხიზნენ.

სამწუხაროდ თვით ემიგრაციის მასა ისევ განაგრძობს პარიზში ძველ ძველი მენშევიკური მთავრობის მიერ გამართულ ფრონტზე დგომას და კიდევ არ ახდენს დემობილიზაციას.

ბევრს კიდევ ვერ უსწავლია ჭკუა ევროპაში სამი წლის ბედილით და ხელახალ ანტიბოლშევიკურ „სიზმრების ახდენით“ არის დაიმედებული.

დაუჯერებიათ ხმებზე, რომ ინგლისის კონსერვატიული მთავრობის მეთაური ჩემბერლენი ანტიბოლშევიკურ ბლოკებს ქმნის ბალკანეთსა და ბალტიკაში; რომ ოსმალეთში იგივე ინგლისი ქემალ-ფაშას ანტირუსულ ოპოზიციას ეხმარება, რომ მთავრობად გახდეს, თითქოს ბაქოსკენ „დისვერსის“ მოსახდენად; რომ ამავ დროს ამერიკის ავტომობილების მეფე ფორდი კირილ ვლადიმიროვიჩის ცოლს ეპატიჟება, როგორც „იმპერატრიცას“... და გულუბრყვილო ხალხს უკვე ელანდება ნეტარხსენებული ინტერვენცია, რომლის შედეგი ზოგს წარმოდგენილი აქვს საქართველოსთვის, როგორც ინგლისის პროტექტორატი (თუნდაც ეგვიპტე-სუდანის წესით) ხოლო სხვებს—საფრანგეთის კოლონიად (თუნდაც როგორც მადაგასკარი, კონგო, კამერუნი, როგორც ამას ბრძანებს ბ-ნი შ. ბერიძე თავის მონოგრაფიაში: „La tragedie d'une nation“. 1924).

ამ გულუბრყვილო ხალხს ავიწყდება, რომ ყველივე ამ ანტიბოლშევიკურ ბლოკებს იგონებენ არა საბჭოთა ფედერაციის შესატევად, არამედ მისი გაფართოვებისაგან საერთაშორისო დაზღვევისათვის ევროპა აზიაში.

ისიც ავიწყდებათ, რომ ანტიბოლშევიკური ინტერვენცია წარმოუდგენელია ახალი მსოფლიო ომის დაუწყებლივ, ხოლო ამ ომს დღეს ყოველივე მთავრობა ერიდება, რადგან იგი მსოფლიო რევოლიუციად გადიქცევა.

დროა ემიგრაციამ ინტერვენციის ზღაპრებს ერთხელ და სამუდამოთ თავი დაანებოს და ხელი მოჰკიდოს არსებული საქართველოს ეკონომიურ კულტურულ და პოლიტიკურ გაძლიერებას არსებული საბჭოთა მთავრობის და მისი პარტიის ხელმძღვანელობით, რადგან ქართველი ბოლშევიკური პარტია არის დღეს საქართველოს სახელმწიფო ორგანიზმის ხერხემალი. მაგრამ მენშევიკურ ლიდერებს არ უნდათ შეურიგდენ ისტორიის განაჩენს, რომელმაც მათი პარტია მოხსნა გეგემონის პოსტიდან საქართველოში.

ისინი გამწარებით განაგრძობენ იმ მენშევიკურ-ბოლშევიკურ ბრძოლას, რომელიც პირველად წამოაგეს პეტროგრადში, როცა ჩხეიძე და წერეთელი დამარცხებული გამოიქცენ „პრედპარლამენტიდან საქართველოში“.

მას აქეთ ისინი განაგრძობენ ამ პარტიულ ბრძოლას ქართული ეროვნული ფარის ქვეშ. ამ ბრძოლის უკანასკნელ ეტაპებს ვხედავთ ჩვენ დღეს პარიზში.

მაგრამ შორს არაა ის დრო, როცა ამ ქართულ ეროვნულ ფარის სიმძიმეს ვეღარ აიტანს მისი სიმძიმით „მოღლილი“ ი. წერეთელი და იგი კვლავ გამოჩნდება თავის ძველ სრულიად რუსეთის დემოკრატიის რაინდის ნაცნობი სახით და მაშინ ქართული ნაციონალური კოალიცია გაიცვლება რუსის მოძმე პარტიებთან კოალიციაზე.

ამას მოითხოვს უკვე საჯაროდ ქართული სოციალ-დემოკრატიისაგან რუსეთის სოც.-დემ. პარტიის ორგანო Социалистический Вестник (დეკემბრის ნომერი) აბრამოვიჩი და ალბათ აბრამოვიჩს საფუძველიც ქონდა ეფიქრა, რომ მისი ქართველი მეგობრებისათვის ეს აზრი უკვე მომწიფებულია.

ესევე სთქვა „ადამიანის უფლებათა ლიგის“ მიტინგზე ძველი მენშევიკური მთავრობის [illegible] ვანდერველდემ—მან პირდაპირ განაცხადა—„საქართველოს დემოკრატია გაიმარჯვებს მხოლოდ მაშინ, როცა გაიმარჯვებს დემოკრატია ყოფილი რუსეთის ყველა ნაწილებში და მაშინ რუსეთი და საქართველო გაერთიანდებიან თავისუფალ ფედერაციაშიო“ (იხ. პარიზის Посл. Новости 8 ნოემბერი 1924).

ეს ხომ ქართული დამოუკიდებელი ეროვნული პოლიტიკის უარყოფაა და აბრამოვიჩ-კერენსკის დემოკრატიასთან ბედის გადაწყვეტა.

რატომ უნდა გაჰყვეს ამ გზას ქართული ინტელიგენცია და ანაცვალოს მას არსებული საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა?

ეს ხომ ნაციონალური ომი კი არაა მენშევიკთა არიერგარდიული პარტიული ბრძოლა არის...

ეს ვსთქვი მე 1921 წ. ბათუმში დამფუძნებელი კრების სალიკვიდაციო სხდომაზე: „იყო ომი და დამარცხება არა საქართველოსი რუსეთის მიერ, არამედ მენშევიზმის ბოლშევიზმის მიერ მეთქი“.

დროა მოვშორდეთ საბოლოოდ განწირულთ!

გრიგოლ ვეშაპელი.



(„ახალი „საქართველო“-დან. № 2.)

შალვა ქარუმიძის წერილი

17 X 1924 პარიზი

პასუხად ნ. ჟიჟიშვილის შეკითხვისა მიმდინარე პოლიტიკური საკითხების შესახებ, მან მიიღო შ. ქარუმიძისაგან შემდეგი წერილი:

„ძმაო ნიკო! მივიღე თქვენი წერილი, რომლის მიღებაც მინდა დავადასტურო ამ მოკლე პასუხით: მოკლეთ იმიტომ, რომ იმედი მაქვს ერთმანეთს ვნახავთ და საშუალება გვექნება ზაასით გამოვაკვლიოთ ყველაფერი; ეხლა მოკლეთ მოგახსენებთ პასუხს თქვენ კითხვებზედ.

1. მე დღესაც იმას ვფიქრობ, რასაც 1922 წელს, თქვენი ნახვის დროს სტამბოლში. დამატებით დღეს იმის მოხსენება შემიძლია, რომ ემიგრაციის საქმესთან, როგორც მაშინ, ისე შემდეგ მე კავშირი არა მქონია და არა მაქვს თუნდაც იმიტომ, რომ იმ თავითვე მოგახსენებდით ჩემი აზრიც და საქციელიც: ბათუმიდან მე ემიგრანტი არ გამოვსულვარ; დავრჩი და ვმუშაობდი საბჭოთა საქართველოში და გამოველ იქიდანაც კანონიერის გზით; მე არ შემიძლია პასუხი ვაგო იმაში, რას აქ ჩაიდენდენ ქართველი ერის სახელით და რაზედაც მე დასტური არავისთვის არ მიმიცია.

2. მართალია, მე საჯაროდ არ გამიკიცხავს ბ—ნ ჟორდანიას საქმე ევროპაში, რადგან ეს საქმე არც ვიცოდი, არც არავინ მკითხავდა და არც საჭიროდ ვთვლიდი ამას, მაგრამ მიუხედავათ ამისა მე არა ერთხელ გამიფრთხილებია, რათაც კი საშუალება მქონდა, ჩვენი მეგობრები საქართველოში, ხელი აეღოთ და აზრიდან ამოეღოთ ოცნება ევროპის დახმარებისა და აჯანყებისა.

3. რადგან მე ამგვარ საქმიანობასთან კავშირი არა მქონია, ვერც ვიცნობ იმ ხალხთან, ვინც ასეთ საქმიანობას ეწეოდა. და თუ კი დღეს მე სადმე ვარ, ვარ მხოლოდ ქართველ ხალხთან, რომელსაც მინდა ვემსახურო და უნდა ემსახუროს ყველა ქართველი, ვისაც უნდა გაიზიაროს ერის ბედი. მე მესმის, თუ როგორ გესმით თქვენ დღეს ეს სამსახური, მესმის და მოგახსენებთ კიდევაც, რომ სწორეთ ამ შეგნებით მაქვს ლაპარაკი ამ საგანზე.

4. მოგახსენებთ იმასაც, რომ მე მაქვს და არასოდეს არ შეწყვეტილა ჩემი დიდი სურვილი ვიმუშაო საქართველოში, მხოლოდ თუ რა საქმით მოხერხდება ეს—ამაზე მე სიამოვნებით მოვილაპარაკებდი თქვენთან, როცა გნებავთ. გვერდზე დგომა, რომელზედაც თქვენა ბრძანებთ, ზედმეტი თქმაა და მერწმუნეთ დღევანდელ საქართველოს მე არც გავდგომივარ და არც გავუდგები“.

თქვენი
შალვა ქარუმიძე.

---

*) ჩვენ უკვე გამოვთქვით ჩვენი შეხედულება „ახალი საქართველო“-ს ჯგუფისა და კერძოთ ბ-ნ გრ. ვეშაპელის შესახებ „კომუნისტი“-ს №№ 241 და 274 (1924 წ.)

ჩვენი მკითხველებისათვის ინტერესს არ იქნება მოკლებული ის მასალა, რომელიც მოთავსებულია ჩვენ მიერ მიღებულ ამ გაზეთის მეორე №-ში და ვათავსებთ ბ.ბ. ვეშაპელისა და ქარუმიძის წერილებს დოკუმენტების სახით.

„ახალ საქართველოს“ ჩვენ კიდევ შევეხებით.

რედაქცია.

მოწოდება საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთა კოლონიის გამგეობისა გერმანიაში

ქართველო ემიგრანტებო! დადგა უკიდურესი დრო, როდესაც თქვენ უნდა შეცვალოთ თქვენი დამოკიდებულება სამშობლოსადმი, იმ სამშობლოსადმი, რომლის სიყვარულს და ერთგულებას მუდმივ ღაღადებთ, მაგრამ თქვენი საქმით კი მას მხოლოდ ვნებას აყენებთ. იმ დროს, როდესაც საქართველოში ანტისაბჭოთა ფრონტი სრულიად დაიშალა, აქ კი, უცხოეთში, ის ძველსავე სისასტიკით მძვინვარებს და ეს იმ დროს, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის წყალობით, რომლშიდაც საქართველო სრულუფლებიან წევრად შედის და სადაც მას ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს, მას შეძლება მიეცა აღორძინდეს და გაანვითაროს თავისი კულტურულ-ეკონომიური საქმეები. საბჭოთა მთავრობის აღმშენებლობითი მუშაობის და მშვიდობიანობის საქმე ყოველს ეჭვს გარეშეა და უდაოა. კულტურულ-ეკონომიური ცხოვრება საქართველოში დაადგა განვითარების გზას და ბრმებმაც კი გაახილეს თვალები—დაინახეს და კიდეც აღიარეს მისი შესამჩნევი დადებითი შედეგები.

ამასთანავე ცხადი შეიქნა, რომ ამ კულტურულ-ეკონომიური საქმების განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ არ იქნება დარღვეული ის მშვიდობიანი ცხოვრების პირობები, რომელნიც შექმნა საბჭოთა ხელისუფლებამ და რომელიც დროებით შეფერხდა იმ აჯანყებით, რომელსაც აგვისტოს დღეებში ადგილი ჰქონდა და რომლის 99 პროცენტის მორალური პასუხისმგებლობა ემიგრაციას აწევს თავზედ. თქვენ კი ამ აჯანყებას და მისი უარყოფ შედეგებს შემდეგაც თქვენ ძველ პოზიციებს ადგახართ და არ შორდებით მას. რათა და რისთვის? ჯიუტობა გიშლით ხელს, თუ სურვილი, რომ დაკარგული ძალა-უფლება დაუბრუნოთ მენშევიკების მთავრობას, თუმცა ამისათვის საჭირო დარჩეს ერის ფიზიკურად მოსპობაც? არა გვგონია, რომ ეს იყოს იმ სამშობლოს ერთგულება და სიყვარული, რომელსაც [illegible], თქვენ მუდამ გაიძახით.

ქართველო ემიგრანტებო! ჩაუფიქრდით თქვენ საქმეს, ხელი აიღეთ საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაზედ, შემოკრიბეთ ახალ ქართული კოლონიის გარშემო, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზედ სდგას, გაიხსენით გზა თქვენი საქართველოში დაბრუნებისა და თქვენი მოქალაქობრივ უფლებათა აღდგენისა და დაუბრუნდით იმ ლოიალურ მუშაობას საქართველოში, რომელიც მისთვის ასეთ საჭიროებას წარმოადგენს. გარწმუნებთ, ეს იქნება ის სიკეთე და სამსახური სამშობლოსათვის, რომელსაც ის თქვენგან მოითხოვს. ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ სწორი ნაბიჯის გადადგმა ჯერაც არ არის დაგვიანებული.

გამგეობის თავმჯდომარე
ძოვე მანიძე.

კომუნალური მეურნეობა

ახალი საბინაო ტარიფი და საბჭოთა სახლები

ქალაქის აღმასკომის საბჭოთა სახლების სამმართველოს გამგემ ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რა გავლენას მოახდენს ახალი საბინაო ტარიფი საბჭოთა სახლების კეთილმოწყობაზე, განაცხადა შემდეგი:

დღევანდლამდი არსებული საბინაო ქირა მეტად მცირე იყო. საბჭოთა სახლების შემოსავალი ხშირათ მეეზოვის ჯამაგირსაც კი არ ჰყოფნიდა. საბჭოთა სახლები უმთავრესათ დასახლებულია მუშებით და საბჭოთა მოსამსახურეებით. თუ თვითეული მოსამსახურის ჯამაგირს საშუალოთ ვიანგარიშებთ 50 მანეთს, მაშინ გამოვა, რომ თვითეული მდგმური თვეში ბინის ქირის სახით საშუალოთ იხდის თავისი ჯამაგირის მხოლოდ 0,5 პროც., ე. ი. 1 მ. ნეის. წინეთ კი ეს პროცენტი გაცილებით მეტი იყო.

მაგრამ ბინის ასეთი მცირე ქირა ძალიან საგრძნობი არ იქნებოდა საბჭოთა სახლებისათვის, რომ მას თან არ ერთვოდეს მეორე არასასიამოვნო მოვლენა: ხშირათ მოსამსახურეები ამ მცირე ქირასაც არ იხდიან. ხშირია დავალიანება. მაგალითად, მრავალი საბჭოთა სახლების მდგმურებს ჯერ კიდევ არ შემოუტანიათ წარსული წლის მეორე ნახევრის ქირა.

ახალი საბინაო ტარიფის შემოღებით საბინაო ქირა საშუალოთ გადიდებულია 100 პროცენტით. ახალი საბინაო ქირა დადებით გავლენას მოახდენს საბჭოთა სახლებზე იმ შემთხვევაში, თუ ადგილი არ ექნება დავალიანებას.

ამას გარდა სახლების სათანადოთ შენახვა-დაცვის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენათ მიმაგრებული იქნებიან მდგმურები ბინებზე. როდესაც მობინადრე მუდმივათ სცხოვრობს ერთ ადგილას, ის დაინტერესებულია იმით, რომ შეინახოს და გააუმჯობესოს თავისი ბინა. ბინების ხშირი გამოცვლა კი იწვევს გულგრილ დამოკიდებულებას ბინებისადმი მობინადრეების მხრიდან. ამ მხრივ სასურველია სათანადო სავალდებულო დადგენილების გამოცემა. ბინების ხშირ გაცვლა-გამოცვლას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

როგორც ვიცით, 1921 წლის დეკრეტი ითვალისწინებდა ამ გარემოებას და ბინის მიღების უფლებას ანიჭებდა იმას, ვისაც ასეთი სულ არ ჰქონდა. მოსამსახურის ბინის სიშორე სამსახურის ადგილიდან მიღებული არ იყო მხედველობაში.

ახალი საბინაო ტარიფის გატარება ცხოვრებაში საგრძნობლათ გააუმჯობესებს საბჭოთა სახლების მდგომარეობას მათი კეთილ მოწყობის მხრივ. თუ აქამდი თვითეული სახლის შემოსავალი საშუალოთ უდრიდა 42 მან. 70 კაპ., ახალი ტარიფის გატარების შემდეგ ეს თანხა გაორკეცდება, ზოგან კი კიდევ უფრო გაიზრდება, რაც ხელს შეუწყობს სახლების შეკეთებას, უვარგისი ბინების გამოყენებას და ამრიგათ, საბინაო კრიზისის ერთგვარათ შენელებას.

განათლების ფრონტზე

სასკოლო სტატისტიკის მთლიანი ფორმები.

სასკოლო სტატისტიკის მთლიანი ფორმების შემოსაღებლათ განათლების კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა დაევალოს ყველა მთავარ გამგეობებს, რომ სტატისტიკური ცნობების შეკრების დროს, ფორმები შეუთანხმოს განათლების კომისარიატის სტატისტიკურ განყოფილებას. ამასთანავე წინადადება მიეცა ყველა სამაზრო აღმასკომებს განათლების კომისარიატის დაუკითხავათ არავითარი აღწერები არ მოახდინონ სასკოლო დარგში.

აკადემიური თეატრების ანგარიშები.

განათლების კომისარიატმა წინადადება მისცა სახელოვნო კომიტეტს, წარმოუდგინოს განათლების კომისარიატს აკადემიური თეატრების შემოსავალ-გასავლის სრული ანგარიშები.

ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად.

სოციალური აღზრდის მთავარი გამგეობის მიერ გამოიცა 500,000 ცალი წიგნი სათაურით „შრომა და ცოდნა“ ლენინის გარდაცვალებიდან ერთი წლის აღსანიშნავად. წიგნები დაურიგდა მოწაფეებს უფასოთ.

უმწეო ბავშვთა სახლი.

განათლების კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე რათა ქ. აღმასკომმა კოჯორში დაუთმოს უმწეო ბავშვთა სახლის მოსაწყობათ ყოფილი ქალთა ინსტიტუტის შენობა.

დახმარება უმწეო ბავშვებს.

განათლების კომისარიატმა პიონერებს გადასცა 2000 მან. უმწეო ბავშვთა დახმარების გასაწევად.

გაერთიანებული დემოკრატ. პარტიის ახალგაზრდობის დეკლარაცია*)

„რეალური პოლიტიკა მოითხოვს [illegible], ერთზე თქმას და მეორეზე გაკეთებას“. „ახალი საქართველო“, № 1.

1923 წელს ოქტომბერში გაერთიანებულ დემოკრატ. პარტიის (ეროვნ. დემოკრატიული, ეროვნული, რადიკალ-დემოკრატ. და უპარტიოთა კავშირი) კონფერენციამ დაადგინა პარტიის ლიკვიდაცია, მაგრამ აღნიშნული კონფერენციის დადგენილებები ცხოვრებაში სავსებით არ გატარებულა. მიუხედავად კონფერენციის მიერ მოხდენილ ლიკვიდაციისა, პარტიის არალეგალურ ცეკას წევრების ნაწილი განაგრძობდა მუშაობას ძველი გზით, რაც მიზნად ისახავდა ეროვნულ და პარტიულ ძალების დარაზმვას საბჭ. ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენი პარტიის ახალგაზრდობა არ გაყვა ლიკვიდატორებს. ის მთლიანად იზიარებდა დანარჩენი ჯგუფის არალეგალურ პოზიციას და მთელი თავისი ძალღონით მუშაობდა დასახულ მიზნისათვის „საქართველოს განთავისუფლების“ მისაღწევად,

საქართველოს გასაბჭოება ჩვენი პარტიის ახალგაზრდობამაც მიიღო, როგორც საქართველოს ოკუპაცია რუსის ჯარის მიერ, და ის მტრულად შეხვდა საბჭოთა ხელისუფლებას. ჩვენი პარტიის ახალგაზრდობაც იზიარებდა იმედებს ევროპის ჩარევისას საქართველოს საქმეებში, ემყარებოდა რა იმ ცნობებს, რომელსაც გვაწვდიდა საზღვარგარეთის ბიურო და რომელნიც თითქოს შეუძლებლად ხდიდენ ამას.

აგვისტოში მომხდარ აჯანყების შემდეგ ნათელი გახდა ყველასათვის, რომ ის იმედები ყოველგვარ რეალ საფუძველს იყო მოკლებული და რომ ძველი გზა ქართველ ერის ფიზიკურ განადგურების მეტს არას უქადდა. ამგვარად ცხადი გახდა, რომ ჩვენი პარტიის ახალგაზრდობა შეიქმნა „პარიტეტულ კომიტეტის“ ყალბი ინფორმაციისა და უნიადაგო ილიუზიების მსხვერპლი. სწორედ ამ ქართველი ერის ინტერესების ცუდად გაგებამ და საერთაშორისო ძალთა განწყობილების გაუთვალისწინებლობამ ჩვენი პარტია მიიყვანა აჯანყებამდე, რამაც დიდი უბედურება დაატეხა ქართველ ერს და შეიწირა მთელი წყება ჩვენი საუკეთესო ამხანაგებისა.

აგვისტოს აჯანყება წარმოადგენს იმ მიჯნას, რომელიც ჩვენ სამუდამოდ გვაშორებს ძველ გზას და პოლიტიკას. მომავლისათვის ჩვენ არავის მივცემთ ნებას ქართველ ერზე ექსპერიმენტების მოხდენის მიზნით კიდევ მოითხოვოს ჩვენი ახალგაზრდობის გვამების ხელ-ახალი წყება. ჩვენთვის უკვე გამოაშკარავდა საქართველოს ნამდვილი მდგომარეობა. ჩვენ ვხედავთ, რომ მიუხედავად დიდი გაჭირვებისა და შინაურ და საგარეო ხელისშემშლელ პირობებისა, საქართველო მიდის ეროვნულ აღორძინებისაკენ და ყოველი განვლილი წელი მაჩვენებელია საქართველოს, როგორც კულტურული, ისე ეკონომიურ ფრონტზე ახალი პოზიციების დაპყრობისა, რაც ბოლოს და ბოლოს ყველაზე უფრო კარგ პირობებს უქმნის საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობისათვის.

საბჭოთა საქართველოს სინამდვილე უტყუარი მაჩვენებელია იმისა, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება ცდილობს საქართველოს ნამდვილ კულტურულ-ეკონომიურ აყვავებას.

დღეს ჩვენ საყოველთაოდ ვაღიარებთ, რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობა არის ერთად ერთი კანონიერი მთავრობა და არა მარტო ვცნობთ მას, არამედ მთელი ჩვენი ახალგაზრდული ენერგიით დავუდგებით ამ რეალ საქართველოს, საბჭოთა საქართველოს სადარაჯოზე და მომავალში არ მივცემთ ნებას არავითარ „პარიტეტულ კომიტეტებს“ იმოქმედონ ქართველ ხალხის სახელით.

ჩვენ გვწამს, რომ მხოლოდ თანამშრომლობით საბჭოთა ხელისუფლებასთან მივაღწევთ სასურველ პირობებს საქართველოს აღორძინებისა და განვითარებისათვის. ხაზს უსვამთ იმასაც, რომ ყოველი ქართველის ძალა ძვირფასია ამ ეროვნულ შემოქმედების სფეროში. ამიტომ მოუწოდებთ ჩვენ პარტიის ახალგაზრდობას დასდგეს საბჭოთა პლატფორმაზე და საქართველოს აღორძინებისათვის საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას მოანდომოს მთელი თავისი ენერგია.

ამასთან გაერთიანებულ დემოკრატიულ პარტიის (ეროვნულ-დემოკრატიული, ეროვნული, რადიკალ-დემოკრატიული და უპარტიოთა კავშირი) ახალგაზრდობის ცეკა, თავისუფლებაში დარჩენილ წევრთა სახით, ახალგაზრდათა არალეგალურ კონფერენციის წევრებთან, მოწაფეთა კომიტეტთან, პარტიის აქტიურ ძალებთან და მაზრების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებისა და მათთან შეთანხმების შემდეგ **საბოლოოდ უპირობოდ აცხადებს ჩვენი პარტიის ახალგაზრდათა ყოველგვარ არალეგალურ ორგანიზაციების დაშლას და მოითხოვს მათ ლიკვიდაციას.**

საინიციატივო ჯგუფი: ირაკლი რცხილაძე, გიორგი ტარასაშვილი, დათიკო ნადაშვილი ირაკლი კიკნაძე, ლეო ახალშენიშვილი, მიხეილ კასრაძე, ალიპი მესხი, საკო ლომკაცი, ანდრო მოსაშვილი.

ახალგაზრდათა ცენტრალურ კომიტეტის წევრნი:
სერაპიონ შარაპიძე, ილია ბოჭორიშვილი, ელიზბარ ჩხიკვაძე, ჯიჯორიძე ნიკოლოზ, ალ. გაბესკირია.

მოწაფეთა კომიტეტის წევრნი:
ირაკლი ქუთათელაძე, მიშა სიმჯიკაშვილი, ალ. ფაშალიშვილი, ალ. დემეტრაშვილი, დიმიტრი მჭედლიშვილი.

ორგანიზაციის წევრნი:
ალ. დალაქიშვილი, ალ. ბაკურაძე, მიხეილ წერეთელი, რევაზ მიქელაძე, ვლადიმერ გოგებაშვილი, ალექსი ფულარია, ვარდენ აბრამიშვილი, ალექსანდრე კალანდარიშვილი, ალექ. კაპაპერი, გ. ბოჭორიშვილი, არ. ტოჩიაშვილი, ქ. გომელაური, გ. კახაბერი.

ვიზიარებ და სავსებით მხარს უჭერ დემოკრატიულ პარტიის ახალგაზრდობის დეკლარაციას.

გაერთიანებულ დემოკრატიულ პარტიის ყოფ. ლეგალურ ცეკას წევრი: **ენ. დუმბაძე.**

უერთდები როგორც ახალგაზრდათა მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე და პარტიის არალეგალური მთავარი კომიტეტის წევრი
სიმონ ხუფერია.

---

*) ვათავსებთ ხელმეორედ, ვინაიდან პირველად („კომუნისტი“ № 12), ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, შეცდომებით იყო დაბეჭდილი.

რედ.

ამხ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთის ფურცლებზე მოათავსოთ ჩვენი შემდეგი განცხადება:

1923 წლიდან ჩვენ ვირიცხებოდით საქ. ახალგაზრდა ნაციონალ-დემოკრატთა პარტიაში, სადაც დღემდე ვეწეოდით არალეგალურ მუშაობას.

დღეს კი დავრწმუნდით, რომ ჩვენს ბრძოლას ქართველი ერი მიჰყავს კატასტროფამდე (ნაწილობრივ მიიყვანა კიდეც), სრულიად შეგნებულათ ვანებებთ თავს არალეგალურ მუშაობას და უერთდებით ყოფ. არალეგალურ ცეკას დეკლარაციას.

რომან ლეჟავა და ხვედისიანი
დავლიანიძე.

საბჭოთა სასამართლო

შენგელიას საქმე

23 იანვარს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე თბილისის მცხოვრების შ. შენგელიასი, რომელსაც ბრალად ედებოდა შეიარაღებული თავდასხმა გაძარცვის მიზნით. ხსენებული შენგელია, ხელობით ზეინკალი, მუშფაკის მსმენელი, დაახლოვებია შემთხვევით ბოროტმოქმედთა ერთს ჯგუფს; მათ ერთად გადაუწყვეტიათ „საქმის“ გაკეთება, მომზადებულან იარაღებით და დასცემიან დიდუბეში ვინმე ელიზბარიშვილის ოჯახს. თავდასხმაში მონაწილეობა მიუღია ხუთ კაცს. ელიზბარიშვილის ოჯახიდან წაუღიათ ოქროულობა, ტანსაცმლეები და სხვადასხვა ნივთები.

ბრალდებული დანაშაულში გამოტყდა და სთხოვა სასამართლოს შეღავათის მიცემა მისთვის, რამდენადაც ეს ბოროტმოქმედება მან ჩაიდინა პირველად და ისიც სხვების წაგონებით.

სასამართლომ მოწმეების დაკითხვის და მხარეების კამათის შემდეგ ხსენებულ შენგელიას მიუსაჯა 3 წლის ციხე, სასტიკი იზოლიაციით და მთელი ქონების კონფისკაციით.

მეცნიერება და ტეხნიკა

თანამედროვე შენობები



კოლოსალური მშენებლობის დროს დასავლეთში ტარდება

რი პრინციპი: შენობის მოხაზულობის სისადავე, სიმარტივე და სასარგებლო მოედნის თითეული სანტიმეტრის გამოყენება. ამიტომ სახლების უმრავლესობა შენდება მაღალი, ღრმა მრავალსართულიანი სარდაფებით. აქ მოყვანილ სურათზე წარმოდგენილია თანამედროვე საამშენებლო ტეხნიკისათვის დამახასიათებელი შენობა. ეს არის პიტსბურგში (ინგლისში) უნივერსიტეტის შენობის პროექტი - კოშკი 680 ფუტის სიმაღლის (97 საჟენი), - 50 სართულზე მეტი. ეს შენობა წარმოადგენს გრანდიოზულ ნაშენს ფოლადიდან, მინიდან და ბეტონიდან და აქვს ყველა თანამედროვე ტეხნიკისა და ჰიგიენის ყველა მოთხოვნილებები. შიგნით მოწყობილი იქნება უზარმაზარი აუდიტორიები, ლიფტები და სხვა. ასეთი შენობები დაცული იქნებიან სხვა შენობების მიერ დაჩრდილვისაგან, რადგან ქვედა სართულებს უფრო მეტი მოედანი უჭირავთ, ვიდრე ზედა-

ს. ს. ს. რ. საქ. კომისართა საბჭოს
საინფორმაციო-განყოფილების
კომპლექტი

წერილები პროვინციიდან

როდემდის უნდა იქნეს ასე

ძირულის გლეხკომის გამგეობის „მუშაობა"

არ იქნა და არა, ვერ მოიკიდა ძირულაში კოოპერატივმა ფეხი. არ ღირსა ასეთ დიად სიმპატიურ საქმეს რიგიანი დაყენება, უანგარო გამძღოლი.

ჯერ არის და აქაური „ეპო" სულს ღაფავს და გლეხკომმა ხომ დიდი ხანია განუტევა სული. მისი ავლადიდება ნაცარ-ქექიას აეკიდება ზურგზე.

მერე რა ხანმოკლე იყო მისი სიცოცხლე: გლეხებისაგან საპაიო თანხის სახით შემოტანილ ღვინისა და არაყის მიღება (გლეხებში გულგრილობას ადგილი არ ჰქონია), მათი გაყიდვა და 2—3 ვაგონი სიმინდის მოტანა. იყო მანუფაქტურაც (შევიმოწმებიც რასაკვირველია) საბოლოო ანგარიშით გამგეობას რჩება 1200 მანეთამდე საბრუნავი თანხა.

აღნიშნული თანხიდან 850 მან. მიაქვს ვინმე ურატაძეს სუფსიდან სიმინდის მოსატანათ. ამ ურატაძემ რამდენჯერმე მოიტანა გლეხკომისთვის სიმინდი, ნდობა მოიხვეჭა და ამის შემდეგ რაც 850 მან. უკანასკნელათ ხელთ იგდო, ის დღეა და ეს დღე, გაქრა ურატაძე და გაქრა გლეხკომიც.

უკანასკნელი საბრუნავი თანხა ხომ ურატაძემ გაიტაცა და გამგეობას თუ რამე გააჩნდა კიდევ იმ ურატაძის ძებნას მოუნდა.

ძირულის გლეხობამ უკვე იწვნია ამ საქმის მცოდნე პირის აფერისტული ხრიკები. მას აღარ სწამს არც ეპო, არც გლეხკომი.

„ვინც ჩადგა, ჩემო ბიძია, ყველამ საჭმელათ მეინდომა „კოოპერატია" და აღარ ყოფილა ჩვენი საშველიო" —ამბობს ის.

გლეხკომის გადარჩევა უკვე მოხდა ახალ გამგეობას უანდერძა ძველმა თავის აბურდული საქმეების გამოსწორება.

საჭიროა ამ ახლად ფეხადგმულ ორგანიზაციებისადმი მეტი სიყვარული, მეტი პასუხისმგებლობა და, რაც უფრო საჭიროა, ხშირი კონტროლი, რევიზია, ღირსი პირების რკინის ცოცხით განდევნა.

თორემ ჩავარდით ვაჭარ-მიკიტნების ხელში, მართლაც არაა ჩვენი საშველი და როდემდის უნდა იქნეს ასე.

ინფ.-კორ. თ.

დროა ბოლო მოეღოს ამდენი ხნის დავას

ს. ტაბანათი (სუფსის თემი)

სუფსის თემში ერთად ერთ თვალსაჩინო კუთხეთ ითვლება ტაბანათი, რომელშიაც თავიდანვე დიდ დავას იწვევდა გზის გაყვანის საკითხი. აღნიშნულ კუთხეში 1905 წელს საზოგადოება ძლიერ დაინტერესებული იყო გაეყვანათ გზა ისე, რომ ამ საკითხის გარშემო ერთხელ და სამუდამოთ შეწყვეტილიყო ყოველგვარი დავა. მაგრამ ორი სამი პიროვნების ზეგავლენით ეს საკითხი დამთავრდა საზოგადოებისათვის არა სასურველათ. ამ გზის გარშემო დავამ იმსხვერპლა 1905 წელს ორი საუკეთესო მშრომელი ადამიანი. აღნიშნული გზის გაყვანის საკითხი დღესაც მწვავეთ დგას. ათი დღის წინათ ამ საკითხის მოსაგვარებლათ არჩეული იქნა განსაკუთრებული კომისია შვიდი კაცისაგან. ამ კომისიამ ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოაგვაროს ეს საკითხი. რომ კომისიის მუშაობა ნაყოფიერი იყოს და ის ხელმეორეთ სადაო არ გახდეს, აუცილებლათ აღნიშნულმა კომისიამ ეს გზა უნდა გაიყვანოს ტეხნიკის საშუალებით. საჭიროა კომისიამ მიუდგომლობა გამოიჩინოს და საქმე ისე მოაგვაროს, რომ ძველი დავა აღარ განმეორდეს

ს. ი. კომახიძე.

მაგალითი, რომელსაც არ უნდა მიბაძონ

18 იანვარს ა/წ. მივემგზავრებოდი ქ. ქუთაისში რამოდენიმე ამხანაგების თანხლებით. სად. ხარაგოულში მატარებელი იდგა დაახლოვებით 30 წუთი. მე და ერთი ამხანაგი შევედით სადგურის ბუფეტში, სადაც გვერდით გასასვლელ კარებზედ იყო წარწერა: „სამკითხველო- დაიცავით სიწყნარე და წესიერება" კარები კი დახურული იყო, ჩვენ ვიფიქრეთ ახალი გაზეთი იქნება შიგო და გვინდოდა შევსულიყავით, მაგრამ კარების გაღებისას სულ სხვა სურათი დაგვიდგა თვალწინ: სამკითხველო კარგად მორთული იყო რევოლიუციის ბელადების სურათებით, შუაში სდგას მაგიდა, იქით-აქეთ საჯდომები, ზედ რამოდენიმე ახალგაზრდები სხედან, მაგიდაზე სულ ყველაფერია: გაზეთები, ბროშიურები, მოხარშული ინდაურის ხორცი, პური, ღვინო ბოთლებით—ერთი სიტყვით „რაც კი უნდა სულსა და გულს, მხოლოდ რომ გაზეთის წაკითხვა იქ შეუძლებელი იყო, ვინაიდან—„თბილ კამპანიას" —ხელი შეეშლებოდათ.

დასაშვებია ეს?

ლ. დოლიძე.

სოფ. ძონძირის სკოლა

(სენაკის მაზრა)

ეს სკოლა ოთხწლედია. მასში ირიცხება 130-მდე მოსწავლე. 15 იანვრიდან აქ იქნა დანიშნული მესამე მასწავლებელი.

მეცადინეობას მეტად აფერხებს ის გარემოება, რომ სკოლის საკუთარი შენობა არ დამთავრებულა მეცადინეობა მასში შეუძლებელია: არა აქვს ბუხარი, ფანჯრებში მინები და კარი ამიტომ მოწაფეების ნაწილი მოთავსებულია ყოფილ ეკლესიის შენობაში, ნაწილი ადგილობრივი სამმართველოს ერთ-ერთ ოთახში. ნორმალური მეცადინეობის წარმოება როგორც პირველში, ისე მეორეში შეუძლებელია.

სკოლის შენობის დასამთავრებლათ საჭირო თანხა სოფელმა მეორე წელი, ადია რომ გაიღო, სკოლა დღემდი არ არის დამთავრებული. გლეხობაში ეს გარემოება იწვევს დიდ უკმაყოფილებას. სკოლის საამშენებლო კომისია სალათას ძილშია საჭიროა მისი გამოღვიძება.

ნემსი.

მგლები ქ. გორში

გორშიაც გახშირდა მგლების თარეში. 18 იანვარს ღამის 10 საათზე კარლ მარქსის მოედანთან ორი მგელი შეეფეთა ფოსტიდან მიმავალს მორიგე თანამშრომლებს. ერთ მათგანს რევოლვერი აღმოაჩნდა და ესროლა მგლებს, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოკლა. ამ ხმაურობაზედ მათ მოეშველა მოდარაჯე მილიციონერი და მგლებიც გაიქცნენ.

მექვაბიძე.

განათების საქმე მოეწყო

(ქალ. ჭიათურა შორაპ. მაზრა)

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც შორაპნის მაზრის კომუნალური განყოფილება შეუდგა ქალ. ჭიათურაში 500 ცხენის ძალიან ელსადგურის აშენებას, ამ საქმის საბოლოოთ გაკეთება ბევრს უტოპიათ მიაჩნდათ, მაგრამ დღეს ვხედავთ ელსადგური უკვე მზათ არის განათებისათვის. მადლობის ღირსნი არიან კომუნალური განყოფილების და ელ-სადგურის გამგეები ამხ. ამხ. ირ. ბურჯანაძე და მ. ცუცქირიძე, დაუღალავი და ერთგული მუშაობისათვის. მათი დაუღალავი შრომით აშენდა ქალ. ჭიათურაში ელექტრო-სადგური, რომელსაც შეუძლია სინათლის მიწოდება, როგორც ქალაქისათვის, აგრეთვე შავი ქვის მაღაროებისათვის,

კ. ხვერელი.

სოფ. პირველი ილორის შვიდწლედი

სოფ. პირველი ილორი შედის მარნის თემში. ამ სოფელში დაარსებულ სკოლას აქვს 40—45 წლის ისტორია. თავიდანვე ეს სკოლა იყო სამინისტრო სკოლა. ჯერ ერთკლასიანი, შემდეგ ორკლასიანი, ბოლოს გადაკეთებულ იქნა უმაღლეს-დაწყ. სასწავლებლად. ახლა სკოლა ატარებს შვიდწლედის სახელს. სკოლა პირდაპირ უნუგეშო მდგომარეობაშია. სკოლის შენობა შესდგება ოთხი სამეცადინო დარბაზიდან ორი ვიწრო სამოსწავლო ოთახით და ორიც საცხოვრებელი ოთახიდან. ყველა სამეცადინო ოთახებში აყრილია ჭერ-იატაკი, ფანჯრებში ნაკლებად მოიძებნება მინები (უკანასკნელის მაგივრად ჩადგმულია ფიცარი). კედელი არ არის კარგად შეკრული და სიცივე თავისუფლად შედის ყოველმხრიდან. შენობა გადახურულია ყავრით, რომელიც უკვე ისე მოძველებულია, რომ წვიმის დროს ოთახებში ისეთ გასაჩერებელ ადგილს ვერ იშოვით, სადაც რომ არ სწვიმდეს. ყველა ამას მიუმატეთ უშეშობა და მაშინ ადვილი წარმოსადგენი იქნება წრევანდელ ზამთარში მოწაფეების და მასწავლებლის მდგომარეობა, რომელთაც სკოლაში სიარული უხდებათ ორი, სამი და მეტი ვერსის მანძილზე ამ ცუდ ამინდებში. იმედია, ვისგანაც ჯერ არს, ჯეროვანი ყურადღება მიექცევა ზემოხსენებულ შვიდწლედს.

ვინჩინ.

როგორ ვაუმჯობესებთ გლეხის მეურნეობას

მუხრანი (დუშეთის მაზრა)

მუხრანის რაიონი სოფლის მეურნეობისათვის საუკეთესო ადგილია. მეურნეობის მთავარ დარგთან, ხვნა-თესვასთან ერთად არა ნაკლებ საპატიო ადგილი უჭირავს მევენახეობას და შიგ ჩართულ მებაღეობას. უმეტეს შემთხვევაში ვენახები სამაგალითოდ დამუშავებული და მოვლილი. არის და მოსავალიც საკმაოდ მოჰყავთ. წარსულმა ყინვებმა, რომელიც აქ 29 გრად. აღწევდა, უეჭველია ძლიერ დააზიანა ვენახები, მაგრამ მცხოვრები იმედს არ კარგავენ ვენახების გაფართოებაზე. იანვრის პირველ ნახევარში მუხრანში გახსნილ იყო მოკლევადიანი სოფლის მეურნეობის კურსები, რომელსაც გლეხები დიდი ხალისით ესწრებოდნენ და როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულად ეცნობოდენ ვაზის ბუნებას, გასხვლას და საერთოდ მეურნეობის სხვადასხვა დარგების მთავარ მუშაობას.

მეცადინეობა ჩატარებულ იყო სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო მამულის (მუხრანში) აგრონომების და მაზრის აგრონომის დახმარებით.

აგრონომი ივ. ჩხენკელი.

პროვინციის ქრონიკა

— **რადიო-სადგური სვანეთში.** სვანეთის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა სათანადო ორგანოს წინაშე, რათა სვანეთში აგებული იქნას მიმღები და გადამცემი რადიო-სადგური.

— **ფოსტა სოფლათ.** საქართველოს სხვა და სხვა კუთხის 46 სოფელში ქოხ-სამკითხველოებთან გაიხსნა ფოსტების განყოფილებები.

— **საბჭოთა არჩევნები.** 24 იანვრიდან ბორჩალოს მაზრაში დაიწყება საბჭოთა არჩევნები.

— **სარაიონო მილიციის მაგიერ.** შორაპნის აღმასკომმა გადასწყვიტა გააუქმოს კორბოულის და ამაშუკეთის რაიმილიციის სამმართველოები და მათ მაგიერ მოაწყოს სათემო მილიციები.

— **ხელოსანთა ყრილობა.** 21 იანვარს ქუთაისში გაიხსნა თვითმშრომელ საზოგადოებათა ყრილობა, ყრილობას დაესწრო სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარი.

— **კახეთში** წელს დაითესება ბამბა 500 დესეტინა მიწაზე.

— **აფხაზეთში** საბჭოთა ყრილობა მოწვეული იქნება 12 თებერვალს.

— **უმუშევართა კოლექტივი.** სოფ. ანაგის, ვაქირის და კარდანახის უმუშევარი ხელოსნები შრ. სახ. კომისარიატის თაოსნობით აარსებენ ხის დამმუშავებელ და მექანიკურ სახელოსნოს.

კახეთი

— **მთელ კახეთში** წინანდელ თოვლს კიდევ დაემატა. თოვლი ერთ ჩარექზე მეტი დადო. ყინვები გრძელდება, სიცივე—კი ცოტა მოტყდა.

— **ნაფარეულის რაიონი** (თელავის მაზრა) დიდი თოვლის გამო ნადირი მთიდან სოფელს ეტანება. სხვათა შორის მგლის ხროვამ ნაფარეულს და ფშაველს შუა ერთი კაცი იმსხვერპლა.

ქრონიკა

მევენახეობის აღსადგენად

საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატმა საქართველოს მევენახეობის აღსადგენად გაიღო 150 მანეთი მიზნობრივი სესხის სახით.

საქ. სახალხო მამულებისათვის.

საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატმა საქ. სახალხო მამულების ტრესტის ძირითად თანხის შესავსებად გადასდო 150 ათასი მანეთი.

— **ამხ. ხმალაძის მივლინება.** თბ. აღმასკომმა მილიციის უფროსი ამხ. ხმალაძე და მაღრაძე მიავლინა მოსკოვში საკავშირო ადმინისტრატორთა თათბირზე. ხმალაძის თანამდებობის დროებით ასრულება დაეკისრა ამხ. ვ. მესხს.

— **საკლუბო სემინარები.** ჯარის ნაწილების საკლუბო მუშაკების მოსამზადებელ სემინარებში მეცადინეობა განახლდება 25 იანვრიდან.

— **საბოსტნე თესლეულობა.** ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარ-გარეთიდან გამოიწერა ბოსტნეულობის და სათიბი ბალახის თესლის დიდი პარტია.

— **მევენახეობის საჭიროებისათვის.** ა/კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარ-გარეთ შეიძინა 2 ათასი ცალი სასხლავი დანა.

— **ბამბის დათესვა.** წელს იმერეთში ბამბა დაითესება 1,200 დესეტინის სივრცეზე.

— **სარძეო დახმარება.** 1-ლი იანვრიდან დამზღვევ კასამ მეძიძურ და ლოგინეულებს რძის დახმარება გაუდიდა 4 მან თვეში.

— **საბინაო საამშენებლო ამხანაგობა.** თბ. აღმასკომის კომუნალურ განყოფილებამ დაამტკიცა წესდება 8 ახალ საბინაო-საამშენებლო მუშათა კოოპერატიული ამხანაგობის.

— **საკვებო დახმარება ხევსურეთს** ჯანსახკომმა სახ. კომისართა საბჭოს მიერ გადადებულ თანხით, ფშა-ხევსურეთის, [illegible] მაღაროს კარში და ბორისახოში გახსნა საკვებო პუნქტები.

— **მუშაობის ნაყოფიერების აწევა აბანოებში.** თბ. აღმასკომის სტატისტიკურ განყოფილების ცნობით აბანოებში მუშაობის ნაყოფიერება გასულ წელს 21 წელთან შედარებით გაიზარდა 35,5 პროც. ხოლო 23 წ. შედარებით 2,6 პროც.

— **წერა-კითხვის საზოგადოებას** ნება მიეცა თავის ფონდის გასაძლიერებლად გამოსცეს ცალკე წიგნათ აღმასკომის ბრძანებები სავალდებულო-დადგენილებები სახლის პატრონთა და ვაჭრებს შორის გასავრცელებლად.

— **სალატარიო კიოსკები.** ქ. აღმასკომმა წ. კ. უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოებას ნება დართო თავის საშუალებათა გასაძლიერებლად ქალაქის სხვადასხვა ადგილას დასდგას სალატარიო კიოსკები.

— **კომუნალურ განყოფილებას** დაევალა შესცვალოს საპიორის ქუჩის არსებული სახელწოდება.

— **ახალი საბინაო ამხანაგობა.** მოსკოვის ქ. № 2 შესდგა ახალ საიჯარო-საბინაო ამხანაგობა.

— **საშუამავლო ბიურო.** 23 იანვარს პუშკინის ქ. № 6 გაიხსნა აღმშენებელთა მუშების საშუამავლო ბიურო.

— **6 საათის სამუშაო დღე.** ჯანსახკომი შეუდგა სულით ავადმყოფთა სამკურნალოში 6 საათის სამუშაო დღის გატარებას.

— **საზოგადო სამრეცხაო.** შრომის კოლექტივების გამგეობა შეუდგა საზოგადო სამრეცხაოს მოწყობას, სადაც იმუშავებენ უმუშევარი ქალები.

— **ტელეფონების ქსელი.** საქ. მ. გ. ინსპექციამ ამხ. კალანდაძეს მიანდო შეიმუშაოს მაზრაში არსებულ ტელეფონების ქსელების სამაზრო აღმასკომებზე გადაცემის საკითხი

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ამხ. მათიკაშვილის წერილის სათაური დამახინჯებულია. სწერია: არჩევნების წარმოების წესის შედეგი. უნდა იყოს კი—არჩევნების წარმოების წესის, შესახებ.

შემთხვევები

— **ტრამვაის ქვეშ.** 22 იანვარს, კომუნალურ ქუჩაზე, ტრამვაის ქვეშ მოყვა 4 წლის ქალი საფრომა კასუმ კიზი გასან ზადე, რომელიც საავადმყოფომდე გზაში გარდაიცვალა

— **დაჭრა.** 21 იანვარს, საღამოს 7 საათზე და 20 წუთზე, საგლოვიარო სალიუტის დროს, შემთხვევით მკლავში დაიჭრა ქუჩაში მიმავალი ნიკოლოზ ცუცქერიძე.

— **ბავშვის გვამების პოვნა.** 21 იანვარს, კუკიის სასაფლაოზე იპოვეს ორი ახალდაბადებული ბავშვის გვამი.

— **შეპყრობა.** 22 იანვარს შეიპყრეს იაგორ გელიაევი, რომელმაც მოქ. ოლღა ბანეტაშვილს ხელიდან გამოსტაცა საფულე და გაქცევა.

— **ქურდი თერძები.** 22 იანვარს შეიპყრეს თერძები ივარლამ გაბრიელიანცი, ისაიანცი და ქიშვილი, რომლებმაც მოქ. მელიქიშვილს მიპარეს შესაკერად მიბარებული მატერია

— **ქურდობა.** 21 იანვარს, ლაზნის ქ. № 11, გატეხეს მოქ. ლეონ არუთინოვის საპნის ქარხანა, წაღებულია 460 მანეთის საპონი.

— **ცეცხლი.** 21 იანვარს სოფ. პოსელონიში დაიწვა პეტრე ივანოვის თავლა. ზარალი უდრის 300 მან.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა.

მირრა ვოლის (ულიავა) გასტროლები

ნიჭიერმა მომღერალმა ქალმა თავისი მეორე გასტროლისათვის აირჩია რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „მეფის საცოლე"

როდესაც უსმენ მსახიობს, არ იცი რა უფრო გიტაცებს მის შესრულებაში—ვოკალური თუ დრამატიული მხარე,—იმდენათ მხატვრული და დამთავრებულია მის მიერ მართას პარტიის შესრულება. პირველი ჯგუფის როლის დროს მომღერალის ხმა რამდენიმეთ დახშული იყო. მას აკლდა [illegible]. მეორე გამოსვლამ დაამტკიცა, რომ ეს მოვლენა შემთხვევითი იყო და ის გავლენას არ ახდენს შესრულებაზე.

„მეფის საცოლე"-ში მომღერალის ხმა საუცხოოთ ჟღერდა. მთელი პარტიის შესრულება გამსჭვალულია მუსიკალობით და კულტურით მსახიობი ღრმათ განიცდის როლს და თავისი მხატვრული თამაშით და გულწრფელობით იტაცებს მსმენელს.

მეფის მაჰანკლის მშვენიერი სახე მოგვცა ბოგოლეპოვმა. პარტიის დრამატიული მხარე მსახიობს რეალურ ტონებში მიჰყავს. ლამაზი და მუსიკალურია ვოკალური გადაცემა.

კარგია დუნიაშას ეპიზოდიურ პარტიაში მომღერალი ბაბკინა.

მოსინმა შესძლო თავისი პარტიის ლირიული ადგილების გამოყოფა. ტემპერამენტით ჩაატარა მომღერალმა პათეტიური ადგილები.

შარაშიძემ—ვასილ სობაკინი—კარგათ ჩაატარა მონოლოგი, მაგრამ ანსამბლებში აკლდა სიმტკიცე.

ლიუბაშას პარტია საუკეთესოა ტოვსტოგუზოვსკაიას რეპერტუარში. კარგია პირველი აქტის სცენა. სიმღერაში სასურველია მეტი მთლიანობა ფრაზიროვკასთან და უფრო ხანგრძლივი ხმოვანება.

საუცხოვოა ალექსაშინი გრიაზნოის პარტიაში, განსაკუთრებით ფინალის სცენაში. კარგათ მღერის მალიუტა სკურატოვის პატარა პარტიას [illegible].

მშვენიერათ მიჰყავს ორკესტრი სტოლერმანს. გამოყოფილია ყველა მუსიკალური პერიოდები და ფრაზები.

შ. ხ.

— „**საზღვარზე**". სამშაბათს, 27 იანვარს, გამოვა მოსწავლე ახალგაზრდობის ყოველთვიური დასურათებული ჟურნალი „საზღვარზე" № 1 შემდეგი შინაარსით:

ლენინის გარდაცვალებას ერთი წლის თავზე—მ. კახიანის, ლენინი (ლექსი)—კ. იწვერელის, 9 იანვარი და ლენინი—დავ-ონის, „ქურდი" (მოთხრობა)—ი. გედევანიშვილის, ჩვენი ვარსკვლავი (ლექსი)—კ. ფედოსის [illegible] მსხვერპლი ირმისა (ლეგენდა)—გ. ქოჩიშვილის, მზისთვის (ლექსი)—უ. პოლუმორდვინოვის, კინწვეროობის,ენ—დ. თურქესტანიშვილის, ზღვასთან—შ. შონიბიძის, პოეტი მასებთან (ლექსი)—კ. ორთოფანიძის, მემკვიდრენი—ბ. პილნიაკის, ხელოვნება და მისი კლასიურობა—შ. რადიანის, ახალგაზრდობის ლენინური აღზრდა—გ. ძიგრაშვილის, ს ს. რ. კ. კონსტიტუცია—შეწირულის, ახალგაზრდობა და პოლიტიკური მუშაობა—შ. ა—ს, სოფელი წინათ და ეხლა—შ. სიხარულიძის, დარვინიზმი—ვ. ჩხენკელის, დედა-მიწის წარმოშობის ახალი თეორია—ვ. კ—ს, ახალი სკოლა—ე. ვასაძის და სხ. გარდა ამისა ჟურნალში მოთავსებულია წერილები ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობის, ბავშვთა მოძრაობის და მოწაფეთა ყოფაცხოვრების შესახებ, მიმოხილვები თეატრზე, კინოზე, სპორტზე, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია და სხ.

— „**ლ ა ტ ა ვ რ ა**". დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება ს. შანშიაშვილის პიესა: „ლატავრა".

— **ს ა ხ. ო პ ე რ ა შ ი** დღეს წარმოდგენილი იქნება: „გოფმანის ზღაპრები".

— „**ტ ა რ დ შ ი**" დღეს წარმოდგენილი იქნება „მიწის ძვრა".

— **დემობილიზაციით გაშვებულ უმუშევარ ჯარისკაცთა** დასახმარებლათ 27 იანვარს ცირკში დუროვის მონაწილეობით გაიმართება დიდი წარმოდგენა.

დღეს კინოებში:

— მ ი ნ ი ო ნ—„მის".

— პ ა ლ ა ს—„ვიდოკ" 3 და 4 სერია

— ს ო ლ ე ი—„მზის სიცილი" 3 და 4 სერია.

— ა პ ო ლ ო—„ალიტა".

— ა რ ფ ა ს ტ ო—„სამი სიცოცხლე"

მუშათა ცხოვრება

ნიჭიერ მუშებს ხელს უწყობენ

აქ მინდა მე შევეხო რკინისგზის სტამბის ცინკოგრაფიო განყოფილების ხელმძღვანელს ვანო ნაცვალოვს, რომელიც იჩენს გამოგონების ნიჭს თავის ხელობის დარგში

კლიშეების დასამზადებლად საჭირო იყო ხშირად ექვსი საათობით ფირფიტებზე გადაღებული სურათების წამლებით შეზავებულ წყალში ქანაობა, რომლის სუნიც ადამიანის ორგანიზმზე ცუდათ მოქმედობს. რომ მუშა ასცდენოდა მავნებელ სუნს და მისი ლივლივით ბევრი დროც არ დაკარგულიყო, ამისათვის ვანო ნაცვალოვმა მრავალი დაკვირვების შემდეგ ადმინისტრაციის დახმარებით მუშაბანდიან კუთხეში მოაწყო უბრალო მანქანა; დინამოს შეუერთა ელექტრონის მავთული და დაიწყო ალმა-დალმა ბრუნვა პატარა ბორბალმა. ამის შემდეგ რამდენი დროც საჭიროა მუშა-ხელის გაუცდენლად ილივლივებენ ხონჩებში ფირფიტები.

ვაშა, ამისთანა მუშას და ვაშა იმისთანა ადმინისტრაციას, რომელიც ხელს უწყობს მუშის ნიჭს გამოგონების დარგში.

მუშკორი გ. ხ—ლი.

გასავალი დიდი გვაქვს, ხელფასი კი მცირე.

(რკ. გზის პროფ-კავშირის საყურადღებოდ)

ყველამ კარგად იცის, რომ ა/კ რკინის გზებზე მუშა-მოსამსახურეთ ჯამაგირები მცირე აქვთ. სამსახურში ზოგიერთი გარეშე დაწესებულების წარმომადგენელნი დადიან და აწვდიან მუშა-მოსამსახურეთ ბილეთებს თეატრისას, ახლად გამოცემულ წიგნებს, გაზეთებს და სხვას ნაირად ჯამაგირის დროს კი ეს წვრილი ხარჯები თავს იყრის ერთად და მოსამსახურე ცარიელი რჩება. ავიღოთ მაგალითად ასეთი შემთხვევა: ერთ-ერთს მოსამსახურეს, რომელსაც აქვს 32 მ., გამოურიცხეს შეშის—4 მანეთი, ნავთის 1 მან., წიგნების 1 მან. 50 კაპ., გაზეთის 1 მ. 50 კ., „ბავშვთა კერის—1 მ. 50 კაპ., საწევრო გადასახადი 80 კაპ. ავანსი—7 მან. და სხვა წვრილმანის 1 მანეთი. სულ 25 მანეთამდე. ხელზე კი მიიღო მხოლოდ 7 მანეთი. ასე სჭირთ დანარჩენ მოსამსახურეთაც.

მუშკორი ცრემლი.

მადლობა ასეთ მუშაკებს

ჩვენ, რკ. გზ. საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების და მეორე ტერაპევტიულის ავადმყოფები განსაკუთრებით აღვნიშნავთ დაუღალავ ენერგიით სავსე მუშაობას, რისთვისაც გულითად მადლობას უძღვნით ექიმებს—**გეგეჭკორს, აგაპოვს** და **ასათიანს;** ფერშლებს:—**ბეჟუაშვილს, ჰე-ბურისეს** და **ადამოვს;** მოწყალების დებს:—**ციციანოვისას** და სხვებს; მომვლელ ქალებს:—**ძუნკსა** და **ხარბანიძეს;** სანიტარებს:—**ახალმაზოვს, სარიჩევს და მანჯავიძეს.**

ვისურვებთ, რომ ასეთი თანამშრომლები ბევრი ყოლებოდეს ჩვენს საბჭოთა დაწესებულებებს საერთოდ და კერძოთ ჩვენს საავადმყოფოს, რაც ერთ-ერთი დავდები იქნება ჩვენი სამუდამო გამარჯვებისა.

ავადმყოფების მონდობილებით

ინფ. რკინისგზელი.

უპატრონო სახლკარი

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ).

ორბელიანის ქუჩაზე № 23-ის სახლის პატრონი მოქ. მალაევი სრულებით არ აქცევს ყურადღებას სახლებს: თავისი ბინა მას მეორე სახლში აქვს მშვენივრათ მოწყობილი და ამ „სახლის გამგებლობა" მის მიერ მინდობილი აქვს ნათესავს, მდგმურ ვაჭარს, რომელიც მხოლოდ თვეში ერთხელ ჩამოივლის ბინების ქირებისა და წყლის ფულის ასაკრებად. ჩემი ბინის სამზარეულოში წყალი დაკეტილია, რადგან წყლის კრანი გაფუჭებულია. სახლის პატრონს არ გამოყავს წყალი, „სახლის გამგე" გვპირდება გავაკეთებთო და აგერ წლიწადზე მეტია, რაც არ შეუსრულებია დაპირება. ამ დიდი ყინვების გამო წყალსადენის მილები უყურადღებობით სულ გაფუჭდა და წყლის მოტანა-ყიდვა გვიხდება შორიდან.

მდგმურების უმეტესობა საბჭოთა მოსამსახურენი და წითელ არმიელები შევადგენთ. ვსთხოვთ ქალაქის აღმასკომს მოგვაქციოს ყურადღება და გაუჩინოს ამ სახლს მატრონი.

მდგმური: კოლია ბადურაშვილი.

ნუ დაგვხოცავთ სიცივით

(მუშფაკის დეკანის საყურადღებოდ)

ყოფილ მე-2-რე ვაჟთა გიმნაზიის შენობაში ვართ მოთავსებული მუშათა ფაკულტეტის მსმენელები, რიცხვით 400 კაცამდე. მეცადინეობა საუცხოვოდ არის დაყენებული წესრიგიც დაცულია, როგორც მოწაფეებს შეეფერება, მაგრამ ერთი ნაკლი მაინც გვაქვს: აუტანელ გაჭირვებას განვიცდით მოწაფეები. მასწავლებელი რომ შემოდის სასწავლებელში, სიცივისგან ქუდს ვერ იხდის. მოწაფეები ყველანი საცოდავად ძიგძიგობენ.

და თუ ეს ნაკლი არ იქნა დროზე გამოსწორებული, შენი მტერია, იქაურ მსმენელებს შავი დღე დაადგებათ. გაგვითბეთ სასწავლებელი.

მსმენელი შ. ცავურია.

მუშაკი ასეთი უნდა

(რკ. გზ. სამმართველოს და საუბნო კავშირის საყურადღებოდ).

ა.-კ. რკ. გზ. მთავარ საწყობში მსახურებს გამგის თანაშემწედ ამხ. **ვასო კოჩნიევი,** რომელიც ასრულებს საწყობში, განყოფილებებში და გარედაც მეთვალყურეობას, ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვას და ყველანაირი მასალების თავ-თავისი ადგილზე დალაგებას, სისუფთავეს და სხვა. გასაკვირია ამხ. კოჩნიევის მოუსვენარობა, საქმეზე ისე დატრიალებს. ის თვალყურს ადევნებს სად როგორ მუშაობენ, ან სად რა მასალა და როგორ ილაგება, რომ რაიმე არ გაფუჭდეს. ასე გეგონებათ, თითქოს ეს ყველა მისი საკუთრებააო. ამხ. ვასო კოჩნიევს მისი გულკეთილობით მუშებში დიდი სიყვარული და ნდობა აქვს დამსახურებული, ასეთი მუშის მოყვარე და წარმოებისათვის თავდადებული ამხანაგი ძალიან იშვიათია.

მადლობის ღირსია ამხ. ვასო კოჩნიევი ასეთი გულკეთილობისა და საქმიანობისათვის.

მუშკორი დ. ნჯანი.

სად. განჯის მემანქანეთა ცხოვრებიდან

განჯის საყუდში ითვლება ოთხმოცამდე მემანქანე თავიანთ თანაშემწეებით, აქ მოეწყო მემანქანეთა გადასამზადებელი კურსები, ვინაიდან ტეხნიკა წინ მიიწევს და რასაკვირველია ორთქმავალებიც უფრო გაუმჯობესებული კონსტრუქციის გამოდიან. ამისათვის საჭიროა მემანქანეთა გადამზადება, რათა უფრო კვალიფიციური ცოდნით ჩაებათ საბჭოთა აღმშენებლობაში. ლექტორათ მოწვეულია მოქ. **ტარასენკო,** რომელიც თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს.

ხსენებულ კურსებზედ იკითხება კვირაში ერთხელ პოლიტ-უცოდინართა შორის ლექცია, რომელზედაც სამუშაოდან თავისუფალი ამხან. სიამოვნებით ესწრობიან. ამ მხრით მადლობის ღირსია მემ. **მიხაილოვი,** რომელიც თავის დასასვენებელ საათებს ანდომებს იმას, რათა მუშებში შეიტანოს პოლიტ. ცოდნა.

ბინის მხრივ ყველანი განვიცდით დიდ გაჭირვებას. განსაკუთრებით კი ოცამდე მემანქანენი იმყოფებიან ვაგონებში, თითო კუპეში ოთხ-ოთხი კაცი, ერთ წელზედ მეტი არის, რაც ასეთ მდგომარეობაში ვართ, ვისაც მივმართეთ ადგილობრივ და არავინ ყურადღებას არ გვაქცევს.

ამას წინ მივმართეთ უბნის უფროსს, რომ ფეჩი მაინც მოეწყო, მაგრამ იმისგანაც უარი მივიღეთ და ასეთ არ ნახულ სიცივეებში ვიმყოფებით სრულიად გაუთბობელ ვაგონებში. იყო შემთხვევები ამხანაგების დაავადმყოფებისა.

მემ. თანაშემწე—ვ. ლომაძე.

მუშათა უბანი კარგად გვაქვს მოწყობილი

(წერილი სამტრედიიდან)

ქალაქ სამტრედიაში ნავაზაურის უბანი თითქმის ყველა უბნებზე მაღლა სდგას კულტურულად. აქ არსებობს შრომის სკოლა, სამკითხველო და მუშათა კლუბი, არსებობს წრეები: ლიტერატურული, დრამატიული, ქალთა და სხვა. ამასთანავე არსებობს კომუჯრედი, რომელიც მართლაც დიდ სიბეჯითეს და მუყაითობას იჩენს მუშაობაში. ეს უბანი მისაბაძი მაგალითია ქალაქ სამტრედიის სხვა უბნებისათვის.

ინფ. კოეფიციენტი.

სასადილო „შამპანს" აუწიეთ ყური

(უზრ.-ყოფის სახკომის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის საყურადღებოდ)

მუშებისადმი „ზრდილობიანი" მოპყრობის ერთი ნიმუში.

(მუშის წერილები მიზანს ვერ აღწევენ)

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გაზეთ „კომუნისტი"-ს ერთ-ერთ ნომერში იყო მოთავსებული წერილი ყოფილ სასადილო „შამპანის" შესახებ. ჩვენ ვთხოვდით გემო-კვების კავშირს ყურადღება მიექცია ამ სასადილოსათვის, ვინაიდან სხვა სასადილოებში საღამოს 6 საათზე მარტო მეორე კერძი პურით ღირს 37 კაპ., **„შამპანში" კი გვახდევინებენ მარტო მეორეში უპუროდ 50 კაპ.** ამ წერილისათვის არც გემო-კვების კავშირს მიუქცევია ყურადღება და არც ადგილობრივ გამგეობას შეუწუხებია თავი.

ჩვენ ბევრჯერ მოგვისმენია საერთო კრებაზე მოწოდება, რომ ყველა მშრომელი მუშა უნდა ჩაეწეროს წევრად „წითელ სასადილოებში" და სხვა. მაგრამ რანაირად ჩაეწეროს ჩვენი მუშა წევრათ წითელ სასადილოში, როდესაც ტყავს აძრობენ ზოგიერთ „შამპანებში" მუშებს. აი მაგალითად სასადილო „შამპანი", რომელიც მარტო სახელს ატარებს წითელი სასადილოსას. მაშ ჰკითხეთ რათ შვრებით ასეო. ისინი გეტყვიან: „თქვენი ნებაა, გინდ ისადილეთ, გინდ არაო"! რაღა სასადილოა ასეთი სასადილო, სადაც მუშებს ამნაირად მოეპყრობიან.

საჭიროა მეტი ყურადღება მიაქციონ სასადილო „შამპანს" უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ.

მუშკორი ი. ჯ.

სავარჯიშო დარბაზი თუ ნაგვის ყუთი

(სანიტარულ კომისიის საყურადღებოდ)

მე-3-მე რაიონის სავარჯიშო დარბაზში ყოფ. ისნის შევარდენში ვარჯიშობა კარგად მიმდინარეობს, ვარჯიშობს 60 კაცი, გემო-კვების კავშირიდან 40 კაცამდე. მათში სულ კომკავშირის, პროფ-კავშირის წევრები და მუშის შვილები არიან, გვყავს ამორჩეული ბიურო. გვყავს მთავარი ინსტრუქტორი ამხ. ფირალოვი. ყველაფერი კარგად მიმდინარეობს, მაგრამ არის ერთი დიდი ნაკლიც, სასპორტო დარბაზში არის მოთავსებულ მე-4 შრომის სკოლის სცენა. ამ სცენის ქვეშ არის აურაცხელი მტვერი და ვარჯიშობის დროს ამტვერიანდება და ამ მტვერს ჩვენ ვყლაპავთ. ამასთანავე ერთად ყოველ შაბათ-კვირაობით სდგამენ საღამოებს, ჩვენ კი ვსცდებით ვარჯიშობას. არც-კი კადრულობენ დარბაზის დაგვას და დარბაზი ნაგვის ყუთი გეგონებათ და აი ამ ნაგვის ყუთში ჩვენ გვიხდება ვარჯიშობა. თვით შრომის სკოლას აქვს მე-2-რე სართულში დიდი ადგილი; კარგი იქნებოდა იქ მოეწყობოდეს ეს საღამოები და ამ უსუფთაობას ბოლო მოეღებოდეს.

ინფ. მოვარჯიშე.

რკინის გზის ხაშურის უბნის მუშკორთა მეორე კონფერენცია

ხაშურის მუშათა კლუბში გაიხსნა ა. წ. 18 იანვარს ხაშურის უბნის მუშკორთა კონფერენცია, რომელზედაც დაესწრნენ უბნის ყველა მუშკორები და რედაქციების წარმომადგენელნი.

არჩეულ იქნა პრეზიდიუმი, რის შემდეგ წაკითხულ იქნა მრავალი მისალმებანი სხვადასხვა ორგანიზაციებიდან.

კონფერენციის დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) მუშკორთა როლი და მოვალეობა საბჭ. აღმშენებლობაში, 2) მოხსენებები ადგილებიდან, 3) მუშკორთა კავშირი სხვა კორესპონდენტებთან, 4) საორგანიზაციო მუშაობის შესახებ, 5) მუშკორთა თავდაცვის საკითხის შესახებ. პირველ საკითხის შესახებ მომხსენებლათ გამოვიდნენ ამხ. ბერიანი და ამხ. უმბრიევი. მათ დაწვრილებით განმარტეს, თუ რა პირობებში და როგორ მიმდინარეობს თბილისის რედაქციებში მუშაობა; მათვე აღნიშნეს მუშკორთა როლი, მოვალეობა და მნიშვნელობა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს მშენებლობაში. მეორე საკითხის შესახებ—ადგილებიდან ბევრმა ამხანაგებმა გააკეთეს მოხსენება თავიანთ მუშაობის შესახებ და გამოირკვა, რომ ამხანაგები ჯეროვან სიმაღლეზე დგანან და განაგრძობენ ენერგიულ მუშაობას.

მუშკორთა შეკავშირების შესახებ ვრცელ მოხსენებას აკეთებს გაზ. „მუშას" წარმომადგენელი ამხ. ბერიანი, რომელიც საკმაოდ არკვევს საკითხს.

შემდეგ მოხსენებით გამოდის ამხ. სეფერთელაძე და ეხება მუშკორთა საორგანიზაციო მუშაობას. გარჩეულ იქნა მუშკორთა თავდაცვის საკითხი. ყველა კითხვებზე გამოტანილ იქნა სათანადო დადგენილებანი და კონფერენცია დაიხურა.

ხაშურელი რკ. გზელი.

შრომის დაცვა.

(მეოთხე რაიონის შრომის ინსპექცია მუშაობს).

შრომის კანონებს არღვევენ.

რუსის ბაზარში № 3 მეთუნუქეები: ლებედევი, ნარმანცევი, ენფიადჟიანცი, კაპაჯიანი და კარაკუმჩიანცი არ ასრულებენ სავსებით შრომის კანონთა კოდექსში გათვალისწინებულ მოთხოვნილებებს, სახელდობრ: ზოგ მათგანს არ აქვს შეძენილი საინსპექციო შრომის კ. დამზღ. სალ. კ. წიგნებში არ შეაქვთ ანარიცხი პროცენტები, და ზოგიც ამასთან ერთად არ აძლევენ მუშებს სპეც ხალათებს. ეს გარემოება აღმოაჩინა მე-4 რაიონის შრ. ინსპექტორმა, რომელმაც წინადადება მისცა მათ, რომ დეფექტები გამოსწორებულ იქნეს დაუყოვნებლივ.

დეფექტები მოსპობილი იქნება.

სრ. რუსეთის **სავაჭრო სინდიკატში არ არის** შევსებული საანგ. წიგნაკები.

მექანიკ. სახელოსნოს პატრონს მარტიროსიანს მადათოვის ქ. № 5 არ აქვს შეტანილი ანარიცხი პროცენტები დამზღვევ სალაროში 1924 წლის დეკემბრის და არ აქვს შეძენილი საინსპექციო და შრ. კ. კ. წიგნაკები.

სასტუმრო „წყლის პირის" პატრონს ქოჩლაძეს (მარქსის მ-ნი) არ აქვს საინსპექციო და ზედმეტ საათებში მუშაობის აღსანიშნავი წიგნები.

შრ. ინსპექციის წინადადებით ზემო აღნიშნულმა დაწესებულებამ კერძო მწარმოებლებმა სულ მოკლე ხანში უნდა გამოასწორონ შემჩნეული დეფექტები.

მეორე რაიონის შრომის ინსპექცია.

შრომის პირობები არ არის ხელსაყრელი.

ა. კ. დამზღ. სალაროს შენობა არ ვარგა, იქ სივიწროვეა ძალზე და დღისით ისე ბნელა შენობა, რომ ანთებულ ელექტრონთან უხდებათ მუშაობა, გარდა ამისა დამლაგებელ ქალს ანდრეევას თითქმის ყოველ დღე უხდება ზედმეტ საათებში მუშაობა. აგრეთვე ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევებსაც. მაგ. რეგისტრატ. ქალმა ახმედბეგოვმა დაიშავა მარჯვენა ხელი და დენასენკომ—ფეხი.

შრ. ინსპექტ. წინადადება მისცა ადმინისტრაციას, რათა მან გამონახოს საშუალება შრომის პირობების მოსაწესრიგებლად.

ზედმეტ საათებისას არ აძლევენ.

„რეზინოტრესტ"-ში ორი თვის განმავლობაში, სამ ნოქარს უხდებათ სისტემატიურად ორ-ორი საათით ზედმეტად მუშაობა ამისათვის განსაკუთრებულ ჯილდოს მიუღებლად.

შრ. ინსპ. წინადადებით ზედმეტ საათებში მუშაობას ბოლო უნდა მოეღოს და ნოქრებს კუთვნილი გასამრჯელო მიეცეთ.

მეკანდიტრე-ექსპლოატატორი.

საკანდიტროში გოგეშიძისა და ბეგაშვილის (ლენ. ქ. № 10) მსახურობდა 3 თვის განმავლობაში ხინო პელიძე დილის 9 საათიდან—ღამის 10-მდე და დათხოვის დროს ბოლო თვის ჯამაგირი (30 მან. თვეში) და ზედმეტი სამუშაოს ჯილდო არ მიუცია. აგრეთვე არ ყოფილა დაზღვეული და არ ჰქონიათ დადებული ხელშეკრულება. გარდა ამისა დამქირავებელი არ ასრულებს პროფკავშირთა ორგანოების წესებს.

შრ. ინსპ. წინადადებაზე მან უარი განაცხადა, რისთვისაც საქმე გადაეცა შრომის სასამართლოს.

ინფ. ა. კ—ძე.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ვის ეხმარება შრომის სასამართლო

[illegible] აფიცერა

ქ. წ. დრ. არმიის ტფილისის სანივთებო საწყობში მსახურობდა სერაფიონ კოდაცკი, რომელიც ჯარის ბანაკობის დროს, ზაფხულში მივლინებულ იქნა ვაზიანში სასურსათო მაღაზიის გამგედ; დაბრუნებისას მის ადგილზე სხვა დაეყენებიათ და ის კი უადგილოდ დარჩა და არ მიუღია მივლინების ფული 113 მ. 69 კ. და განსხვავება ჯამაგირისა ოქტომბრის თვეში 18 დღისა.

შრომის სასამართლომ ბრალდება დაამტკიცა და დაადგინა, რომ ქ. წ. დრ. ა-ს მომარაგების სამმართველოს გადახდეს ს. კოდაცკის სასარგებლოდ 113 მ. 69 კ. და 18 დღის ჯამაგირის განსხვავება.

„ნოქარი" არ გაუვიდათ

დიმიტრი კუსოვი მსახურობდა პეტროვის ქ. № 30-ში ასლან საათოვთან მისი სახლის მმართველად და არ მიუღია გასამრჯელო 10 თვის განმავლობაში. აგრეთვე სასამართლომ გამოარკვია, რომ მხარეთა შორის არ ყოფილა დადებული სატარიფო ხელშეკრულება. ამის შესახებ ვერავითარი გასამართლებელი საბუთი ვერ წამოაყენა ბრალდებულმა და ამიტომ ძიება დამტკიცებულად ჩაითვალა.

სასამართლოს დადგენილებით ბრალდებულმა საათოვმა უნდა გადაუხადოს ბრალმდებულ კუსოვს 10 თვის ხელფასი, თვეში 10 მანეთი, სახელმწ. **მინიმუმის თანახმად სულ 100 მანეთი.**

შრომის ექსპლოატატორისათვის

ახალი კლუბის ბუფეტის პატრონები

იობაშვილები გერასიმე და ვასილი და ციხვაძე ტარასი ამუშავებდენ თავის ბუფეტში მოსამსახურეთ რიცხვით 15 კაცს გასამრჯელოს მიუცემლად და დავალიანდენ მათ წინაშე **1.350 მანეთით.** ამის შესახებ სახალხო კვების კავშირმა აღძრა შუამდგომლობა შრომის სასამართლოში და მოითხოვა, რომ აღნიშნული პირები დაკმაყოფილებულიყვნენ ბუფეტის პატრონების მიერ სასამართლოს წესით.

შრომის სასამართლომ განიხილა ეს საქმე, ბრალდება დამტკიცებულად სცნო და დაადგინა: ზემო აღნიშნულ ბუფეტის მეპატრონეებს გადახდეს სახ. კვების კავშირის სასარგებლოდ აღნიშნული თანხა.

„ოჯახის წევრი"?

15 თვის განმავლობაში ექიმ ოლღა მეეროვთან მუშაობდა ვერა კასატნიკოვა. ამ ხნის განმავლობაში გასამრჯელოდ მიიღო მხოლოდ 20 მანეთი და მეტი არაფერი მეეროვმა სასამართლოში განაცხადა, რომ „კასატნიკოვა ოჯახის წევრად ითვლებოდაო, მე მას ვაცმევდი და ვაჭმევდიო".

შრომის სასამართლომ ბრალდება დამტკიცებულად სცნო; აღნიშნა რა, რომ კასატნიკოვას 15 თვის სამსახურის განმავლობაში ერგება 104 მანეთი, რომელსაც უნდა გამოეაკლოთ: მიღებული 20 მან., 50 პრ. სასმელ-საჭმელის ხარჯების დასაფარავად, და დაადგინა: დარჩენილ ნაშთს 32 მ. 50 კ. მიემატოს ორი კვირის სალიკვიდაციო 10 მ. 50 კ. და გადახდეს ბრალდებულს 43 მანეთი მოსამსახურის სასარგებლოდ.

ფ.

გამოუყენებელ შვებულებისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემის წესი

კითხვა

მე დამიშვეს სამსახურში 1924 წ. 15 ივლისს. ოც დეკემბერს მე ვითხოვე შვებულება, მაგრამ ადმინისტრაციამ ასეთი ვერ მომცა ნატურით, რადგან ჩემი შვებულება წარმოებას ზიანს მიუტანდა და საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიის დასტურით მომცეს გამოუყენებელ შვებულებისათვის საკომპენსაციო ჯილდო, მაგრამ არა იმ რაოდენობით, რომელიც უნდა მომცემოდა თანახმად არსებული წესისა, ე. ი. არა წინანდელ სამი გადასახდელი თვის შრომის ხელფასის საშუალო რაოდენობით არამედ უფრო მცირე.

გთხოვ განმიმარტოთ თუ რა რაოდენობით უნდა მომცა ადმინისტრაციას ჩემთვის საკომპენსაციო ჯილდო?

მუშა-რკინიგზელი.

პასუხი

თანახმად ა. კ. შრომის სახკომატის 1924 წ. 8 ივლისის დადგენილება № 102-სა, გამოუყენებელ შვებულებისათვის ფულადი კომპენსაცია დაქირავებულს უნდა მიეცეს წინანდელ სამ გადასახდელი თვის შრომის ხელფასის საშუალო რაოდენობით, იმ შემთხვევაში, თუ კი მას **ორ კვირის და მეტი შვებულების უფლება დაუმსახურებია სრულად;** თუ კი დაქირავებულს მორიგ ორკვირეული და მეტი შვებულების უფლება სრულიად არ დაუმსახურებია, მაგ. მან იმუშავა განუწყვეტლივ 5 თვე და 12 დღე (აკლია სამი დღე), მაშინ მას მიეცემა საკომპენსაციო ჯილდო **მიმდინარე თვის დანარჩენ სამუშაო დღეებში მიღებული ფაქტიური ხელფასის მიხედვით:**

თუ კი შვებულების უფლების **სრულიად დასახურებისათვის მას აკლია ხამიდან თორმეტ დღემდე,** მაშინ საკომპენსაციო ჯილდო მას **უნდა მიეცეს გადასახდელ წინა თვის ფაქტიური შრომის ხელფასის მიხედვით.** ამ შემთხვევაში თქვენც ასე უნდა გაგისწორდეს ადმინისტრაცია, რადგანაც ორ კვირეული შვებულების უფლების დამსახურებისათვის გაკლდათ კიდევ ათი დღე, (ასახურობთ 5 თვე დახუთი დღე და არა ხუთ ნახევარი თვე როგორც ეს არის გათვალისწინებული **შრომის კანონთა კოდექსის 114 მუხლით.**

(იხ. საქ. შრ. სახკომატის შრ. კან. **„მოამბე"-ში № 8 1924 წ. დეკემბერი ა. კ. შრომის სახკომატის განმარტება, გვერდი—10).**

საგლეხო მეურნეობაში მომუშავეთა დაზღვევა

კითხვა

მე ვმუშაობ დუშეთს მაზრაში ერთ-ერთ საგლეხო არა წარმოებითი ხასიათის მეურნეობაში დაქირავებით. გთხოვთ ახსნა-განმარტებას, ვალდებულია თუ არა დამქირავებელი დამაზღვევოს საერთო წესით. ის დაზღვევაზე უარს მეუბნება.

მიწის მუშა **დუშეთელი.**

პასუხი

საგლეხო არა წარმოებითი ხასიათის მეურნეობაში მომუშავე ერთეულები თავისუფლდებიან სოციალურ დაზღვევისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი მიწა-ტყის პროფკავშირის ადგილობრივი განყოფილების მიერ აღნიშნულ მეურნესთან შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნება, რომ დამქირავებელი შრომის უნარის დროებით დაკარგვის დროს (ავადმყოფობის და მსუბუქად დასახიჩრების დროს) დაქირავებულს (მუშა მოსამსახურეს) აუნაზღაურებს სრულ (ფაქტიურ) შრომის ხელფასს (ნატურის თან ჩათვლით) და გაუწევს მას ყოველგვარ საექიმო დახმარებას.

ეს დადგენილება არ ვრცელდება მხოლოდ იმ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ერთეულებზე, სადაც მუდმივად მომუშავეთა რიცხვი აღემატება ორმოცდაათ კაცს და აგრეთვე ისეთ წმინდა საწარმოო ხასიათის კერძო მეურნეობაზე, სადაც მუდმივ მომუშავეთა რიცხვი აღემატება ხუთ კაცს.

სოციალ. დაზღვევას ანარიცხებს ესენი იხდიან სამრეწველო ხასიათის წარმოებისათვის არსებულ შეღავათიანი ტარიფის განაკვეთის მიხედვით.

(იხ. ს. საქ. შრომის სახკომატის **დადგენილება № 2—მუხ. 1—1924 წ. 10 ნოემბ. და მისივე დადგენილება № 4—1924 წ. 5 დეკემბრიდან).**

ბინის რემონტის და ქირის შესახებ

კითხვა

მე ვცხოვრობ არსენალის შესახვევში სახ. № 5 | 16-ში. მიქირავს ერთი ოთახი ოცდაათი კვადრატული არშინიანი. ვცხოვრობთ სამი სული. ოთახში იყო შესაკეთებელი ჭერი და კედლები. სახლის პატრონი ამას ყურადღებას არაქცევდა და მე შევაკეთებინე ორჯერ. სახლის პატრონს წარუდგინე ანგარიში, მან ეს ანგარიში არ მიიღო.—უნდა ქირა გადაიხადოო. მე ვარ საბჭოთა მოსამსახურე და კავშირის წევრი, დაზღვეული, ვღებულობ სამთუმანს (30 მან.) შრომის ხელფასის სახით თვიურად. გთხოვთ განმარტებას, თუ რა გადამხდება ბინის ქირად და რემონტის ხარჯები ვინ უნდა ამინაზღაუროს.

მე-3-რაიონის დამზღ. პალაროს მდივანი **მესხიშვილი.**

პასუხი

ა. წ. პირველ იანვრიდან ბინის ქირად თვიურად თქვენ იხდით 45 კაპიკს. სახლის კაპიტალური რემონტის გაკეთება ევალება სახლის პატრონს; თუ კი მან ასეთი არ გააკეთა და სახლს რემონტი პირადათ თქვენ გაუკეთეთ, გაქვთ უფლება რემონტზე დახარჯული ფული მას ბინის ქირიდან დაუქვითოთ.

ვინ დგამს სახლებში წყალსაზომს

კითხვა

გოგოლის ქუჩაზედ სახ. № 59-ში არის გატეხილი წყლის საზომი, და ერთი თვეა განვიცდით გაჭირვებას უწყლობის გამო. წყალსაზომს კი არ აკეთებს არც სახლის პატრონი და არც სხვა. გთხოვთ განგვიმარტოთ, ვისი გასაკეთებელია ხსენებული საზომი, მდგმურების თუ სახლის პატრონის?

ადგილობრივი მდგმურების მუშა-მოსამსახურეთა ერთი **ჯგუფი.**

პასუხი

სახლებში წყალსაზომს სდგამს ქალაქის წყალსადენი დახარჯული წყლის ნამდვილ რაოდენობის გამოსარკვევად, რის მიხედვით სახლებს აწერენ წყლის საფასურს. წყალსაზომი იმყოფება წყალსადენის განკარგულებაში და მის შესაკეთებლად უნდა მიმართოთ მასვე.

მთავრობის მოქმედებანი, და განკარგულებანი

დადგენილება № 3

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

ყოფილი თავადებისა და აზნაურების ადმინისტრაციული წესით გადასახლების შესახებ.

რადგანაც 1924 წლ. აგვისტოს ბოლო რიცხვებში მომხდარმა თავად-აზნაურულმა ავანტიურამ, რომელიც მოწყობილი იყო საქართველოს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დასამხობად, ადგილობრივად გამოიწვია სტიქიური საპასუხო მოძრაობა გლეხთა მასების მხრით თავად-აზნაურების წინააღმდეგ, რაც გამოიხატა თავად-აზნაურების სოფლებიდან მასიურ განდევნაში და რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, ჰბადებს გაუგებრობას, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, იმ მიზნით, რომ აღშფოთებული მშრომელი ხალხის მოქმედება კანონიერ კალაპოტში ჩაყენდეს,—ა დ გ ე ნ ს:

1. ყოფილი თავადებისა და აზნაურების დროებით ან მუდმივი საცხოვრებელი სოფლიდან გადასახლების საკითხის აღძვრის ინიციატივა ეკუთვნის ადგილობრივ გლეხთა ყრილობას, უკეთუ ამა თუ იმ თავადის ან აზნაურის ყოფნა ამ ადგილას ან, საერთოდ, საქართველოს სოც. საბ. რესპ. ფარგლებში საზიანო იქნება ადგილობრივი მშრომელი მოსახლეობის თვალსაზრისით.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ პირთა გადასახლების საკითხი განიხილება სოფლის იმ გლეხთა საერთო კრებაზე, რომელთაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. კონსტიტუციის ძალით უფლება აქვთ აირჩიონ დეპუტატები მუშათა და გლეხთა საბჭოებში, და ეს საკითხი გადასწყდება ხმის მარტივი უმრავლესობით.

3. ადგილობრივ გლეხთა ყრილობა ამა თუ იმ პირის გადასახლების საკითხის გადაწყვეტასთან ერთად, ამა დადგენილების მეორე მუხლში გათვალისწინებული წესის თანახმად, გადასწყვეტს აგრეთვე საკითხს გადასასახლებელი პირის კუთვნილი ქონების კონფისკაციის შესახებ; კონფისკაცია შეეხება მხოლოდ: შენობებს, ოთხფეხ საქონელს და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს.

4. გლეხთა კრების დადგენილებაში დაწვრილებით აღინიშნება, ვინ და რა მიზეზით უნდა იქნეს გადასახლებული ამა თუ იმ ადგილიდან, აგრეთვე რა სახისა და რა რაოდენობის ქონება უნდა ჩამოერთვას კონფისკაციის წესით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: უკეთუ საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად უნდა გადასახლებულ იქნეს ოჯახის ერთი ან რამდენიმე წევრი, იმავე საერთო კრების დადგენილებით განისაზღვრება, ამ ოჯახის ადგილობრივ დატოვებულ წევრთა შორის რომელს ეძლევა საჭირო საცხოვრებელი სადგომი კონფისკაციაქმნილ შენობაში და აგრეთვე წვრილი და შინაწარმოების იარაღი, უკეთუ ეს იარაღი არსებობის სახსარს შეადგენს.

5. გლეხთა საერთო კრების დადგენილება წარედგინება ადგილობრივ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც ამ დადგენილებას თავისი დასკვნით წარუდგენს საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს საბოლოო დამტკიცებისათვის; ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი განსაზღვრავს ადგილობრივ გლეხთა მეურნეობის რა საჭიროებას უნდა მოხმარდეს კონფისკაციით ჩამორთმეული ქონება.

6. იმის შემდეგ, რაც საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი დაამტკიცებს სოფლის ყრილობის გადაწყვეტილებას თავად-აზნაურების გადასახლებისა და მათი ქონების კონფისკაციის შესახებ, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება შესასრულებლად ეცნობება ათანადო სახალხო კომისარიატს; ამასთანავე ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებამდე სოფლის ყრილობის დადგენილება—გადასახლებისა და ქონების კონფისკაციის შესახებ—სისრულეში მოყვანილ არ უნდა იქნეს.

7. ამა დადგენილებაში აღნიშნულ პირთ ადმინისტრატიული წესით გადასახლება მოხდება 1924 წლ. აპრილის 29-ს თარიღით და № 87 გამოცემულ დადგენილების შესისამებრ.

8. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ც ხ ა კ ა ი ა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თ ო დ რ ი ა.

1915 წლ. იანვრის 19
თბილისი—სასახლე

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ ი

— თ. კ. ალმოცხვ.-გამზ. წ. განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. კაზენკი-იაკობს, ჩევინიძე ლევანს და დედეშენკოს—გამოცხადდნენ განყოფილებაში ამხ. კოხტაიანთან.

ალმოცხვ.-გამზ. განყოფილება.

— თ. კ. სააგიტ.-საპროპ. განყოფილება იუწყება: დღეს, 24 იანვარს, საღამოს 8 საათზე ცენტ. პარტკლუბში შესდგება ყველა პარტ-პოლიტსკოლების და წრეების ხელმძღვანელთა თათბირი. სასურველია—რაიონებში სააგ. განყოფილებათა გამგეთა დასწრება.

დღის წესრიგი: პოლიტსკოლებში მეცადინეობის მეთოდები. მოხსენება ამხ. ბუდილოვისა.

თ. კ. სააგ.-საპროპ. განყ.

— ქალაქის რაიკომის სააგიტ.-საპროპ. განყ. იუწყება: დღეს, 24 იანვარს, საფაბ.-საქარხ. სკოლის ცენტრ. კლუბში, საღამოს 5 საათზე შესდგება მეოთხე რაიონის კედლის გაზეთების სარედ. კოლეგიის წევრთა თათბირი.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება ადგილებიდან, 2 კედლის გაზეთების გამოცემაზე, 3) კედლის გაზეთებისა და პარტიული ჯრედების ბიუროების ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

განყ. გამგე წითლიძე.

— მესამე რაიკომი იუწყება: დღეს, 24 იანვარს, რაიონის პარტკლუბის შენობაში შესდგება მესამე რაიონის სახელმ. ს დელეგატთა კრება.

დღის წესრიგი: 1) პარტიაში მიღება, 2) კანდიდატების—პარტიის წევრობაზე გადირიცხვა.

მდივანი ვართაპეტიანი.

პარტიაში ახლად მისაღებთა საყურადღებოდ

ორსრაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს, რომელთაც მისცეს განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ, გამოცხადდნენ კვირას, 25 იანვარს, დილის 9 საათზე, რაიკომის შენობაში, რაიკომის პრეზიდიუმის სხდომაზე, სადაც გარჩეულ იქნება საკითხი მათ პარტიაში მიღების შესახებ:

მოჩკარიოვი იაკობ, ეგანოვი მარტიროს, [illegible] რიან გიორგი, ბალავაძე ვლადიმერ, გორგასლიძე ნიკოლოზ, დვალი ვასილ, მამაგეიშვილი აკაკი, შაინოვ იაკობ, შაგირიანც ავეტის, ჩემერინ ვლადიმერ, ციხელაშვილი პავლე, წერეთელი იოსებ, ჩოდრიშვილი დავით, ჩელაშვილი აბრამ, ტოსუნიანც სედრაკ, თუმანიანც მუშეღი, სარქისიან გაბრიელ, კირაკოვი ნესტორ, სოკრატოვი არშაკ, რეზენკო ტიხონ, პიჩიკიან არმენაკ, პერეპიოლკინ სერგო, ნიკოლაევი ნიკოლოზ, მეხრიშვილი ივანე, მაკსეევი სამსონ, მაჩკალოვი აშოთ, ჯალალოვი არკადი, მუმლაძე გიორგი, ლონზიკარ, კეპკაძე ივან, კვამლაძე პეტრე, კუკულდავა ბაკო, ისრაელოვი ივან, ილიტხანოვი ვაგან, ზახაროვი იაკოფ, ენგალიჩევ იგორ, ავაზნელი ვართან, ალიხანოვი ვართან, ჯულელი ალ., გოგოშიძე აფანასი, რახმან ისაკ, იურინი მიხეილ, ორჯონიკიძე ვალერიან, პოლშინ ფილიპ, ენგიბაროვი მინას, ენგოიან ლევან, ჯორბენაძე მიხეილ, გოგოლიევი აქსენტი, გასპარიანი იონან, ღარიბოვი ოვანეს, გრიგორიან ლევან, ვართანოვი ავაქ, გესტაულე ანდრია, ბექერაშვილი დავით, ბიბილაშვილი ალ., ბობოლ ივან, ბუზაკოვი ვიქტორ, ბაღარჯიშვილი ალ., ჩოხონელიძე ანტიმოზ, ძიუკაევი გაბრიელ, აროიანც ნიკოლოზ, ასლანიკაშვილი თეოდორ, არუთინოვი ბადალ, ასკაროვი არკადი, აღინოვი გრიგოლ, ალექსანდროვი ვლადიმერ, ოთიაშვილი მიხეილ, ოგაძე შაქრო, ტოლსტენკო ვიქტორ, ტოლჩენკო მიხ., ვაშაკიძე არტემ, ყაზაროვი არტაშეს, ფირცხალავა ონისიმ, მურადოვი ამაიაკ, ჩხერაშვილი გიორგი, ჩხარტიშვილი კ., ურუშაძე თეიმურაზ, უსტინოვი მიხეილ, ტერ-მინასოვი დავით, ტოლკაჩევი მიხ., სააკიან ონიკ, სარქისოვი ლევონ, სუკიასოვი რუბენ, სპერანსკი გიორგი, საფარიანც კარაპეტ, ფერაძე ნიკოლოზ, პოლოსოვ არუთინ, ტერ-ოვანესიან გარეგინ, ნავასარდოვი პავლე, მამაჯანოვი სერგო, მჭედლიშვილი რობტ., კარსიმაშვილი გრ., ყაზაროვი რუბენ, კაჯარიშვილი იასონ, ყაზაროვი ალას, ქურხული პეტრე, ზანგურაშვილი ალ., დარბინიანც არტაშეს, გოგვაძე კალინიკ, გრიგორიანც ვაგან, ვართანოვი ისაკ, ბაღდასაროვი აირაპეტ, ბუნიატოვი გარეგინ, აბაზოვი სარქის, ალიხანოვ პოლოს, არჩვაძე ლუკა, გოხაევ ანუშავან, შახბაზოვ ალ., მამაცაშვილი იოსებ, უვრეხელიძე მიხ., ჩინჩხოვ ნიკ., რაიმოვ ვასილ, ჭუმბურია მიხეილ, გასპარიანც სვიმონ, კანაევ პავლე, ონოიან არმენაკ, სემიონოვ პროკოფ, ბენიალიხე ანნა, სტიევა მარიანნა, დიაჩკოვა ეკატერინე, მოდოიან ხევატ, კუჩაევა მარია, მალოვანა ალ., კოვალიოვა ფლორა, როდიმოვა ალ., კანტელინა თებრო, კოსტიუკოვა ეკატერინა, მორიც ალისა, წირეაძე ალ., ციხაშვილი მარია, როლევა მარია, ოლშევსკაია იადვიგა, მოისეევა ვერა, ლაპშინა ზინაიდა, გრეჩკო ელენა, ასრიევა ანნა, არაბაჯიან მატლიკ, თანდოვა ანნა, პეტრიაშვილი დარია.

მდივნის მაგიერ—**მელაძე.**

— შაბათს, 24 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ცეკას ბინაზე შესდგება **ს. კ. პ. ცეკას კოოპერატიული კომისიის მორიგი სხდომა.**

რადგან საკითხები მეტად საინტერესოა, ამიტომ დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისთვის: გამყრელიძე, ელერდოვი, ყურულოვი, დუმბაძე, წივწივაძე ერ., კუხალეიშვილი, ერისთავი, ებრაელიძე, მ. და გ. ინსპექციიდან—იტრიევი, სოც. უზ. სახ. კომ.—ხომერიკი და ცეკავშირის მუშათა სექციიდან—ქაცარავა.

ეთხოვთ არ დაიგვიანონ.

კომისიის მდივანი ჟღენტი.

უზომო მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ადი (ვარდიკო) ზალიკაასული; შვილები: ილია, აკაკი, არტემი და ევგენი ბესარიონის ძენი კარტოზიები, ამით ვაუწყებთ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს პირველის ძვირფასი მეუღლის, ხოლო უკანასკნელთა საყვარელ მამის

ბესარიონ ქაიხოსროს-ძე კარტოზიას

გარდაცვალების ორმოცი დღის აღსანიშნავად, კვირას 25 იანვარს გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი დიდუბის ეკლესიაში დღის 12 საათზე. № 147 1—1

მეუღლე იულია კონსტანტინეს ასული უზნაძისა შვილებით სოსოთი და ეთერით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ, კვირას, 25 იანვარს 12 საათზედ წმინდა ნინოს სასაფლაოზედ გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, საყვარელი და დაუვიწყარი მეუღლის, მეხუთე რ|გზის შრომის სკოლის მასწავლებლის

ზაქარია იოსების ძე უზნაძის

გარდაცვლების ერთი წლის თავის აღსანიშნავად № 146 2—1

სახელმწიფო დრამა
დღეს, 24 იანვარს,
ლატავრა
ნის. 678 5—5

რუსთაველის თეატრი
კვირას, 25 იანვარს
ივანე ტერ-გრიგორიანის
60 წლის სასცენო მოღვაწეობის
იუბილე
ქართველ-სომეხ მსახიობთა მონაწ. წარმოდგენილი იქნება
გ. სუნდუკიანცის
3 მოქმედებათ პეპო 3 მოქმედებათ
მეორე მოქმედება ქართულად—მონაწილეობენ თ. ჭავჭავაძისა, ტერ-გრიგორიანი, ვ. გამყრელიძე, საფაროვი და სულთანიშვილი
1 და 3 მოქმედება სომხურად.
მილოცვები
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
№ 152. 1—1
საიუბილეო კომისია.

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 24 იანვარს
„მოპრის" სასარგებლოდ
ჰოფმანის ზღაპრები
კვირას, 25 იანვარს
აბესალომ და ეთერი
ნის. 677. 3—1

რუსთაველის და [illegible]
[illegible] კუთხე
შრომის ინვალიდთა
სასადილო
ოჯახური სადილი 2 კერძი—45 კაპ.
შრომის ინვალიდთათვის—30 კაპ.
(2—5 საათამდე.
მთელი დღე უკრავს მუსიკა. ღვინო ყველა ფირმების ფასი 60 კ.—1 მ. ბოთლი. ვღებულობთ ყოველგვარ შეკვეთებს როგორც სადილს, ისე ვახშმისას დაკლებულ ფასებში.
ნ. № 563—8—7

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენ. დაარსებული
მიხეილ გედევანიშვილის [illegible]
ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყიფიანის ქ. № 20. 9205 25—18

კომუნალურ წყალსადენისაგან

ქალაქში არსებულ დიდი ყინვების გამო მრავალ სახლებში გაიყინა წყალსადენის მილები და მცხოვრებნი დარჩენ უწყლოდ.

ყველა მცხოვრებთა წყლით უზრუნველყოფის მიზნით, თბილისის კომუნალურ **წყალსადენს ა. წ. 15 თებერვლამდი** არა აქვს რა საწინააღმდეგო, რომ იმ აბონენტებმა, ვისთანაც წყალსაზომები სდგას, მუშაობს და წყალი აქვთ, უწყლოდ დარჩენილ სახლების მცხოვრებლებზე გასცენ წყალი ფასად თითო ვედრო ნახევარ კაპეიკად; რაც შეეხება სახლებს, სადაც წყალსაზომები არ მუშაობენ, ასეთებისათვის სახლის გარეშე წყლის გაცემა სასტიკად აკრძალულია

წყლის დირექტორი **ხოჯაევი**
კანც. გამგე **ქურთიშვილი**
3—2 682

სახ. გან. კომისარიატის პრ. ტექნ. გან. მთავარ. მმართვ. მფარველობაში მყოფი
საბუღალტრო კურსები №1
ი. ავალიშვილის
გამგეობით გაფართოებულია პროგრამით
თებერვალში იხსნება ახალი ჯგუფი
კურსების მისამართი: დავიდოვის ქ. № 25. გამგის დუშეთის ქ. № 19. 4 ნახ.—5 ნახ. საათ. № 149. 3—1

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთაველის პროს. № 18
შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან) 25—10

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მუნკე
ბავშვთა და მოზრდილთა შინაგან, ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი.
ელექტრო-სინათლით საექიმო კაბინეტი. მიღება დილით 10—12 საათამდი, საღამოს 5—7 საათ. გარდა უქმეებისა.
პლეხანოვის პრ., № 111 (ყოფ. მიხეილის ქუჩა), ბინა 2.
№ 2959 25—15

ექიმი
ს. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).
ავადმყოფების მიღება 9 დან დღის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების—2-დან 4-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.
25—6

ექიმი
გ. გ. მეგრაბიანცი
ავადმყოფობა ფილტვების, გულის ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.
მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.
2746 25—6

ექიმი
ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყოფთა
ელექტრონით წამლობა
მიიღება სალ. 7—8 საათ.
ლენინის (ოლღას ქ. № 49)
ტელ. 4—85 25—9

ექიმი
ა. დ. პეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა
მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვს პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნორი"-ს პირდაპირ. № 3203. 25—10

კერძო
გინეკოლოგიური და ქირურგიული
საავადმყოფო
ტერაპევტიული განყოფილებით
სტაციონალურ ავადმყოფთა, გარდა გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს.
ამბულატორიული მიღება შენობაში და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.
სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13
ცნობების მიღება: ექიმი შახნაზაროვს ტელეფონით № 7—14—4.
ნის 372—100—34

დაკარგვა საბჭოთა მუშაკების კავშირის საწევრო წიგნაკი № 8593, მიხეილ იოსების ძე ჩოდრიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 153 1—1

დაკარგვა საწევრო წიგნაკი, მოცემული სამტრედიის რაიონის სურსათ-გამოვნების კავშირისაგან, წიგნაკი № 13, მიშა მიხეილის ძე კოპალეიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 154 1—1

დაკარგვა კავშირის წიგნაკი, მოცემული სამტრედიის დეპოს ადგილკომიდან № 413.594, კომ. პარ. კანდიდატის მანდატი, მოცემული სამტრედიის პარტკომიდან № 2.778, ატესტატი მემანქანეთა თანაშემწეს მოცემული ამ. კავკ. რკ. გზის სამმართველოსაგან № 429.773, ალექსანდრე თომას ძე გუდადავას სახელზედ. ჩაითვალოს გაუქმებულად. 155 1—1

დაკარგვა ქვითრები გირაოს № 1.477—2.081—10.910, ელენე იგივე გეტია ქარსელაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 152 1—1

დაკარგვა პარტიული ბილეთი № 491.873 და სხვა დოკუმენტები, დაწერილ მიხ მეტონიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 151 1—1

დაკარგვა დაზღვევის წიგნაკი № 11.816, შალვა ლომთაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 150 1—1

დაკარგვა დამზღვევი კასის წიგნაკი მოცემული დ ნელ ჩანტლაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 148 1—1

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო

ამით აცხადებს ქალ. თბილისის ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ

იანვრის 22-დან მიმდინარეობს

მსხვილფეხა საქონლის, ცხენების და ჯორების

რეგისტრაცია

მათი დაზღვევის მიზნით, თანახმად ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა № 63, 1924 წლის 27 ნოემბრის თარიღით

მოქალაქეებმა რეგისტრატორებს უნდა მოსთხოვონ სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს ამიერ-კავკასიის განყოფილებიდან მიღებული მანდატები. ადგილობრივ ხელისუფლებას ვსთხოვთ ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ რეგისტრატორებს. 1—1 689

სააქციონერო საზოგადოების „მიასოტორგ"-ის

ბალანსი

აქტივი. 1924 წ. 1-ლ დეკემბრისათვის. პასივი.

რიგზე	ანგარიშების სახელწოდება	
	2. ძირითადი ხარჯები.	
5.	შენობები და მოწყობილობანი	1.224—50
7.	მოწყობილობა და სხვადასხვა ინვენტარი	6.287—52
	3. საბრუნავი თანხები.	
	ა) ფულის თანხები.	
11.	კასა	442—21
12.	მიმდინარე ანგარიშები	2.949—80
13.	ვალიუტა და დევიზები	— —
	ბ) ფასიანი ქაღალდები.	
14.	სახელმწიფო სესხები	930—00
15.	პაები სხვა წარმოებებში	250—00
	გ) მატერიალური ღირებულებანი.	
16.	მასალები	15.972—12
18.	საქონელი საწყობებში	5.778—67
22.	სამეურნეო დამზადებანი	97 701—29
	დ) დებიტორები.	
24.	თამასუქები პორტფელში	33.000—00
25.	„ აღრიცხვაში	24.000—00
28.	მყიდველები	114.320—88
30.	სხვა დებიტორები	94.579—62
32.	საქვეანგარიშო თანხები	21.576—51
	ე) გადაუხდელი აქციები და ხარჯები.	170.000—00
	საორგანიზაციო	13.372—63
	მიმდინარე	31.952—87
		634.338—62
	თამასუქები სპეც. ანგარიშების უზრუნველსაყოფად	78.000—00

რიგზე	ანგარიშების სახელწოდება	
	1. საკუთარი თანხები.	
1.	ძირითადი თანხა	300.000—00
	2. კრედიტორები.	
7.	სპეციალ. მიმდინარე ანგარიშები	60.015—80
9.	დავალიანება თამასუქების აღრიცხვა	24.000—00
10.	მიმწოდებელნი და გამყიდველები	52.214—60
12.	დანარჩენი კრედიტორები	162.853—21
	3. შემოსავალი.	
	მთელი მოგება	35.255—01
		634.338—62
		78.000—00

გამგეობის თავმჯდომარე მ. ჩხეიძე.
გამგეობის წევრი—გ. წულუკიძე.
მთავარი ბუღალტერი ა. ასათიანი.
ნ. 686 1—1

[illegible] სტამბა სახ. წულუკიძის ქუჩა №